



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

თედო დუნდუა

ნათია ფიფია

აფხაზეთი საქართველოა. ისტორიულ-ნომიზმატიკური ნარატივი



Tedo Dundua

Natia Phiphia

Abkhazia as a Part of Georgia.
Historical and Numismatic Tale

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
Institute of Georgian History

თედო დუნდუა

ნათია ფიფია

აფხაზეთი საქართველოა.

ისტორიულ-ნუმისმატიკური ნარატივი

Tedo Dundua

Natia Phiphia

Abkhazia as a Part of Georgia.

Historical and Numismatic Tale

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

Tbilisi State University Publishing House

2025

ნაშრომის ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ. წ. VI-ახ. წ. XVIII საუკუნეებია. ავტორებმა აფხაზეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა დანარჩენ დასავლეთ საქართველოში ნაპოვნი ნუმიზმატიკურ მასალას შეუდარეს და ეკონომიკის ისტორიის შესახებ შესაბამისი დასკვნები შეიმუშავეს.

This work shows 6th c. B.C.-18th c. A.D. numismatic data found in Abkhazia (Northwest part of West Georgia) being compared with the coin findings in the rest of West Georgia. The authors tell economic story.

კონსულტანტი ევგენი ჭანიშვილი
Evgeni Chanishvili as a consultant



პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (OTG-I-24-292) – აფხაზეთი საქართველოა. ისტორიულ-ნუმიზმატიკური ნარატივი.

Project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (OTG-I-24-292) – Abkhazia as a Part of Georgia. Historical and Numismatic Tale.

არაკომერციული გამოცემა
ISBN 978-9941-8-7904-3

© თედო დუნდუა, ნათია ფიფია, 2025

© Tedo Dundua, Natia Phiphia, 2025

სარჩევი

აფხაზები საქართველოში. მოკლე ისტორია	5
სამონეტო მიმოქცევა კოლხეთში ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში	9
სამონეტო მიმოქცევა კოლხეთში ძვ. წ. IV-III საუკუნეებში	22
სამონეტო მიმოქცევა კოლხეთში ძვ. წ. III-I საუკუნეებში	28
სამონეტო მიმოქცევა ლაზიკაში ახ. წ. I-IV საუკუნეებში	39
სამონეტო მიმოქცევა ლაზიკაში V-VII საუკუნეებში	48
სამონეტო მიმოქცევა ეგრის-აფხაზეთში VIII-X საუკუნეებში	53
სამონეტო მიმოქცევა საქართველოში X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში-XII საუკუნის I მეოთხედში	57
სამონეტო მიმოქცევა საქართველოში XII საუკუნეში-XIII საუკუნის I ნახევარში	73
სამონეტო მიმოქცევა დასავლეთ საქართველოში XIII-XV საუკუნეებში	83
სამონეტო მიმოქცევა დასავლეთ საქართველოში XVI საუკუნეში	91
სამონეტო მიმოქცევა დასავლეთ საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში	96

Contents

Abkhazians in Georgia: Short History	105
Coin Circulation in Colchis/West Georgia in the 6 th -4 th Centuries B.C.	108
Coin Circulation in Colchis/West Georgia in the 4 th -3 rd Centuries B.C.	119
Coin Circulation in Colchis/West Georgia in the 3 rd -1 st Centuries B.C.	123
Coin Circulation in Lazica/West Georgia in the 1 st -4 th Centuries A.D....	132
Coin Circulation in Lazica/West Georgia in the 5 th -7 th Centuries	140
Coin Circulation in Egrisi-Apkhazeti/West Georgia in the 8 th -10 th Centuries	144
Coin Circulation in Georgia in the Last Quarter of the 10 th Century- First Quarter of the 12 th Century	147
Coin Circulation in Georgia in the 12 th Century-First Half of the 13 th Century	158
Coin Circulation in West Georgia in the 13 th -15 th Centuries.....	167
Coin Circulation in West Georgia in the 16 th Century.....	172
Coin Circulation in West Georgia in the 17 th -18 th Centuries.....	177

სპარსული ტერმინები Varkan, Gurgan, Gurgistan, ხოლო უკანასკნელისგან – Georgia და Gruziya.

ამგვარად, ქართლს, რომელიც მტკვრის და ჭოროხის ხეობებს მოიცავდა, უცხოელები იბერიას, ვრასტანს, ვარკანს, გურგანს უწოდებდნენ. თანდათან კოლხეთი/ეგრისი და ქართლი/იბერია სულ უფრო მეტად ინტეგრირდა, და ქართული ენა, რომელზეც ქართლში საუბრობდნენ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გავრცელდა. შედეგად, მეგრული და სვანური ენები საოჯახო ენებად იქცა. ამ დროიდან ახალ ქვეყანას საქართველო ეწოდა, ტერმინი ქართლიდან მომდინარეობს. Iberia, Gurgistan, Gruziya და Georgia ეგზონიმებია.¹

დასავლეთ საქართველოში კიდევ ერთი ენა არსებობდა, რომელიც ასევე საოჯახო ენად იქცა, კერძოდ, აფხაზური. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (საქართველო) დედაქალაქი სოხუმი. სახელი სოხუმი ქართული ცხუმის თურქული ვარიანტია. ბერძნები და იტალიელები ქალაქს დიოსკურიას და სებასტოპოლისს უწოდებდნენ. ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანებში მიმდებარე ტერიტორიაზე კოლების და კორაქსების ამკარად კოლხური გაერთიანებები არსებობდა. შემდეგ კოლხების სახელმა კონკრეტული ეთნონიმები ჩაანაცვლა. აფსილების, აფხაზთა წინაპრების, პირველი მოხსენიება სებასტოპოლის/ცხუმის მიდამოებში ახ. წ. I საუკუნის 70-იანი წლებით თარიღდება. მალე მათი მონათესავე აბასკებიც გამოჩნდნენ. მეგრულ ენაზე მოსაუბრე, სამხრეთის მთიანეთიდან ჩამოსახლებულმა და კოლხებთან ასიმილირებულმა ლაზებმა მთელ ქვეყანას სახელი შეუცვალეს, და ის გახდა ლაზიკა. აფსილების და აბასკების ეთნონიმებს ზოგჯერ სწორედ ლაზების სახელი ცვლის. როცა ლაზიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს ადგილობრივი ფეოდალები მართავდნენ, ეთნონიმები, აფსილები და აბასკები, აღორძინდებოდა ხოლმე. როცა ლაზიკის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ქვეყნის ძირითად ნაწილთან იყო პოლიტიკურად გაერთიანებული, ყველანი ლაზები იყვნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ახ. წ. II საუკუნიდან ლაზიკაში მეგრული სოციალური ენა იყო, ხოლო აფხაზური სებასტოპოლის/ცხუმის მიდამოებში მცხოვრებთა საოჯახო ენად იქცა. მართლაც, სპეციალური მეგრული ტერმინი ლაზიკის ამ ნაწილისთვის იყო „აფხა“, განაპირა მხარე, ე.ი პერიფერია მეგრული, ანუ დასავლურქართული კულტურის. თანდათან ადგილობრივი მთავრების მიერ მართულმა აფსილებმა და აბასკებმა საკუთარ თავს აფხაზები უწოდეს. როდესაც VIII საუკუნეში აფხაზთა მთავარმა, ამკარად, ქორწინების გზით, თავის რეზიდენციად ლაზიკის

¹ T. Dundua. History of Georgia. Tb. 2017, გვ. 5-22.

მთავარი ქალაქი, ქუთაისი, აქცია, ლაზიკა/ეგრისმა კიდევ ერთი სახელი, აფხაზეთი, მიიღო. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქართული ენის გავრცელების შედეგად მეგრული, სვანური და აფხაზური საოჯახო ენებად იქცა.²

გაერთიანებულ ეგრის-აფხაზეთს და ქართლს/იბერიას საქართველო ეწოდა. მმართველი ბაგრატიონთა დინასტიის მეფეების ტიტულატურა კი ასეთი იყო: „მეფე აფხაზთა (ე.ი. დასავლეთ საქართველოს), ქართველთა (აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს), რანთა და კახთა (აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილის)“.³

საქართველოს დაკნინებამ XVI საუკუნის დასასრულისთვის ოსმალებს საშუალება მისცა, საკუთარი ტერიტორიები გაეფართოებინათ. ისინი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებს დაეპატრონნენ. საქართველოს სასაზღვრო სისტემა მოიშალა. სუსტი წინააღმდეგობის არსებობის პირობებში, რიგ ადგილებში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი შემოიჭრა და დასახლდა. მათ შორის აფხაზურ ენაზე მოსაუბრეთა ახალი ტალღაც იყო. ისინი მთიანი რეგიონიდან ჯერ დღევანდელი სოჭის (რუსეთის ფედერაცია) მიდამოებში ჩამოსახლდნენ, შემდგომ კი სანაპირო ზოლის გასწვრივ ბიჭვინთისკენ დაიძრნენ. განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფმა მთიელებმა ადგილობრივი მიწათმოქმედი მოსახლეობის ნაწილი აიძულეს პერიფერიიდან ქვეყნის ცენტრისკენ გაქცეულიყო. შესაბამისად, სოფელიც და ქალაქიც ძალზედ დაზარალდა, ხოლო დანარჩენ ქვეყანასთან კავშირები შესუსტდა. ოსმალებმა ტყვეთა სყიდვასაც ხელი შეუწვეს. დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ეკონომიკური პროფილი სრულიად შეიცვალა. XIX საუკუნეში ოსმალებს რუსებმა შეუტეეს.⁴

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. ამან ხელი შეუწყო რუსეთის ექსპანსიას დასა-

² T. Dundua. Christianity and Mithraism. The Georgian Story. Tb. 1999, გვ. 6; T. Dundua, A. Chikobava. Pacorus, the Lazi King, Who Was Overlord of Colchis/Western Georgia. Tb. 2013, გვ. 9-16; T. Dundua. Georgia within the European Integration. Tb. 2016, გვ. 81-88.

³ T. Dundua. Review of Georgian Coins with Byzantine Iconography. Quaderni Ticinesi di Numismatica e Antichità Classiche. Lugano. 2000. Vol. XXIX, გვ. 389-393; თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქოზავა, ე. ავდალიანი, ნ. ხარშილაძე. ქართულ-ბიზანტიური მონეტები. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge>.

⁴ T. Dundua. North and South (towards the Question of the NATO enlargement). Tb. 2001, გვ. 41-42; T. Dundua and Others. The Black Sea – Zone of the Contacts. Tb. 2001, გვ. 9-10, 15-16; T. Dundua and Others. The Black Sea. A History of Interaction. Teaching Pack. The Council of Europe. Oslo. 2004, გვ. 46, 105.

ვლეთ საქართველოში. 1810 წელს აფხაზეთის მთავარმა გიორგი (საფარ-ბეგ) შერვაშიძემ რუსეთის იმპერატორს ერთგულება შეჰფიცა. 1864 წელს აფხაზეთში რუსული მმართველობა დამყარდა. შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება.⁵ რუსული მმართველობა აქტიურად უჭერდა მხარს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფას, მაგრამ აფხაზეთი საქართველოს ბუნებრივი და განუყოფელ ნაწილი იყო. შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზით სოხუმის სამხედრო განყოფილება, 1883 წლიდან სოხუმის ოკრუგი, ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. რუსული იმპერიული პოლიტიკის უარყოფითი შედეგების მიუხედავად, 1918 წელს, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაფუძნდა, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო.⁶

1918 წლის 11 ივნისს აფხაზეთის სახალხო საბჭომ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც აფხაზეთმა საქართველოს ფარგლებში ავტონომია მიიღო. 1921 წელს საქართველოს ხანმოკლე დამოუკიდებლობის დასრულების შემდეგ აფხაზეთი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში დარჩა სპეციალური სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმადაც მას საქართველოს ფარგლებში გარკვეული სახის ავტონომია მიენიჭა. 1931 წელს აფხაზეთი ოფიციალურად გახდა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (ასსრ) საქართველოს შემადგენლობაში. მისი სტატუსი უცვლელი დარჩა საბჭოთა კავშირის დაშლამდე. 1989 წლის საბჭოთა აღწერის მიხედვით, აფხაზეთის ასსრ-ის საერთო მოსახლეობა შეადგენდა 525 061 კაცს, რომელთა შორის 239 872 ქართველი (მოსახლეობის 45,7%), ხოლო 93 267 აფხაზი (მოსახლეობის 17,8%) იყო.⁷ საბჭოთა ეპოქაში საქართველოს შემადგენლობაში მყოფ აფხაზეთს კულტურული და სამეცნიერო პრივილეგიები ჰქონდა მინიჭებული. სკოლებსა და უნივერსიტეტში აფხაზური ენა ისწავლებოდა. 1993 წლიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.⁸

⁵ M. Lordkipanidze. The Abkhazians and Abkhazia (Georg., Russ. and Engl. texts). Tb. 1990 http://www.amsi.ge/istoria/div/m.lordkiPaniZe_afx.html#90.

⁶ M. Lordkipanidze. The Abkhazians and Abkhazia (Georg., Russ. and Engl. texts). Tb. 1990 http://www.amsi.ge/istoria/div/m.lordkiPaniZe_afx.html#90.

⁷ S. Markedonov. Abkhazia: Historical Context. in Abkhazia Between Past and Future. Prague. 2013, გვ. 18.

⁸ აფხაზების შესახებ სრული ნარატივისთვის იხ. З. Папаскири. Абхазия: история без фальсификации. 2е изд. Тб. 2010.

ზემოთ წარმოდგენილი ნარატივი კომპლექსური კვლევის შედეგებია. კონკრეტული კუთხით, არის კიდევ ერთი საინტერესო მეთოდი, კერძოდ, ნუმიზმატიკური. თუ აფხაზეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა შინაარსობრივად იდენტურია დანარჩენ დასავლეთ საქართველოში ნაპოვნი ნუმიზმატიკური მასალის, ყოველივე იმას ნიშნავს, რომ ისტორიულ პერსპექტივაში აქაც და იქაც ერთი ჯგუფის მონეტები მიმოიქცეოდა, და რომ დასავლეთ საქართველოს შესაბამისი ფიზიკური სუბსტრატი ყოველთვის ერთ ეკონომიკურ სისტემას ქმნიდა, კოლხეთს, ლაზიკას, ეგრის-აფხაზეთს, ზოგადი საზღვრებით – ბიჭვინთა-შორაპანი-გონიო. X-XI საუკუნეების მიჯნა უკვე საქართველოს ეკონომიკური სისტემის ფორმირების ხანაა. XIII საუკუნის II ნახევარში ის დროებით დაიშალა. თუ აფხაზეთში აღმოჩენილი XIII-XVIII საუკუნეებით დათარიღებული ნუმიზმატიკური მასალა შინაარსობრივად იდენტურია დანარჩენ დასავლეთ საქართველოში ნაპოვნი XIII-XVIII საუკუნეებით დათარიღებული ნუმიზმატიკური მასალის, ყოველივე იმას ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველო XIII-XVIII საუკუნეებში ეკონომიკურ სისტემას წარმოადგენდა ზოგადი საზღვრებით – ბიჭვინთა-შორაპანი-გონიო.

სამონეტო მიმოქცევა კოლხეთში ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში

კოლხური თეთრი სამონეტო ჯგუფის სახელია. პირველად სახელწოდება „კოლხური თეთრი“ II ტიპის ჰემიდრაქმებს (იგივე ტრიობოლი. შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) ეწოდა. ისინი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მათი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა.

ე.წ. ტეტრადრაქმის (შუბლი: იშვიათი ხელოვნებით შესრულებული დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება მარცხნივ/მარჯვნივ. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული ფრთოსანი რაშის პროტომა მარჯვნივ) სამი ცალია ცნობილი, სამივე უპასპორტოა. ერთი მონეტა გამოქვეყნდა 1907 წელს და გამომცემელმა ის ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე დაუკავშირა კუნძულ ლესბოსს. ამჟამად ეს ცალი ინახება ჰააგის მუზეუმში. 1949 წელს საქართველოს მუზეუმის კუთვნილი იდენტური მონეტა გამოსცა დ.

კაპანაძემ, ხოლო 1957 წელს ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ცალი – ინგლისელმა ქართველოლოგმა დ. ლანგმა.

ე.წ. ტეტრადრაქმის შუბლზე გამოსახული ლომის თავი სტილისტურად მსგავსია I ტიპის დიდრაქმის (შუბლი: მწოლიარე ჰერმადროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: *quadratum incusum*-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის ფიგურა მარჯვნივ/მარცხნივ) შუბლზე გამოსახული ლომის თავის. I ტიპის დიდრაქმის 9 ცალიდან 5 დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, მათგან 3 – ფოთის და ახალსოფლის (ზუგდიდის რაიონი) კოლხური მონეტების განძებში. ამ განძებში აღმოჩენილი ფულის უმრავლესობა II ტიპის ჰემიდრაქმებს წარმოადგენს. ამ უკანასკნელის კოლხური გენეზისი კი ეჭვგარეშეა. I ტიპის დიდრაქმის აღმოჩენის ტოპოგრაფია (დასავლეთ საქართველო) მიუთითებს მის კოლხურ გენეზისზე.

ე.წ. ტეტრადრაქმის შუბლზე გამოსახული ლომის თავი სტილისტურად მსგავსია I ტიპის ჰემიდრაქმის (შუბლი: დადრეწილი ლომის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: *quadratum incusum*-ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა) და ე.წ. დრაქმის (შუბლი: ლომის თავის გამოსახულება პირდაპირ. ზურგი: *quadratum incusum*-ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარისთავი) იკონოგრაფიის. I ტიპის ჰემიდრაქმის 4 ცალი კოლხეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად, რაც მისი კოლხური გენეზისის მანიშნებელია. ქუთაისის მუზეუმის კუთვნილი უპასპორტო ე.წ. დრაქმა კი, ალბათ, სადმე იქვეა აღმოჩენილი. ლოკალურ მუზეუმში ეს უნიკალური მონეტა სხვანაირად ვერ მოხვდებოდა.

I ტიპის დიდრაქმის ზურგის იკონოგრაფია ტიპოლოგიურად მსგავსია ე.წ. დრაქმის, III ტიპის დიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ. ზურგი: ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ორ *quadratum incusum*-ში. ეს უკანასკნელი, ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია II ტიპის დიდრაქმის, რომელზეც ადამიანის სამი თავია გამოსახული. შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ (ზუსტად ისეთივე, როგორც მეორე ტიპის ნახევარდრაქმაზე). ზურგი: ორ *quadratum incusum*-ში ადამიანის ასეთივე თავები ერთმანეთის საპირისპიროდ) და II ტიპის ჰემიდრაქმის ზურგზე გამოსახული ხარისთავების. II ტიპის ჰემიდრაქმები ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს

(ძველი კოლხეთი) როგორც ზღვისპირა, ისე შიდა ტერიტორიაზე. II ტიპის დიდრაქმის ნაწილია კოლხეთში აღმოჩენილი, ისევე როგორც – III ტიპის დიდრაქმა.

თავდაპირველად, „კოლხური თეთრი“ II ტიპის ჰემიდრაქმას ეწოდა. ე.წ. ტეტრადრაქმის და ზემოთ განხილული სხვა ტიპის მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია და ტიპოლოგიური-სტილისტური ანალიზი საფუძველს გვაძლევს ისინი კოლხური თეთრის ჯგუფს მივაკუთვნოთ.

ე.წ. ტეტრადრაქმის ზურგზე გამოსახული ფრთოსანი რაშის პროტომა თითქოს ანალოგიის გარეშეა, მაგრამ ის სემანტიკურად უკავშირდება კონკრეტულ სამონეტო ჯგუფს.

სამონეტო ჯგუფის, კოლხური თეთრის, ფარგლებში რვა ტიპი გამოიყოფა. რვავე ტიპის ლოკალური გენეზისის საკითხი პუნქტობრივად ასე უნდა გადაწყდეს:

1) ჰემიდრაქმის II ტიპი (ადამიანის თავის გამოსახულება/Rv. ხარის თავი) კოლხეთში იჭრებოდა. აღმოჩენათა ტოპოგრაფია სწორედ ამაზე მეტყველებს – ათასობით არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში; მის ფარგლებს გარეთ კი მხოლოდ რამდენიმე ათეული ცალია დაფიქსირებული.

2) III ტიპის დიდრაქმა (ადამიანის თავი/Rv. ხარის თავები ორ quadratum incusum-ში) ადამიანის და ხარისთავიანი ძეგლების ტიპოლოგიური პროტოტიპია, ჰემიდრაქმა მისი გამარტივებული ვარიანტია – აქ ხარის თავია ორის მაგივრად. ორივე ტიპის არქაისტული სტილიც მათ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებს – ეს კოლხეთის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ელინური პოლიტიკური ორგანიზმის პროდუქციაა.

3) II ტიპის დიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/Rv. ასეთივე თავები ორ quadratum incusum-ში) წინას მსგავსია. ზურგის მხარეები თითქოს განსხვავებულია, მაგრამ ცოტა ქვემოთ აღვნიშნავთ ქალის და ხარის ტიპოლოგიურ სინთეზს I ტიპის დიდრაქმის რევერსზე; ე.ი. ქალი და ხარი სინონიმური კატეგორიებია. არქაისტული ადამიანის თავის ტიპოლოგია და აღმოჩენათა ტოპოგრაფია კვლავ და კვლავ კოლხეთის ელინურ პოლისებზე უნდა ამახვილებდეს კონკრეტული ასპექტით ჩვენს ყურადღებას.

4) ჰემიტეტარტემორიონები ფიჭვნარიდან (არქაისტული თავი/Rv. წერო) თემატურ ჰარმონიაშია დანარჩენ ნომინალებთან და აი, რატომ:

ა) II ტიპის დიდრაქმაზე ტრიომორფული ჰეკატეა (ამაზე ქვემოთ).

ბ) III ტიპის დიდრაქმაზე – ტრიომორფული და ზომორფული ჰეკატე.

გ) II ტიპის ჰემიდრაქმის ტიპოლოგიაც მსგავსია.

ე. ი. ყველგან მთვარის ატრიბუტებია.

ჰემიტეტარტემორიონის ტიპოლოგიასთან მიმართებაში მეტად სიმპტომატურია მაღალფეხებიანი ფრინველის და ლოტოსის კვიპროსული (კერამიკაზე) სინთეზი; ეს უკანასკნელი ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტია, წერო კი მისი სინონიმი ყოფილა. ნაყოფიერების ღვთაება კოლხეთში ამავე დროს ჰეკატეცაა.

5) ასეთი ფუნქციური სინთეზის იკონოგრაფია I ტიპის დიდრაქმის ზურგის მხარეზეა წარმოდგენილი:

ა) ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული;

ბ) ხარის თავი მთვარის ატრიბუტია;

გ) ამასთან ჰინტერლანდში ὁ Μείζ კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἑκάτη. ბილინგვიზირებული ფაზისის ვარიანტია ჰერმადროდიტული სინთეზი – მთვარის სქესობრივი აღქმის მოტანილი და ადგილობრივი შტრიხების შერწყმა.

ტიპოლოგიური მიმართებანი, აღმოჩენათა ტოპოგრაფია, ასტრალური თემატიკა (შუბლის მხარეზე გამოსახული ლომი, აპოლონ/ჰელიოსის სიმბოლო; მისი ჰერმადროდიტიზაცია კი უკვე აპოლონის მზექალასთან შერწყმის პერიპეტიაა. ლომი ნამდვილად ჰერმადროდიტია – ხვადის ფაფრითა და ძუძუებით. ეს ორი სქესობრივი კატეგორია იკონოგრაფიულად რეალისტურად აისახებოდა, მაგალითისთვის იხ. კოლხური ჰემიდრაქმების I ტიპი; ან კი – საკუთრივ მილეტური ნუმისმატიკა) კონკრეტულ ტიპს უცილობლად უკავშირებს ზემოაღნიშნულ მასალას.

6) კოლხური ე.წ. დრაქმა (ლომის თავი პირდაპირ/Rv. ხარის თავის გამოსახულება), ქუთაისის მუზეუმის უპასპორტო ცალი, ტიპოლოგიურ-თემატურ კავშირშია განხილულ დიდრაქმასთან.

7) იგივე შეიძლება ითქვას I ტიპის ჰემიდრაქმის (ლომის თავი/Rv. ძუ ლომის პროტომა) მიმართაც – აქ მზის ჰერმადროდიტული აღქმის იდეაა დაფიქსირებული; აღმოჩენათა ტოპოგრაფიაც მის კოლხურ გენეზისს ეთანხმება.

8) ე.წ. ტეტრადრაქმები უპასპორტოა. მაგრამ ტიპოლოგიური პარალელი ჰემიდრაქმების I კატეგორიასთან აშკარაა; თემატიკა ტრადიციულია: აპოლონი-ლომი-მზე/პეგასი-მთვარე.

ე.წ. ტეტრადრაქმებზე, I ტიპის დიდრაქმებზე და I ტიპის ჰემიდრაქმებზე მოთავსებულ ლომის გამოსახულებას ანალოგია გააჩ-

ნია მილეტის ნუმიზმატიკაში. ლომი მილეტის სახელმწიფოებრივი ემბლემაა და გამოსახულია მის მონეტებზე. ლომის მოტივი ძალიან ხშირია ბერძნულ ნუმიზმატიკაში და მას სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში განსხვავებული ფუნქციები აკისრია. მაგრამ მილეტის ნუმიზმატიკაში, როგორც ამას სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, ის ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაკავშირებულია აპოლონის კულტთან. გარდა ამისა, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ მილეტის კოლონიების მონეტებზე ყველგან ლომია გამოსახული (მაგ., პანტიკაპეიონის, თანამ. ქერჩი, მონეტებზე). კოლხურ I ტიპის დიდრაქმაზე გამოსახული ლომი, როგორც ეს არაერთგზისაა აღნიშნული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, ყველა დეტალში იმეორებს მილეტურ მონეტებზე ამოტვიფრულ ლომს. ამის იდენტურია აგრეთვე კოლხურ ე.წ. ტეტრადრაქმაზე და I ტიპის ჰემიდრაქმაზე ამოკვეთილი ლომის თავები. მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. დრაქმაზე გამოსახული ლომის თავი პირდაპირ ანალოგიის გარეშეა, იკონოგრაფიული მახასიათებლებით ის დაკავშირებულია კოლხური თეთრის ჯგუფთან.

ცნობილია, რომ მილეტის მთავარი ღვთაება აპოლონი იყო (ეს მრავალსახა ღვთაებაა, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ის არის მნიშვნელოვანი, რომ იგი აღიარებულია გზების, მგზავრებისა და მეზღვაურების მფარველად და აგრეთვე, მზის სხივის ღვთაებად). ისიც ცნობილია და დავას არ იწვევს, რომ კოლონიას თავის დამაარსებელ ქალაქთან აკავშირებდა რელიგიური კულტი; კოლონიაში იგივე ღვთაებას სცემდნენ თაყვანს, როგორსაც მეტროპოლიაში.

1899 წელს მდ. ყუბანის ნაპირას ხუტორ ზუბოვკაში აღმოჩნდა ვერცხლის თასი წარწერით: „აპოლონ-წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფაზისში არის“. წარწერა თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის დასასრულით, ან IV საუკუნის დასაწყისით. ამის საფუძველზე ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ფაზისში არსებობდა აპოლონის ტაძარი ან სამლოცველო და ეს ნივთი მისთვის იყო შეწირული. ამრიგად, ფაზისში, ისევე როგორც ყველა თავის კოლონიაში, მილეტელებს გადმოუტანიათ და დაუნერგავთ აპოლონის კულტი. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ფაზისში აპოლონ-წინამძღოლის/ჰეგემონის ტაძარი იყო, ე.ი. სწორედ კოლონისტების კულტი იყო გადმოტანილი.

კოლხურ თეთრზე გამოსახული ლომი აპოლონის კულტს უკავშირდება. ის ასევე უკავშირდება ქართული პანთეონის მთავარ ღვთაებას – მზეს. კოლხური მონეტა სინთეზურ კატეგორიას მიეკუთვნება.

ზემოთ მოტანილი არგუმენტები იძლევა საფუძველს, რომ ლომის გამოსახულებიანი კოლხური თეთრის ემისია ფაზისის ზარაფხანას მივაკუთვნოთ.

ე.წ. ტეტრადრაქმების ატრიბუციასთან დაკავშირებული სიმნელების მიუხედავად, როგორც აღვნიშნეთ, ავერსზე გამოსახული ლომის გამოსახულება ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია კოლხეთის ნუმიზმატიკური მასალის, განსაკუთრებით კი მწოლიარე ლომის გამოსახულებიანი დიდრაქმების. თუმცა რევერსზე გამოსახული ფრთოსანი რაშის პროტომა ანალოგიის გარეშეა. II ტიპის დიდრაქმის, III ტიპის დიდრაქმის, ე.წ. დრაქმის ზურგის მხარის და II ტიპის ჰემიდრაქმის გამოსახულებების ჰეკატეს კულტთან დაკავშირებით შესაძლებელია ე.წ. ტეტრადრაქმის რევერსზე გამოსახული ფრთოსანი რაშის, რომელიც ამოვარდნილია კოლხური თეთრის საერთო ტიპოლოგიიდან, სემანტიკური მნიშვნელობის ახსნაც.

რას უკავშირდება ყველაზე უფრო გავრცელებული კოლხური თეთრის იკონოგრაფია ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია იმ ფანტასტიკური არსების სწორი დეფინიცია, რომელიც I ტიპის დიდრაქმაზეა ამოტვიფრული. ეს უაღრესად რთული საკითხია, მაგრამ ზოგი მოსაზრების წამოყენება მაინც არის შესაძლებელი.

ზოგიერთი მეცნიერის მიერ ადრევე იყო შენიშნული დიდი მსგავსება ჩვეულებრივი ტიპის ნახევარდრაქმებზე გამოსახული ხარისა და დაჩოქილი ადამიანის ხარის თავებს შორის. ეს იძლევა მათ შორის იკონოგრაფიული ძაფის გაბმის საშუალებას. გაითვალისწინა რა ზემოთქმული, რუსმა მეცნიერმა ა. ზოგრაფმა დასვა უაღრესად მნიშვნელოვანი კითხვა: ხომ არ არის კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ცვალებადობა ერთ და იმავე ღვთაებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციის, წარმოდგენათა ცვალებადობის (ცხადია, დროის განზომილებაში) შედეგი? ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დაკვირვებაა. მართლაც, შესაძლებელია ფანტასტიკურ არსებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციამ ძვ. წ. V საუკუნეში, თავდაპირველად, მოგვცა II ტიპის დიდრაქმა, ხოლო შემდეგ – III ტიპის დიდრაქმა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანისა და ხარის თავების მონაცვლეობა II ტიპის დიდრაქმის და III ტიპის დიდრაქმის რევერსზე შემთხვევით არ უნდა იყოს და მათ ეკვივალენტურობაზე უნდა მიუთითებდეს, და ბოლოს, მივიღეთ II ტიპის ჰემიდრაქმა, ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით.

ხარი, როგორც წესი, უკავშირდება მთვარის ღვთაებას. ანტიკურ მითოლოგიაში კი სამთავიანი ღვთაება, რომელსაც მთვარის ღვთაე-

ბის ფუნქციაც აქვს, არის ჰეკატე. სწორედ, ამ ქალღმერთის სამი თავი უნდა იყოს გამოსახული II ტიპის დიდრაქმაზე. ამრიგად, თითქოს გაიბა ერთგვარი ჯაჭვი კოლხური თეთრის სხვადასხვა ტიპის მონეტებს შორის.

გაითვალისწინეს რა ყოველივე ზემოთქმული, ქართველმა მეცნიერებმა დ. კაპანაძემ და ი. შენგელიამ II ტიპის დიდრაქმაზე გამოსახული სამი იდენტური თავი მიიჩნიეს სამთავიან ჰეკატეს იკონოგრაფიად და დაუკავშირეს მთვარის სამ ფაზას.

ამრიგად, ჰეკატეს კულტის არსებობის ფაქტი კოლხეთში რეალობაა. თუ მსჯელობა ჰეკატეს კულტისა და კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ურთიერთკავშირის შესახებ შესაწყნარებელია, მაშინ შესაძლებელია აიხსნას აგრეთვე ე.წ. ტეტრადრაქმის რევერსზე გამოსახული ფრთოსანი რაშის სემანტიკური მნიშვნელობაც. საქმე ისაა, რომ სხვა მრავალ ფუნქციას შორის, რომელიც ჰეკატეს გააჩნია, ის ცხენების მოშენების მფარველი ღვთაებაცაა. ძალიან ფრთხილი ვარაუდის სახით შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე ჰეკატეს კულტის ანარეკლთან გვაქვს.

იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ძველ ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარის ღვთაება ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო. ჰეკატე კი თავის თავში აერთიანებდა მთვარის ღვთაების ფუნქციებსაც. ამავე დროს ჰეკატეს კულტი, სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად, ასევე პოპულარული იყო მილეტში.

აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ მილეტიდან მოსულმა ბერძნებმა ადგილობრივი მთვარის ღვთაება გაიაზრეს როგორც ჰეკატე და მისი გამოსახულება მოათავსეს ე.წ. კოლხურ მონეტებზე. თუ ეს ასეა, მაშინ არაფერი იქნება იმაში უჩვეულო, რომ ეს მონეტები ერთდროულად ასრულებდა საქალაქო მონეტის ფუნქციასაც და კოლხეთის შიდა რაიონებთან სავაჭრო ეკვივალენტის როლსაც. ეს მოსაზრება დასტურდება იმიტაც, რომ კოლხური თეთრი აღმოჩენილია როგორც შავი ზღვის სანაპირო ზოლის პუნქტებში, ასევე – დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში. ამასთანავე, დღეისათვის მათი აღმოჩენების რიცხვი შიდა რაიონებში სჭარბობს.

ე.წ. ტეტრადრაქმების ზუსტი დათარიღება ძალიან ჭირს, ვინაიდან ისინი არ აღმოჩენილა კარგად დათარიღებულ არქეოლოგიურ თუ სამონეტო კომპლექსში. მაგრამ შედარების გზით სხვა ცენტრების არქაულ მონეტებთან, სტილისტური, ტიპოლოგიური და ფაქტურული ანალიზის საშუალებით სავსებით შესაძლებელია მათი მიკუთვნება ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულისთვის. არ არის

გამორიცხული, რომ მონეტები მოიჭრა ძვ. წ. 494 წლის შემდგომ, მილეტის განადგურების მერე.

კოლხური თეთრის აბსოლუტური უმრავლესობა ანეპიგრაფიკულია, მაგრამ II ტიპის ჰემიდრაქმის უმნიშვნელო რაოდენობაზე მაინც გვხვდება ბერძნული ასო-ნიშნები: MO/ΣO, Φ, A, O, E, Π, Δ. მათი მნიშვნელობის გახსნა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ანალოგიების საფუძველზე, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ისინი მაგისტრატების სახელების აღმნიშვნელი ასოებია. სწორედ ისინი აგებდნენ პასუხს სამონეტო ემისიაზე. მაგისტრატის ფიქსაცია ეკონომიკური წლის აღნიშვნის ტოლფასია. ე.ი. ჰემიდრაქმები იდენტური ასოებით ერთი ემისიას.

განსახილველი ნუმიზმატიკური ძეგლების ტიპოლოგიურ-სტილისტური ანალიზი და აღმოჩენათა ტოპოგრაფია მეტყველებს იმაზე, რომ კოლხური თეთრი ადგილობრივი ბერძნების მიერ არის მოჭრილი. დამატებითი არგუმენტი ბერძნების მიერ კოლხური თეთრის მოჭრისა და, შესაბამისად, ფაზისის პოლისური სტატუსის შესახებ ასეთია: კოლხურ თეთრზე ღვთაებები და მათი ატრიბუტებია გამოსახული, და არა მეფესთან დაკავშირებული იკონოგრაფია, ან ლეგენდა. სამონეტო ტიპის ასეთი გადაწყვეტა სწორედ რომ რესპუბლიკის მახასიათებელი შტრიხია. ზემოთ განხილული ნუმიზმატიკური ძეგლების ნებისმიერი ტიპი ამ მომენტის მატარებელია.

II ტიპის ჰემიდრაქმის დათარიღების საკითხში ერთსულოვნება არ სუფევს. ალბათ, უფრო მისაღებია მათი მოჭრის თარიღად ძვ. წ. V-III საუკუნეები ვივარაუდოთ, რადგან ისინი სწორედ ამ პერიოდის სამარხებში გვხვდება. გარდა ამისა, იშვიათ შემთხვევებში, მაგრამ მაინც, ეს მონეტები აღმოჩენილია უცხო ქვეყნების კარგად დათარიღებულ საფასეებთან ერთად, რაც ამაგრებს ზემოთ დასახელებულ თარიღს. მათი მოჭრის ქრონოლოგიის დასადგენად ასევე სიმპტომატურია: 1. quadratum incusum-ის გაქრობა, 2. ამ ტიპის ნუმიზმატიკური ძეგლების განსაკუთრებული მრავალრიცხოვნება, 3. სინჯის და წონის ეტაპობრივი შემცირება – ყოველივე აღნიშნული საფუძველს გვაძლევს II ტიპის ჰემიდრაქმების ძვ. წ. V-III საუკუნეების ჩარჩოში მოქცევისათვის.

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი უცხოური ფული (ძვ. წ. VI-IV სს., ალექსანდრემდე)

მცირეაზიური მონეტები

ა) ლიდური მონეტები:

1. 1990 წელს ვანის რაიონის სოფელ სულორში აღმოჩნდა მეორე ტიპის ნახევარდრაქმების განძი, რომლის შემადგენლობაში ერია ვერცხლის სამი უცხოური მონეტა. სამი უცხოური მონეტიდან ორის განსაზღვრა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მესამეს ატრიბუცია კი სათუაოა. ვერცხლის ერთი მონეტა მოჭრილია ლიდიამი ძვ. წ. 561-546 წლებში. შუბლი: ერთმანეთის საპირისპიროდ გამოსახული დადრეწილი ლომის და ხარის თავები. ზურგი: ორი *quadratum incusum*. მცირე ზომის ვერცხლის მეორე მონეტაზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ფაფარიანი ლომის თავი, ხოლო ზურგზე – გამარტივებული ვარსკვლავისმაგვარი ფიგურა. შუბლის მოტივის მიხედვით, პირობითად ისიც შეიძლება ლიდიას მივაკუთვნოთ (გამორიცხული არაა მისი ემისია კარიაში) და ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრით დავათარილოთ. რაც შეეხება მესამე მონეტას, ის აქემენიდურია და მას თავის ადგილას შევცხებით (იხ. №20).

ბ) კიზიკური სტატერები:

2. 1952 წელს ფიჭვნარში შემთხვევით აღმოჩნდა მეორე ტიპის ნახევარდრაქმების განძი, რომლის შემადგენლობაში ერია ძვ. წ. 500-460 წლებით დათარიღებული კიზიკის სტატერი გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულებით, ზურგზე *quadratum incusum*.

3. 1968 წელს ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრების დროს ბერძნული სამაროვნის №15 სამარხში იპოვეს კიზიკური მონეტა ტრიტონის გამოსახულებით. სტატერი თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის I ნახევრის დასასრულით.

4. 1967 წელს იმავე სამაროვანზე №6 სამარხში მიკვლეულ იქნა კიზიკური სტატერის ნიმფა კლიტეს (კლიტიას) გამოსახულებით. მონეტა თარიღდება ძვ. წ. 460/430 წლებით.

5. ლიტერატურაში დაცული ცნობის თანახმად, ერთი კიზიკური მონეტა აღმოჩნდა ვანში 1895 წელს. სამწუხაროდ, ზუსტი თარიღი ამ სტატერისა ცნობილი არ არის.

გ) სინოპური დრაქმები:

6. 1967 წელს ფიჭვნარის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე შემთხვევით იპოვეს ძვ. წ. VI-V საუკუნეების სინოპური დრაქმა (ტიპი: დელფინი – *quadratum incusum*)

7-8. 1965 და 1966 წლებში ურეკში ზღვის ნაპირას შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევრის სინოპური დრაქმები. ვინაიდან სინოპური მონეტები ფართოდ იყო გავრცელებული კოლხეთის სანაპირო ზოლში, ვიძლევიტ მათ სტანდარტულ აღწერილობას. შუბლი – ნიმფა სინოპეს გამოსახულება მარცხნივ. ზურგი – მარცხნივ მიმართული დელფინზე მჯდომი არწივი. არწივის

ფრთის ქვეშ სხვადასხვა მაგისტრატის სახელი ბერძნული ასოებით. დელფინის ქვემოთ ასევე ბერძნულად ქალაქის სახელი – ΣΙΝΩ.

9-12. ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევრით თარიღდება 4 დრაქმა, აღმოჩენილი ბათუმის მიდამოებში 1900-იან წლებში.

13. 1948 წელს ფიჭვნარში საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავების დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი წონით 6-8 კგ. მისი ძირითადი ნაწილი გაიფანტა. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში 149 მონეტაა დაცული, საქართველოს მუზეუმში – 9. გადარჩენილი ნაწილიდან 110 სინოპური დრაქმაა, რომლებიც ზოგადად ძვ. წ. 360-320 წლებით თარიღდება; დანარჩენი კი მეორე ტიპის კოლხური ტრიობოლებია. განძის მეცნიერულმა შესწავლამ დააკონკრეტა მისი ჩაფლობის თარიღი – ძვ. წ. 350-345 წწ.

14. 1880-იან წლებში სოხუმში იპოვეს ძვ. წ. IV საუკუნის სინოპური დრაქმა.

დ) ამისოს დრაქმები:

15. 1966 წელს ქობულეთში შემთხვევით აღმოჩნდა ქალაქ ამისოს ვერცხლის მონეტა, დათარიღებული ძვ. წ. IV საუკუნით, ალექსანდრე მაკედონელის მეფობის წინა ხანებით (ტიპი: შუბლი – ქალის თავის გამოსახულება. ზურგი – ბუ).

16. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა სოხუმის ციხის ტერიტორიაზე.

ჩრდილო შავიზღვისპირეთის მონეტები

ა) პანტიკაპეიონი:

17. 1967 წელს ფიჭვნარში ბერძნული სამაროვნის №5 სამარხში აღმოჩნდა ძვ. წ. 475-450 წლებით დათარიღებული პანტიკაპეიონის ვერცხლის მონეტა (შუბლი – დელფინი. ზურგი – quadratum incusum).

18. ლიტერატურაში დაცული ცნობის თანახმად, ციხისძირში შემთხვევით უპოვიათ პანტიკაპეიონის სპილენძის მონეტა, მოჭრილი ძვ. წ. 370-340 წლებში.

ბ) ნიმფეიონი:

19. 1968 წელს ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანის №8 სამარხში აღმოჩნდა ნიმფეიონში მოჭრილი დიობოლი, დათარიღებული ძვ. წ. V საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით (შუბლი – ნიმფას თავის გამოსახულება. ზურგი – quadratum incusum -ში მოთავსებული ვაზის ლერწი ყურძნის მტევნითა და ფოთლებით).

აქემენიდური ირანი:

20. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი სულორის განძის შესახებ (იხ. №1). სწორედ ამ განძის შემადგენლობაში აღმოჩნდა აქემენიდური ხანის ძვ. წ. V საუკუნის სპარსული სიკლი (შუბლი – მარჯვნივ

მიმართული ირანის „მეფის“ გამოსახულება. ზურგი – quadratum incusum).

ათენური ტეტრადრაქმები:

21. 1890-იან წლების დასასრულს მწვანე კონცხის მიდამოებში იპოვეს ძვ. წ. V-IV საუკუნეების ათენური ტეტრადრაქმა (შუბლი – მარჯვნივ მიმართული ქალღმერთ ათენას თავის გამოსახულება. ზურგი – მარჯვნივ მიმართული ბუ), რომელიც პირადად ნახა და აღწერა ე. პახომოვმა. ამდენად, ეს აღმოჩენა ეჭვს არ იწვევს.

მაკედონია:

22. ვანში არქეოლოგიური გათხრების დროს 1969 წელს კოლხი მეომრის სამარხში აღმოჩნდა მაკედონიის მეფის ფილიპე II-ის (ძვ. წ. 359-336 წწ.) სტატერი. ამ ოქროს მონეტის აღწერილობა ასეთია: შუბლი – აპოლონის თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი – მარჯვნივ მიმართული მხედარი ორცხენიან ეტლზე. ცხენების წინა ფეხებთან სიმბოლო – ლომის თავი პირდაპირ. ხაზს ქვემოთ ბერძნული ზედწერილი – ΦΙΛΙΠΠΟΥ.⁹

კოლხური თეთრი აფხაზეთიდან

XX საუკუნის დასაწყისში სოხუმის მიდამოებში აღმოჩნდა კოლხური თეთრის განძი. 1926 წელს ზღვის სანაპიროზე სოხუმთან იპოვეს ერთი კოლხური ჰემიდრაქმა. ბ. კუფტინის მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ზემო ეშერასთან (სოხუმის რაიონი) კიდევ ერთი კოლხური მონეტაა ნაპოვნი.

1953 წელს სოხუმის მიდამოებში მ. ტრაპშის მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებულ №39 სამარხში აღმოჩნდა კოლხური ჰემიდრაქმა რევერსზე ბერძნული ასოთი.

1959 წელს სოხუმში, შუქურის რაიონში, მოქალაქე დარასელიამ იპოვა ჩვეულებრივი ტიპის კოლხური მონეტა.

1966 წელს სოფელ ფარნაუთში (გულრიფშის რაიონი) აღმოჩნდა დიდი განძი, საიდანაც ხუთი მონეტა ჩაიბარა სოხუმის მუზეუმმა.

1967 წელს სოფელ ნაბაკევში (გალის რაიონი) აღმოჩნდა კოლხური თეთრის განძი, რომელიც 430 მონეტისგან შედგებოდა.

⁹ თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი, ნ. ხარშილაძე. კოლხური თეთრი. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge>; თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. I ნაწილი. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2013, გვ. 8-78; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Second edition. Compiled by A. Boshishvili, A. Tabuashvili, L. Tavadze, Natia Phiphia, A. Chikobava, E. Avdaliani, M. Kardava. Athens. 2021, გვ. 11-65.

სოფელ საბერიოში (გალის რაიონი) აღმოჩნდა კოლხური თეთრის განძი, რომელიც 44 მონეტისგან შედგებოდა.¹⁰

ცნობილია სოფელ ფსირცხადან (გუდაუთის რაიონი) მომდინარე კოლხური თეთრის განძი; კოლხური თეთრის ცალკეული აღმოჩენა ოჩამჩირედან.¹¹

სოხუმის მუზეუმში ინახება 5 მონეტისგან შემდგარი განძი, რომელთაგან ოთხი კოლხურია.


არის ცნობა სოფელ ანუხვაში (გუდაუთის რაიონი) კოლხური მონეტის აღმოჩენის შესახებ, რომელზე დატანილი იყო ბერძნული ასო Δ.¹²

¹⁰ С. М. Шамба. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н. э.-XIII в. н. э.). Тб. 1987, гз. 10; აფხაზეთში აღმოჩენილი მონეტების უახლესი მიმოხილვისთვის იხ. А. Тания, И. Чкадуа. История денежного обращения Абхазии. Сухуми. 2022.

¹¹ С. М. Шамба. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н. э.-XIII в. н. э.). Тб. 1987, гз. 11.

¹² С. М. Шамба. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н. э.-XIII в. н. э.). Тб. 1987, гз. 18.

ბგ. წ. VI-IV სს. მონეტები დასავლეთ საქართველოდან



- კოლხური თეთრი
- სინოპური დრაქმები და სხვა ბერძნული ფული

სამონეტო მიმოქცევა კოლხეთში ძვ. წ. IV-III საუკუნეებში

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა გადატრიალება მოახდინა ანტიკური სამყაროს ყველა სფეროში, მათ შორის სამონეტო საქმეშიც. ალექსანდრეს ფულადმა სისტემამ თითქმის მთელ იმდროინდელ მსოფლიოში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა. მისი გარდაცვალების შემდეგ დიადოხოსებიდან ერთ-ერთმა გამორჩეულმა, თრაკია-მაკედონიის მეფე ლისიმაქემ ალექსანდრეს გამოსახულებით მოჭრა მონეტები, რომლებმაც ასევე დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ალექსანდრეს და ლისიმაქეს ოქროს მონეტები იმდენად პოპულარული იყო, რომ ამ მონარქების გარდაცვალების შემდეგ ორი-სამი საუკუნის განმავლობაში ორივე სამონეტო ტიპის მოჭრა გრძელდებოდა მათივე სახელით, სხვადასხვა ტერიტორიაზე, სხვადასხვა იურიდიული ორგანოს, თუ პირის მიერ.

კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტაც სწორედ ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მასობრივ შემოსვლასთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც, მოგვიანებით, კოლხეთში მოჭრილი მონეტები ტიპოლოგიურად სწორედ ალექსანდრეს და ლისიმაქეს სახელით მოჭრილ სტატერებს უკავშირდება, მათი იმიტაციაა.

აკის სტატერი (შუბლი: ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი: მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში გამარჯვების ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი ტახტის სახელურს ეყრდნობა. ტახტის უკან მოთავსებულია ფარი. ათენა პალადას ქვემოთ სამთითა, რომლის ორსავე მხარეს პატარა დელფინებია გამოსახული. ამ კომპოზიციის უკან ბერძნული ზედწერილი – ΒΑΣΙΛΕΩΣ, წინ – ΑΚΟΥ) ზუსტი ასლია ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ოქროს იმ მონეტებისა, რომელთა ემისიას აწარმოებდა ქალაქი ბიზანტიონი ძვ. წ. 195 წლის შემდგომ ხანებში. სწორედ ბიზანტიონში მოჭრილ მონეტებზეა დატანილი ამავე ქალაქის ემბლემა, სამთითა, რომლის ტარი შემკულია ორი დელფინით. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, აკის სტატერი ძვ. წ. 195 წლის შემდგომი პერიოდით, ძვ. წ. II საუკუნის 80-იანი წლებით თარიღდება. აკის სტატერის მარაგი 2 ცალით განისაზღვრება. მონეტა თავისი მხატვრული, სტილისტური და ტექნიკური თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება პროტოტიპს.

მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია ამტკიცებს მათ ადგილობრივ, კოლხურ წარმოშობას – აღმოჩენილია ქალაქ ტრაპიზონში (1865 წ.), რომელიც ძველად კოლხეთის საზღვრებში შედიოდა და ხონის რაიონის სოფ. კინჩხაში (1946 წ.), თუმცა სხვა წყაროებით ასეთი სახელის მქონე კოლხეთის მეფე არ დასტურდება.

აკის სტატერს მოსდევს ადგილობრივ მოჭრილი ოქროს მინაბამების მთელი სერია, ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბამები (ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბამები. შუბლი: არანატურალისტური თავის გამოსახულება მარჯვნივ. თმის სოლარული ვარცხნილობა ხშირად შემკულია ჩიტების გამოსახულებით. ზურგი: ტახტზე მჯდომი ათენას სქემატური გამოსახულება მარცხნივ/მარჯვნივ. ხელში ნიკე უჭირავს. ქვემოთ სამთითა. ალექსანდრეს ტიპის სტატერების ქართული მინაბამები. შუბლი: არანატურალისტური თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი: ხარისთავიანი ან ვერძისთავიანი ნიკეს სქემატური გამოსახულება პირდაპირ). დროთა განმავლობაში მინაბამების გამოსახულებანი თანდათან უხეშდება, სქემებად იქცევა და ძალიან სცილდება ორიგინალებს. ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბამები აღმოჩენილია სხვა კარგად დათარიღებულ მონეტებთან ერთად და ასევე კარგად დათარიღებულ სამარხებში, რის საფუძველზეც მათი ემისია სავარაუდებელია ძვ. წ. II საუკუნის 80-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან, ვიდრე ძვ. წ. I საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე. ალექსანდრე მაკედონელის ტიპის სტატერების ქართული მინაბამების ემისიის ქრონოლოგიური დიაპაზონი განისაზღვრება ძვ. წ. I-ახ. წ. I საუკუნეებით. რა თქმა უნდა, ეს ეხება მხოლოდ და მხოლოდ დღემდე მოღწეულ ცალებს.

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ძვ. წ. IV-III საუკუნეების უცხოური ოქროს ფული

ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი მონეტები

ა) ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი სტატერები:

1. ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი ოქროს მონეტები აღმოჩენილია სვანეთში (სხვადასხვა ადგილას) – 367 ცალი (მათი უმრავლესობა განძებში იყო თავმოყრილი), რეყეში (ზუგდიდის რაიონი) – 2, ვანში – 2, თითო-თითო ცალი – ფიჭვნარში, ლენტეხში, ფარცხანაყანევში (წყალტუბოს რაიონი), გულრიფშის რაიონში, ჭიორაში (ონის რაიონი). შუბლი – გრძელთმიანი ათენას თავის გამოსახულება კორინთულ მუზარადში მარჯვნივ. მუზარადზე ზოგჯერ დაკლაკნილი გველია გამოსახული. ასევე ზოგჯერ,

ქალღმერთს ყელზე მძივები უკეთია და ყურებზე საყურე ჰკიდია. ზურგი – გრძელ ქიტონში ჩაცმული ფრთოსანი ნიკეს გამოსახულება მთელი ტანით მარცხნივ. მარჯვენა ხელში მას გვირგვინი უჭირავს, მარცხენაში – სტილიდა. ადრეულ ცალებზე მის უკან მოთავსებულია ბერძნული ზედწერილი: ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ. მოგვიანო ცალებზე გამოსახულების წინ – ΒΑΣΙΛΕΩΣ, უკან – ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ. გარდა ამისა, მონეტის არეზე ამოკვეთილია სხვადასხვა მონოგრამები და სიმბოლოები, რომელთა მეშვეობით ხერხდება ზარაფხანების დადგენა.

ბ) ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტები (სხვადასხვა ნომინალები):

2. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის ვერცხლის მონეტებიდან ერთი დრაქმა და ერთიც ტეტრადრაქმა. აღმოჩენათა ტოპოგრაფია ასეთია: ყვირილას მიდამოები და ქუთაისი. შუბლი – ახალგაზრდა ჰერაკლეს თავის გამოსახულება ლომის ტყავში მარჯვნივ. მას ალექსანდრე მაკედონელის სახის ნაკვთები აქვს. ზურგი – ტახტზე მჯდომი ზევის გამოსახულება მარცხნივ. მას მარჯვენა ხელზე არწივი უზის. გამოსახულების უკან მოთავსებულია ბერძნული ზედწერილი: ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ. მონეტის არეზე სხვადასხვა მონოგრამები და სიმბოლოები.

მაკედონიის მეფის ფილიპე III-ის (ძვ. წ. 323-316 წწ.) სტატერები:

3. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ფილიპე III-ის ორი მონეტა ნაპოვნი, ერთი შემთხვევით, აგუმერაში (გულრიფშის რაიონი), ზღვის ნაპირას, და მეორე – ვანში, არქეოლოგიური გათხრების დროს. მაკედონიის მეფე ფილიპე III-ის ოქროს მონეტა უცვლელად იმეორებს ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ტიპს, განსხვავება მხოლოდ ლეგენდაში: ΦΙΛΙΠΠΟΥ.

ლისიმაქეს (თრაკია-მაკედონიის მეფე – ძვ. წ. 306-282 წწ.) სახელით მოჭრილი სტატერები და ვერცხლის მონეტები (ისინი ერთტიპიურია):

4. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ექვსი სტატერია ნაპოვნი. აქედან ორი მონეტა მიკვლეულია სვანეთში, ორი – ვანში, თითო-თითო – ეკსა (სენაკის რაიონი) და გულრიფშში. ვერცხლის ორი მონეტიდან ერთი აღმოჩენილია ვანში და ერთიც მაკრიალასთან (ადრე შედიოდა ბათუმის ოლქში, ამჟამად თურქეთის ფარგლებშია). შუბლი – მარჯვნივ მიმართული ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება დიადემაში.

ზურგი – მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი შუბსა და ფარს ეყრდნობა. გამოსახულების უკან ბერძნული ზედწერილი – ΒΑΣΙΛΕΩΣ, წინ – ΑΙΣΙΜΑΧΟΥ. მონეტის ზურგზე დამატებითი სიმბოლოები და მონოგრამებია მოთავსებული იმის მიხედვით, თუ რომელ ზარაფხანაშია მოჭრილი ესა თუ ის ცალი.

პანტიკაპეიონის სტატერები (ძვ. წ. IV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი):

5. პანტიკაპეიონის სტატერები, დაახლოებით 30-32 ცალი, აღმოჩნდა სვანეთში განძის სახით, ხოლო ერთი – სამეგრელოს რეგიონში. შუბლი – მარცხნივ მიმართული წვეროსანი სატირის თავის გამოსახულება სუროს გვირგვინში. ზურგი – მარცხნივ მიმართული ლომისთავიანი გრიფონის გამოსახულება, მის ქვემოთ პურის თავთავი. ბერძნული ზედწერილი: ΠΑΝ – გადმოცემს ქალაქის სახელს.

სირაკუზი, ჰიერონ II-ის (ძვ. წ. 275/4-216 წწ.) ნახევარსტატერი:

6. ეს ოქროს მონეტა აღმოჩნდა ვანში არქეოლოგიური გათხრების დროს. ეს არის ერთადერთი შემთხვევა შორეული სიცილიის მონეტების აღმოჩენისა საქართველოში. შუბლი – მარცხნივ მიმართული პერსეფონეს თავის გამოსახულება. ზურგი – მარჯვნივ მიმართული გამარჯვების ქალღმერთი ნიკე ორცხენიან ეტლზე. ბერძნული ლეგენდა ჰიერონის სახელით.¹³

ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები აფხაზეთიდან

1860 წელს გაგრის მიდამოებში აღმოჩნდა ალექსანდრე ტიპის სტატერების ორი ქართული მინაბადი.¹⁴

1928 წელს სოხუმის რაიონში ნაპოვნია ალექსანდრეს ტიპის სტატერების ქართული ელექტრუმის მინაბადი.

¹³ თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი, ნ. ხარშილაძე. ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge>; თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. I ნაწილი. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2013, გვ. 79-102; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Second edition. Compiled by A. Boshishvili, A. Tabuashvili, L. Tavadze, Natia Phiphia, A. Chikobava, E. Avdaliani, M. Kardava. Athens. 2021, გვ. 66-83.

¹⁴ С. М. Шамба. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н. э.-XIII в. н. э.). Тб. 1987, გვ. 30.

ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადი ნაპოვნია 1909-1911 წლებში წებელდასთან.¹⁵

ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადი ნაპოვნია 1956 წელს ახალისოფლის კოლმეურნეობაში (გუდაუთის რაიონი).¹⁶


აფხაზეთის მუზეუმში ინახება ლისიმაქეს ტიპის სტატერების ორი ქართული მინაბადი. ერთი აღმოჩენილია ჩობანდუკის დასახლებაში (ახალი ათონი), ხოლო მეორე – 1911 წელს სოფელ წებელდაში.¹⁷

¹⁵ С. М. Шамба. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н. э.-XIII в. н. э.). Тб. 1987, гз. 30.

¹⁶ С. М. Шамба. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н. э.-XIII в. н. э.). Тб. 1987, гз. 30.

¹⁷ С. М. Шамба. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н. э.-XIII в. н. э.). Тб. 1987, гз. 30.

ბკ. წ. IV-III სს. მონეტები დასავლეთ საქართველოდან



- ალექსანდრეს და ლისიმეჩეს ტიპის სტატერების ქართული მინაბალები
- ალექსანდრეს და ლისიმეჩეს სახელით მოჭრილი სტატერები

სამონეტო მიმოქცევა კოლხეთში ძვ. წ. III-I საუკუნეებში

კოლხეთში ძვ. წ. II საუკუნეში სამეფოს არსებობის დადასტურების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე ზომის სპილენძის, ბილონის და ვერცხლის მონეტების სწორ ატრიბუციას. ჩვენამდე მათ მოაღწიეს რვა ცალის რაოდენობით. ეს მონეტები იყოფა სამ ტიპად.

I ტიპი. შუბლი: მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ ბერძნული ზედწერილი – ΒΑΣΙΛ... ΣΑΥΛ ან ΣΑΥΜ... ე.ი. მეფე სავლაკისა ან სავმაკისა. მეფის სახელი მონეტაზე ფრაგმენტულად არის ამოკვეთილი, ხოლო უკანასკნელი ასოს მიჩნევა შეიძლება როგორც “Λ”-დ, ასევე “Μ”-დ.

II ტიპი. შუბლი: მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში. ზურგი: ვარდის გამოსახულება, რომლის ზემოთ და ქვემოთ ბერძნული ლეგენდაა – ΒΑΣΙΛΕ... ΣΑΥΛ ან ΣΑΥΜ... ე.ი. მეფე სავლაკისა ან სავმაკისა.

III ტიპი. შუბლი: მამაკაცის თავის გამოსახულება სხივანა გვირგვინში პირდაპირ. ზურგი: ფრთოსანი ელვა, რომლის ზემოთ და ქვემოთ წარწერაა – ΒΑΣΙ... ΣΑΥ...

როგორც ვხედავთ, არც ერთ მონეტაზე მეფის სახელი სრულად არაა დაწერილი, რამაც მათი გენეზისის საკითხი მწვავე დისკუსიის საგნად აქცია საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. საკამათოა მონეტის რევერსზე მოცემული მეფის სახელის მეოთხე ასოს მოხაზულობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი მას “Λ”-დ კითხულობს, აქედან გამომდინარე, წარწერა იშიფრება, როგორც ΒΑΣΙΛΕΩΣ ΣΑΥΛ(ΑΚΟΥ) – მეფე სავლაკის, ვინაიდან კოლხეთის მეფეთა რიგში ასეთი სახელი ფიგურირებს. თუმცა მკვლევართა მეორე ჯგუფის აზრით, მონეტის რევერსზე სადავო სიტყვის მეოთხე ასო წაკითხული უნდა იქნას, როგორც “Μ”. რ. ვაილის აზრით, “Μ”-ს მარჯვენა კიდურის ზემო ნაწილის დაბოლოება ბერლინის მუზეუმის ცალზე აშკარად ჩანს. ბოლო, ვანში აღმოჩენილი ეგზემპლარის მიხედვით, გ. დუნდუა ფიქრობს, რომ მონეტის ზურგზე ასო “Μ” იკითხება. აქედან გამომდინარე, მკვლევართა ამ ჯგუფის მიხედვით, მონეტაზე სახელი უნდა წაკითხულ იქნას, როგორც ΒΑΣΙΛΕΩΣ ΣΑΥΜ(ΑΚΟΥ) – მეფე სავმაკის, ვინაიდან ასეთი მეფე ცნობილია ბოსფორის სამეფოს ისტორიაში. ეს რაც შეეხება მონეტაზე დაფიქსირებული წარწერის ანალიზს. ამის გარდა, საკამა-

თოა საკითხის ირგვლივ არსებული მთელი რიგი ისტორიული თუ ნუმიზმატიკური ნიუანსები.

მეცნიერთა იმ ნაწილს, რომელიც ამ მონეტებს კოლხეთის სამეფოს უკავშირებს, ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავს I საუკუნის რომაელი ისტორიკოსის პლინიუსის ცნობა, რომლის თანახმადაც კოლხეთში ოდესღაც მეფობდა სავლაკი. მაგრამ საქმე ისაა, რომ, როგორც დაანგარიშებულია, ეს ზღაპრული სავლაკი კოლხეთში მეფობდა 1200 წლით ადრე, ვიდრე ჩვენთვის საინტერესო მონეტები მოიჭრებოდა. ამ მონეტების მეორე ტიპზე გამოსახულია ვარდი, რომელიც მიახლოებით ათარიღებს მთელ სამონეტო ჯგუფს. ეს ტიპი აღებულია როდოსის ნუმიზმატიკიდან. კერძოდ, ვარდის გამოსახულებიანი მონეტა ზუსტი ასლია როდოსის იმ მონეტებისა, რომელთა მოჭრა წარმოებდა ძვ. წ. 166-88 წლებში. ეს კი იძლევა სადისკუსიო ცალეების ზუსტი დათარიღების საშუალებას ძვ. წ. II-I საუკუნეებით.

ასე რომ, ისტორიულად ამ პარალელის გავლებას საფუძველი არ გააჩნია. შემდეგი არგუმენტი, რომელიც მოჰყავთ ამ მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ, გახლავთ ის, რომ პირველი ტიპის ცალეების ზურგზე გამოსახულია ხარის თავი. აქედან – კავშირი კოლხურ თეთრთან. დაბოლოს, იმაზეც საუბრობენ, რომ ე.წ. სავლაკის და კოლხური მონეტები ერთად გაყიდულა სოხუმში, რაც თითქოს მათი ერთობლივი აღმოჩენის დამამტკიცებელი საბუთია. კონკრეტული მონეტების კოლხური გენეზისის სასარგებლოდ მოყვანილი არგუმენტები არ არის ძლიერი. პირველი არგუმენტის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ასევე ვერ უძლებს კრიტიკას მეორე საბუთიც. საქმე ისაა, რომ ხარის გამოსახულების გეოგრაფია ბერძნულ სამყაროში ძალიან ფართოა, ის მრავალი ქვეყნისა და ქალაქის მონეტებს ამშვენებს და მისი დაკავშირება მაინცდამაინც კოლხურ სამყაროსთან, რბილად რომ ვთქვათ, მართებული არაა. რაც შეეხება სავლაკისა და კოლხურის მონეტების ერთად გაყიდვის ფაქტს, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მათ ერთ პუნქტში აღმოჩენას. ყველაზე ძლიერი არგუმენტი, რომლის მოყვანაც კი შეიძლება ამ მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ, გახლავთ ის, რომ დღემდე ცნობილი 8 ეგზემპლარიდან, 5 დასავლეთ საქართველოს ფარგლებშია აღმოჩენილი (სოხუმის მიდამოებში და ვანში).

მეცნიერთა მეორე ნაწილი ზემოთ აღწერილ მონეტებს ბოსფორის სამეფოს უკავშირებს. მათი არგუმენტაცია ასეთია: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვარდის გამოსახულებიანი მონეტების ტიპოლოგია აღებულია როდოსის ნუმიზმატიკური ძეგლებიდან, რომელთა

მოჭრა წარმოებდა ძვ. წ. 166-88 წლებში. ამგვარად, ეს მონეტები ძვ. წ. II-I საუკუნეებით თარიღდება. ერთადერთი ისტორიული პიროვნება ამ ხანაში, რომლის არსებობაც წყაროებით დასტურდება, არის სავმაკი. ეს ის სავმაკია, რომელიც იხსენიება მითრიდატე VI პონტოელის (ძვ. წ. 120-63 წწ.) მხედართმთავრის, დიოფანტეს საპატივცემულოდ ქერსონესში აღმართულ დეკრეტში. სავმაკმა ძვ. წ. II საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა ბოსფორის სამეფოში და მცირე ხნით დაიკავა ტახტი. სწორედ ამ დროს უნდა მოეჭრა მას ჩვენთვის საინტერესო მონეტები. ძვ. წ. 107 წელს კი ის დაამარცხა და ტყვედ იგდო უკვე მოხსენიებულმა დიოფანტემ. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო, სადავო მონეტები შესაძლებელია მივაკუთნოთ ბოსფორის სამეფოს ნუმიზმატიკას. ძალიან ძნელია კონტარგუმენტის მოძებნა ამ დებულების წინააღმდეგ. თუმცა ერთი ცხადია: ვიდრე არ აღმოჩნდება ე.წ. სავლაკის (თუ სავმაკის) სრულწარწერიანი მონეტა, მანამ ეს საკითხი ყოველთვის პოლემიკის საგანი იქნება.¹⁸

დასავლეთ საქართველოში მითრიდატე VI ევპატორის ეპოქის პონტოური მონეტების აღმოჩენის ფაქტები პონტო-კოლხეთის ინტენსიურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე მიანიშნებს. ამ კუთხით კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კოლხეთის ტერიტორიაზე მოჭრილი მონეტები. მათ შორისაა ქალაქ დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები წარწერით ΔΙΟΣ/ΚΟΥΡΙΑ/ΔΟΣ (შუბლი: დიოსკურების, ტყუპი ძმების, პოლიდეკესა და კასტორის ემბლემის, ორი ქუდის გამოსახულება, რომელთა ზემოთ მოთავსებულია ექვსი ან რვაქიმიანი ვარსკვლავები. ზურგი: მონეტის ცენტრში კვერთხის გამოსახულება, მის ორივე მხარეს სამ სტრიქონად ბერძნული ზედწერილი – ΔΙΟΣ/ΚΟΥΡΙΑ/ΔΟΣ).

დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტების გამოშვების ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენას პრინციპული მნიშვნელობა აქვს კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი მომენტის დასაზუსტებლად, კერძოდ, იმ თარიღის განსაზღვრისათვის, თუ როდის მოხდა

¹⁸ თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი, ნ. ხარშილაძე. ე.წ. სავლაკის მონეტები. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge>; თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. I ნაწილი. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2013, გვ. 121-134; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Second edition. Compiled by A. Boshishvili, A. Tabuashvili, L. Tavadze, Natia Phiphia, A. Chikobava, E. Avdaliani, M. Kardava. Athens. 2021, გვ. 93-103.

პონტოს მეფის, მითრიდატე VI ევპატორის მიერ კოლხეთის დამორჩილება. ყოველივე ეს, კონკრეტული დროის მითითების გარეშე, დადასტურებულია წერილობით წყაროებში. აღნიშნული მონეტები ტიპოლოგიურად უკავშირდება პონტოს სპილენძის საქალაქო მონეტებს. კერძოდ, შუბლის მოტივი (დიოსკურების ორი ქუდი) აღებულია ამისოს იმ მონეტებიდან, რომლებიც იჭრებოდა ძვ. წ. 120-111 წლებში, ხოლო ზურგისა (დიონისეს, ე.ი. მითრიდატე ევპატორის კვერთხი) ასევე ნასესხებია სამხრეთ და ჩრდილო შავი ზღვისპირეთის საქალაქო ნუმიზმატიკიდან, იმ მონეტებიდან, რომლებიც თარიღდება ძვ. წ. 105-90 წლებით. ამრიგად, ყოველგვარი ექვის გარეშე, დიოსკურიაში მოჭრილი მონეტები ძვ. წ. II საუკუნის დასასრულითა და I-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. შესაბამისად, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს შეერთება თავის სამფლობელოსთან მითრიდატე VI-მ ზუსტად ამ დროს განახორციელა. უკვე მითრიდატეს ქვეშევრდომი დიოსკურიელები მუნიციპალურ სტრუქტურებს ინარჩუნებენ და საკუთარ სპილენძის ფულსაც ჭრიან. დიოსკურიაში, ჩანს, მითრიდატე VI-ის გარნიზონი იდგა და მონეტების მოჭრას სწორედ მის მიერ დანიშნული მოხელე აკონტროლებდა.¹⁹

1967 წელს ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების დროს მოზაიკურიატაკიანი ტაძრის საკურთხევლის წინ აღმოჩნდა 119 სპილენძის მონეტისგან შემდგარი განძი, რომელიც, როგორც ჩანს, მოთავსებული იყო ქისაში. განძის 118 მონეტა იდენტურია (შუბლი: ეგვიპტური ნაყოფიერების ღვთაების, ისიდას თავსამკაულის, სტილიზებული ლოტოსის გამოსახულება. ზურგი: რვაქიმიანი რელიეფური ვარსკვლავი (რომელიც, ნახევარმთვარის გამოსახულებასთან ერთად, პონტოელი მითრიდატიდების დინასტიურ ემბლემად ითვლებოდა). განძის 119-ე მონეტა მოჭრილია ამისოში ძვ. წ. 111-105 წლებში ან 105-90 წლებში (შუბლი: ომის ღმერთის, არესის თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი: ქარქაშში ჩაგებული მახვილი). ეს მონეტა ათარიღებს განძის შემადგენლობაში შემავალ დანარჩენ

¹⁹ თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი, ნ. ხარშილამე. დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge>; თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. I ნაწილი. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2013, გვ. 135-137; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Second edition. Compiled by A. Boshishvili, A. Tabuashvili, L. Tavadze, Natia Phiphia, A. Chikobava, E. Avdaliani, M. Kardava. Athens. 2021, გვ. 104-106.

ცალესაც, კერძოდ, ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისით. ლოტოსის გამოსახულებიანი სპილენძის ანონიმური მონეტები სულ 126 ცალის ოდენობითაა ცნობილი. ამ მონეტების ემისია, პირობითად, ვანში (ანტიკური ხანის სურიონი) განხორციელდა. არგუმენტაცია ასეთია: ვანის განძის მონეტები ისიდას სტილიზებული თავსამკაულის გამოსახულებით უნიკალურია. ამ მონეტების დასავლეთ საქართველოს გარდა სხვაგან აღმოჩენის არც ერთი შემთხვევა არ არის აღრიცხული. ძირითადი მასა ვანშია აღმოჩენილი, რამდენიმე ცალი ეშერაშია ნაპოვნი. ერთი ანალოგიური ეგზემპლარი ეშერადან უკვე ვერცხლისგან არის მოჭრილი.

ამრიგად, თითქოს არის საფუძველი ლოტოსის გამოსახულებიანი სპილენძის ანონიმური მონეტების ემისია ვანის ზარაფხანას დავუკავშიროთ. რა ისტორიული ახსნა შეიძლება მოეძებნოს ამ ფაქტს?

მითრიდატემ კოლხეთი ძვ. წ. 105-90 წლებში დაიპყრო. თავდაპირველად კოლხეთი პონტოს სატრაპიას წარმოადგენდა, მაგრამ შემდეგში, აპიანეს თანახმად, კოლხები აჯანყებულან და მითრიდატესათვის მოუთხოვიათ, რომ მას კოლხეთში მისი შვილი, მითრიდატე ფილოპატორ-ფილადელფოსი გაემეფებინა. მითრიდატე ევპატორმა ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. კოლხეთში მითრიდატე ფილოპატორ-ფილადელფოსი გამეფდა. აღნიშნული მოვლენა, როგორც ირკვევა, ძვ. წ. 85 წელს უნდა მომხდარიყო. ამ ხნიდან მოკიდებული, კოლხეთი ნომინალურად პონტოს ვასალური სახელმწიფოა. მაგრამ კოლხეთის ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მითრიდატემ თავის შვილს ღალატში დასდო ბრალი და ერთი წლის შემდეგ, ძვ. წ. 84 წელს სიკვდილით დასაჯა.

სამწუხაროდ, უცნობია მამა-შვილის კოლიზიების დეტალები. შეიძლება, მითრიდატე ფილოპატორ-ფილადელფოსმა მართლაც წააქეზა კოლხები აჯანყებისკენ. საკუთარი ანეპიგრაფიკული ემისიებით კი ის მამას თავს ერთგულ „სატრაპად“ აჩვენებს. მისთვის, როგორც სამეფო ოჯახის წევრისთვის, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი სპილენძის ანონიმური ემისიების იურიდიული ბუნება და ტიპოლოგია. ამ კატეგორიის მონეტებს, რვაქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით, პონტოს მეფეთა ნაცვლები ჭრიდნენ მითრიდატე VI ევპატორამდე. აი, ამიტომაც გამოსახული ვანში აღმოჩენილი მონეტების რევერსზე რელიეფური ვარსკვლავი, ის მთელი ანონიმური სერიის აუცილებელი თანამგზავრია და სამეცნიერო ლიტერატურაში ინტერპრეტირებულია, როგორც პონტოს მეფეთა დინასტიური ემბლემა.

მაგრამ, რა შუაშია მონეტის ავერსზე ამოტვიფრული ისიდას სიმბოლო? რას უნდა დავუკავშიროთ ის? როგორც ვარაუდობენ, ნაყოფიერების ღვთაების (დემეტრა/ისიდა) ქანდაკება უნდა მდგარიყო ქალაქ ვანის/სურიონის კარიბჭესთან. ეს იყო ქალაქის მფარველი ღვთაება. მითრიდატე უმცროსის რეზიდენცია კოლხეთში ვანი უნდა ყოფილიყო. ვინ, ან რა უნდა გამოესახა მას თავისი მონეტის შუბლზე, თუ არა ქალაქის მფარველი ღვთაება ან მისი სიმბოლო?

ასეთია ის ლოგიკური გზა, რომელიც საშუალებას იძლევა, ვამტკიცოთ ვანში მონეტის მოჭრის შესაძლებლობა.²⁰

ომები რომსა და პონტოს შორის ძვ. წ. I საუკუნეში პონტოს მეფე მითრიდატე VI-ის მარცხით დასრულდა. რომის ძლევამოსილი სარდალი გნეუს პომპეუსი ჯერ სომხეთში შევიდა და იქ პონტოს მოკავშირე ტიგრან II (ძვ. წ. 95-55 წწ.) დაიმორჩილა, ხოლო შემდეგ, კერძოდ, ძვ. წ. 65 წელს ქართლს/იბერიას მიაღება. მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, ქართლის მეფე არტაგიც ბოლოს იძულებული გახდა პომპეუსს დამორჩილებოდა. იბერიიდან რომაელები კოლხეთში გადავიდნენ, სადაც პომპეუსმა ქვეყნის ეფემერულ მმართველად ძვ. წ. 63 წელს არისტარქე კოლხი დანიშნა.

ჩვენამდე მოაღწია მისი სახელით მოჭრილმა ვერცხლის ექვსმა მონეტამ (შუბლი: მარჯვნივ მიმართული უწვერული ადამიანის თავი გასხივოსნებული გვირგვინით (ჰელიოსი პომპეუსის სახის ნაკვთებით). ზურგი: მარჯვნივ მიმართული მაღალზურგიან ტახტზე მჯდომი ქალღმერთი ტიხე კოშკისებური გვირგვინით თავზე. მარცხენა ხელში სფეროს მსგავსი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჭეს ეყრდნობა. გამოსახულების ორივე მხარეს და ქვემოთ ბერძნული ზედწერილი – ΑΡΙΣΤΑΡΧΟΥ ΤΟΥ ΕΠΙ ΚΟΛΧΙΔΟΣ/BI („არისტარქესი, კოლხეთის მეფისნაცვლისა, ან კოლხეთის მმართველის, ან არისტარქესი, რომელიც კოლხეთს მართავს“, და თარიღი – 12, რაც ამ პიროვნების მმართველობის მეთორმეტე წელს,

²⁰ თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი, ნ. ხარშილაძე. ვანში (?) მოჭრილი სპილენძის ანონიმური მონეტები. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge>; თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. I ნაწილი. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2013, გვ. 138-142; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Second edition. Compiled by A. Boshishvili, A. Tabuashvili, L. Tavadze, Natia Phiphia, A. Chikobava, E. Avdaliani, M. Kardava. Athens. 2021, გვ. 107-111; C. M. Шамба. О чём говорят монеты. Сухуми. 1982, გვ. 18, №18.

ანუ ძვ. წ. 52-51 წლებს უდრის), რომელთაგან ერთ-ერთი სოხუმის მიდამოებშია აღმოჩენილი.

ინგლისელი და რუსი მეცნიერების, ჯ. ჯენკინსისა და კ. გოლენკოს გამოკვლევების თანახმად, მონეტაზე გამოსახულია მზის ღმერთი ჰელიოსი, რომელსაც პომპეუსის ნაკვთები აქვს. ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებენ, რომ კოლხეთის პირველი მეფე, პლინიუსის ცნობის მიხედვით, მზის შვილი იყო, ხოლო არისტარქემ ძალაუფლება პომპეუსისგან მიიღო. ამ შემთხვევაში ერთმანეთს შეერწყა ადგილობრივი ტრადიცია და პოლიტიკური კონიუნქტურა. ეს მოსაზრება უაღრესად ანგარიშგასაწევია.

ზურგზე მოთავსებულია მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ქალის დრაპირებული გამოსახულება კოშკისებური გვირგვინით, რომელსაც მარცხენა ხელში სფეროს მსგავსი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჭეს ეყრდნობა. მონეტის ზურგზე არსებული გამოსახულების სწორი ინტერპრეტაცია ჯ. ჯენკინსმა იმის წყალობით მოახერხა, რომ მის ხელთ აღმოჩნდა შესანიშნავად დაცული ეგზემპლარი, რომელზედაც კარგად ჩანს საჭე, შემთხვევის, ბედისა და ბედნიერების ქალღმერთის, ტიხეს აუცილებელი ატრიბუტი.

ზოგიერთი ანტიკური ავტორი არისტარქეს მეფეს უწოდებს. თვით მონეტის წარწერაში კი, რომელსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს, ეს უკანასკნელი მმართველად/მეფისნაცვლად არის მოხსენიებული. ამრიგად, მონეტის ლეგენდის საშუალებით მთელი ქვეყნის პოლიტიკური ვითარების დადგენა ხერხდება. ცხადია, კოლხეთი ამ დროს სამეფო კი არ არის, არამედ, ფორმალურად მაინც, რომზე დამოკიდებული მხარეა.²¹

ძვ. წ. III-I საუკუნეების უცხოური მონეტები დასავლეთ საქართველოდან

სოხუმი და მისი მიდამოები

1. ეშერას გათხრების დროს აღმოჩნდა ძვ. წ. III საუკუნის სინოპური ჰემიდრაქმები: ა) შუბლზე ნიმფა სინოპეს თავის და ზუ-

²¹ თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი, ნ. ხარშილაძე. არისტარქე კოლხის დრაქმა. ქართული ნუმისმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge>; თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმისმატიკის კატალოგი. I ნაწილი. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2013, გვ. 143-145; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Second edition. Compiled by A. Boshishvili, A. Tabuashvili, L. Tavadze, Natia Phiphia, A. Chikobava, E. Avdaliani, M. Kardava. Athens. 2021, გვ. 112-114.

რგზე არწივის გამოსახულებით, 1 ცალი (ზუსტად ასეთივე მონეტები აღმოჩენილია ფიჭვნარში (3 ცალი) და დაფნარში (1 ცალი); ბ) შუბლი – ნიმფა სინოპეს თავი, ზურგი – გემის ცხვირი (1 ცალი).

2. 1939 წელს სოხუმის ციხის მიდამოებში იპოვეს ძვ. წ. III საუკუნის დასასრულისა და II საუკუნის დასაწყისის ამისოს სიკლი.

3. იქვე აღმოჩნდა რომის რესპუბლიკური დენარი, მოჭრილი ძვ. წ. 171-151 წლებში.

4. იქვე მოიპოვეს ძვ. წ. II საუკუნის I ნახევრის პანტიკაპეიონის სპილენძის მონეტა შუბლზე სატირისა და ზურგზე დიოსკურების ორ ქუდს შორის მოთავსებული სიუხვის ყანწის გამოსახულებით.

5. 1949 წელს სოხუმში ზღვამ გამორიყა ე.წ. „ახალი სტილის“ ათენური ტეტრადრაქმა (არქაული სტილის ტეტრადრაქმებისგან განსხვავებით, შუბლზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ათენას თავი მუზარადში, რომელიც ძვ. წ. V საუკუნის უდიდესი ბერძენი მოქანდაკის, ფიდიასის ქმნილების ასლია, ხოლო ზურგზე – ამფორაზე მჯდომი ბუ და ზედწერილები, რომლებიც გადმოგვცემს ქალაქისა და მაგისტრატის სახელებს, თარიღს და ა.შ.), რომელიც ძვ. წ. 130/129 წლებშია მოჭრილი.

6. სოხუმში აღმოჩნდა რომის რესპუბლიკური დენარი, მოჭრილი ძვ. წ. 99-94 წლებში მარკუს სერგიუს სილუსის სახელით.

7. სოხუმის ციხის ტერიტორიაზე 1942 წელს შემთხვევით უპოვიათ ძვ. წ. 100-75 წლების პანტიკაპეიონის ტეტრახალკი შუბლზე აპოლონისა და ზურგზე სამფეხაზე მოთავსებული კვერთხის გამოსახულებით.

8. ეშერაში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა მითრიდატე VI ევპატორის ეპოქის პონტოს ქალაქების სპილენძის მონეტები – ტეტრახალკი და დიხალკი, გამოშვებული ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლებში. ერთი მათგანი მოჭრილია ამისოში (ტიპი: ომის ღმერთის, არესის პროფილი – მახვილი).

9. იმავე პუნქტში ნაპოვნია პონტოს ქალაქების სპილენძის კიდევ შვიდი მონეტა, მოჭრილი ძვ. წ. 105-90 წლებში (გორგონა – ნიკე). მონეტები ცუდადაა დაცული, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი უცილობლად ამისოშია მოჭრილი, ერთიც, შესაძლებელია, ამასტრიაში.

10. ქალაქ სოხუმში 1886 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ამისოში ძვ. წ. 105-90 წლებში მოჭრილი სპილენძის მონეტა.

11. ეშერაში 1971 წელს აღმოჩენილი ქალაქ ფარნაკიაში მოჭრილი ტეტრახალკი (ტიპი: ტიხეს თავი კოშკურა გვირგვინში – ზეესი მთელი ტანით) მითრიდატე VI ევპატორის ხანით თარიღდება.

12. აქვე 1972 წელს მიაკვლიეს კაბირაში მოჭრილ თანადროულ დიხალკს (ტიპი: დიონისეს თავი – კვერთხი).

13. ეშერაში აღმოჩნდა ძვ. წ. 80-70 წლებში ამისოში(?) მოჭრილი ტეტრახალკი (ტიპი: ზეესი – არწივი).

14. 1936 წელს სოხუმის მიდამოებში აღმოჩნდა მითრიდატე VI ევპატორის ორი ტეტრადრაქმა. ერთ-ერთი მათგანი მოჭრილია ძვ. წ. 74 წელს.

15. სოხუმის სანაპიროზე იპოვეს ძვ. წ. 87 წლით დათარიღებული რომის რესპუბლიკური დენარი.

16. სოხუმის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ძვ. წ. 83 წელს მოჭრილი რომის რესპუბლიკური დენარი.

17. ეშერაში აღმოჩნდა სიცილიაში ძვ. წ. 49 წელს მოჭრილი რომის რესპუბლიკური დენარი.

18. სოხუმის მიდამოებში იპოვეს რომის რესპუბლიკური დენარი, მოჭრილი ძვ. წ. 48 წელს.

19. ეშერაში ნაპოვნია ძვ. წ. 19-16 წლებით დათარიღებული ავგუსტეს დენარი.

20. სოხუმთან ნაპოვნია ძვ. წ. 8 წლით დათარიღებული ავგუსტეს დენარი.

ვანის ნაქალაქარი

21. ძვ. წ. II-I(?) საუკუნეების სპილენძის სამი მონეტა.

22. ე.წ. „ახალი სტილის“ ათენური მონეტები: ა) დრაქმა, მოჭრილი ძვ. წ. 146/5 წლებში და ბ) ტეტრადრაქმა, დათარიღებული ძვ. წ. 125/4 წლებით.

23. ვერცხლის მცირე ზომის მონეტა, მოჭრილი როდოსში ძვ. წ. 166-88 წლებში, ჰელიოსისა და ვარდის გამოსახულებით. ესაა როდოსული მონეტის საქართველოში აღმოჩენის პირველი და ერთადერთი შემთხვევა.

24. კაპადოკიის მეფეთა დრაქმები: ა) არიარათ VI (ძვ. წ. 130-116 წწ.) – 1; ბ) არიარათ VII (ძვ. წ. 116-101 წწ.) – 1; გ) არიარათ IX (ძვ. წ. 101-87 წწ.) – 2; დ) არიობარძანე I (ძვ. წ. 96-63 წწ.) – 3.

25. რესპუბლიკური ხანის რომაული დენარები – 2 (ერთი მოჭრილი ძვ. წ. 119-110 ან 90-80 წწ., ერთიც – ძვ. წ. 64 წ.); კვინარიუსი (დენარის ნახევარი) – 1, დათარიღებული ძვ. წ. 102 წლით.

26. მითრიდატე VI ევპატორის ეპოქის პონტოს ქალაქების სპილენძის მონეტები:

ა) ძვ. წ. 111-105 წლებით დათარიღებული, ტიპი: არესი – მახვილი – 1 ეგზემპლარი;

ბ) ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლები – 14, ტიპი – იგივე. ამისოს ზარაფხანა – 5, არ იკითხება – 9;

გ) ძვ. წ. 105-90 წლები – 1. ტიპი: ათენა – პერსეკსი, ამისოს ზარაფხანა;

დ) 105-90 წლები, ტიპი: გორგონა – ნიკე, ამისო – 7, ამასტრია – 3, განუსაზღვრელი ზარაფხანა – 14. სულ 24 ცალი;

ე) ძვ. წ. 90-80 წლები – 1. ტიპი: დიონისე – კისტა, ამისო;

ვ) ძვ. წ. 80-70 წლები – 5. ტიპი: ზევსი – არწივი, ამისო – 2, დაუდგენელი ზარაფხანა – 3;

ზ) ძალიან ცუდად დაცული სპილენძის მონეტები, მაგრამ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მოჭრილი მითრიდატე VI-ის ეპოქის პონტოს ქალაქებში – 9.

ამრიგად, სულ 55 ეგზემპლარი, აქედან: 47 – ტეტრახალკი, 6 – დიხალკი, 1 – ობოლი.

27. მითრიდატე VI ევპატორის ტეტრადრაქმა, დათარიღებული ძვ. წ. 74-3 წლებით, ზურგზე ირმის გამოსახულებით.

28. ამავე მონარქის კიდევ ერთი ტეტრადრაქმა აღმოჩნდა ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს, ოღონდ მის ზურგზე ფრთოსანი პეგასია გამოსახული.

29. პართული დრაქმები სინათრუქისა (ძვ. წ. 77-70 წწ.) და ოროდ II-ისა (ძვ. წ. 57-38/7 წწ.) – თითო-თითო ცალი.

30. პერგამონში ძვ. წ. 50-49 წლებში მოჭრილი კისტაფორი.

ჰინტერლანდის სხვა რაიონები

31. 1914 წელს ზუგდიდთან ახლოს შემთხვევით უპოვიათ სომხეთის მეფის ტიგრან II-ის ტეტრადრაქმა.

32. ძვ. წ. 83-69 წლებში ანტიოქიის ზარაფხანაში მოჭრილი ტიგრან II-ის ტეტრადრაქმა აღმოჩენილია ჭიათურის მიდამოებში.


33. სინათრუქის დრაქმა აღმოჩენილია გუდაუთის რაიონში.

34. 1930 წელს გალის რაიონის სოფელ ღუმურში შემთხვევით იპოვეს ვერცხლის სამი მონეტა. ერთი, ა. ზოგრაფის განსაზღვრით, ტიტუს კარიზიუსის დენარი ყოფილა, მოჭრილი ძვ. წ. 45 წელს.

35. 1897 წელს სოფელ საზოდელავოში (სენაკთან ახლოს) შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. I საუკუნის რომაული დენარების განძი 23 ცალის რაოდენობით.²²

²² თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. I ნაწილი. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქოზავა, ე. ავდალიანი. თბ. 2013, გვ. 146-149.

ბგ. წ. III-I სს. მონეტები დასავლეთ საქართველოდან



- არისტარქე კოლხის დრაქმები
- პონტოს სამეფოს ტეტრადრაქმები, რესპუბლიკური დენარები, სხვა ელინისტური ვერცხლის მონეტები

სამონეტო მიმოქცევა ლაზიკაში ახ. წ. I-IV საუკუნეებში

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვიწრო სანაპირო ზოლს ჯერ ელინები აკონტროლებდნენ, შემდგომ კი – რომაელები. ახ. წ. I საუკუნიდან მთელ ქვეყანას ლაზიკა ეწოდა.

რომაელთა ჰეგემონია პიტიუნტიდან (ბიჭვინთა) აფსაროსამდე (გონიო) განლაგებულ კასტელუმებს ეყრდნობოდა ძლიერი გარნიზონებით. რომაელთა კლიენტები, ქვეყნის შიდა რაიონებში მცხოვრები ლაზი მეფეები, კარგად სარგებლობდნენ პანევროპული სიმშვიდით და სარფიანად ვაჭრობდნენ პონტოს აყვავებულ ქალაქებთან – სინოპესთან, ამისოსთან და ტრაპეზუნტთან. შავიზღვისპირეთს, ამ ეთნოკულტურული კუთხით ჭრელ მაკრორეგიონს, ერთი რამ აერთიანებდა – კერძოდ, ელინიზმის პრინციპები, მაგრამ ყოველივეს უკვე რომაული ფული და რომაელი ჯარისკაცები ემსახურებოდნენ.

ჯარისკაცებს და ვაჭრებს ფული მოჰქონდათ. ის აქ „დაილექა“ (დაახლ. 3000 ცალი) და საერთო ჯამში, ასეთი სურათი მოგვცა (ფიგ. 1).²³

რომაული ლაზიკის სამონეტო მიმოქცევის მკაფიო ილუსტრაციაა ბიჭვინთის (პიტიუნტი, ზღვისპირა კასტელუმი და ქალაქი) ნუმიზმატიკური მასალა და ჰინტერლანდის ზოგიერთი განძი.

a) ბიჭვინთა/პიტიუნტი

I საუკუნე – ავგუსტეს დიუპონდიუსი.

II საუკუნე – ტრაპეზუნტის მუნიციპალური სპილენძი – 25 ცალი; კაპადოკიის კესარიამი მოჭრილი ვერცხლის მონეტები – 9; ორივე, ვერცხლი და სპილენძი, რომი – 7; აზიური ზარაფხანა – 1; პაუტალია – 1.

III საუკუნე – 340 ცალი. III საუკუნის I ნახევარი – 247 ცალი: ტრაპეზუნტის მუნიციპალური სპილენძი – 191; კესარიამი მოჭრი-

²³ ნუმიზმატიკური მასალისთვის იხ. Г. Ф. Дундуа. Монетное дело и монетное обращение в Грузии в античную эпоху. Диссертация на соискание учёной степени доктора исторических наук. Тб. 1982; T. Dundua. Influx of Roman Coins in Georgia. Roman Coins Outside the Empire. Ways and Phases, Contexts and Functions. Proceedings of the ESF/SCH Exploratory Workshop. Radziwill Palace, Nieborow (Poland) 3-6. 09. 2005. Moneta 82. Wetteren. 2008, გვ. 309-319; თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ა. ბომიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქოზავა, ე. ავდალიანი, ნ. ხარშილაძე. ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge>; თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. II ნაწილი. შემდგენლები: ა. ბომიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქოზავა, ე. ავდალიანი. თბ. 2014, გვ. 17-25.

ლი ვერცხლის მონეტები – 31; ნეოკესარიის სპილენძი – 3; სინოპეს – 1; ამისოს – 1; ნიკომედიის – 1, ა.შ. 149 ცალი განძს ქმნის. მისი სტრუქტურა ასეთია: II-III საუკუნეებით (ლუციუს ვერუსი-ფილიპე უფროსი) დათარიღებული ტრაპეზუნტის მუნიციპალური სპილენძი – 139; კესარიის ვერცხლის ემისიები – ადრიანეს დიდრაქმა – 4; კომოდის დიდრაქმა – 1; სეპტიმიუს სევერის დრაქმა – 2; იულია დომნას დრაქმა – 1; გეტას დრაქმა – 1; კარაკალას დრაქმა – 1. განძის ჩამარხვის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია 245 წელი. შესაძლოა ფული გადამალეს 252 წელს ყირიმელი გუთების თავდასხმის საშიშროებასთან დაკავშირებით. პიტიუნტი მათი საშინელი დარტყმის ობიექტაგანი იყო. საერთო ჯამში, ბიჭვინთა/პიტიუნტსა და სოხუმ/დიოსკურია/სებასტოპოლისში 238 ცალი ტრაპეზუნტული მუნიციპალური სპილენძის მონეტაა ნაპოვნი. III ს. II ნახევარი – 100 ცალამდე, ძირითადად სპილენძი: აქედან 70 მოჭრილია რომში, მათ შორის ანტონინიანებიც; ანტიოქია – 11; კიზიკი – 6; სხვა ზარაფხანები თითო ცალითაა წარმოდგენილი.²⁴

IV საუკუნე – 500-ზე მეტი სპილენძის მონეტა, აქედან 310 – განძის სახით. განძის სტრუქტურა ასეთია: კონსტანტინე I – 11 ცალი; ელენე – 4; კონსტანტინე I (გარდაცვალების შემდგომი ემისია) – 52; კონსტანტინე II – 6; კონსტანციუს II – 102; კონსტანსი – 75; კონსტანციუს II ან კონსტანსი – 60. კონსტანციუსის ემისია ბოლოა. ზარაფხანები: კონსტანტინოპოლი – 20; ანტიოქია – 87; ნიკომედია – 51; კიზიკი – 31; ალექსანდრია – 10; სისცია – 9; თესალონიკა – 1; განუსაზღვრელი – 101. ცალკეული აღმოჩენები შემდეგ სახელებს წარმოგვიდგენს – ლიცინიუსი, კონსტანტინე I, ელენე, კონსტანტინე I (გარდაცვალების შემდგომი ემისია), კრისპუსი, კონსტანტინე II, კონსტანციუს II, კონსტანსი, ვალენტინიანე II. ზარაფხანები: ანტიოქია – 30; კონსტანტინოპოლი – 20; ნიკომედია – 11; კიზიკი – 5; თესალონიკა – 6; სისცია – 7; ტირირი – 1; სირმიუმი – 1; ალექსანდრია – 1; განუსაზღვრელი – 127.

ბ) განძები ჰინტერლანდიდან

ღურზულის განძი – 469 მონეტა. სტრუქტურა: ავგუსტეს დენარი – 1; ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადი – 1; კესარიული ვერცხლის ემისიები – ნერონი (1); ვესპასიანე (30); დომიციანე (9); ნერვა (22); ტრაიანე (165); ადრიანე (90); ანტონინე პიუსი და მარკუს ავრელიუსი (122); ლუციუს ვერუსი (28). ნომინალები: ჰემიდრაქმა, დრაქმა, დიდრაქმა.

²⁴ ტრაპეზუნტული მონეტები (მარკუს ავრელიუსი-ალექსანდრე სევერი) აღმოჩენილია გონიო/ავსაროსშიც. იხ. <https://chre.ashmus.ox.ac.uk/hoard20923>.

ეკის განძი – 907 ცალი. სტრუქტურა: პართიის მეფე ოროდ II – 1; ნერვას კესარიული დიდრაქმა – 1; ტრაიანეს კესარიული დიდრაქმა – 2; ადრიანეს კესარიული დიდრაქმა – 712; ანტონინე პიუსის კესარიული დიდრაქმა – 55; ლუციუს ვერუსის კესარიული დიდრაქმა – 1; კომოდის რომში მოჭრილი დენარი – 1; პერტინაქსის რომში მოჭრილი დენარი – 5; ნიგერის რომში მოჭრილი დენარი – 1; სეპტიმიუს სევერის დენარი – 101 (ზარაფხანები: რომი (12), აღმოსავლეთი (84), ალექსანდრია (5)); იულია დომნა – 14 დენარი, მოჭრილი რომში (5) და აღმოსავლეთის ზარაფხანაში (9), და კესარიული დრაქმა – 1; კარაკალა – დენარები, მოჭრილი რომში – 2, და კესარიული დრაქმა – 1; გეტა – რომში ან ანტიოქიაში მოჭრილი დენარი (1), და კესარიული დრაქმა – 1; ელაგაბალი – კესარიული დრაქმა (1); ალექსანდრე სევერი – 6 დენარი, მოჭრილი რომში (1) და აღმოსავლეთის ზარაფხანაში (5). სულ, კესარიული პროდუქცია 775 ცალია, დენარები – 131, უმეტესწილად მოჭრილი აღმოსავლეთის ზარაფხანებში.

სეფიეთის განძი – დაახლოებით 377 ცალი. სტრუქტურა: რომაული დენარები – 365 ცალი (ზარაფხანები: ემესა (158), რომი (118), აღმოსავლეთის ზარაფხანა (62)), და მცირე რაოდენობით კესარიული ვერცხლი. სეპტიმიუს სევერის მონეტები (227 ცალი) დომინირებს განძში, მათი უმრავლესობა 194 წელს არის მოჭრილი ემესაში. ალბათ 222 წლით დათარიღებულ ალექსანდრე სევერის ემისიას შეუძლია განძის ჩამარხვის გარკვეული თარიღის შემოთავაზება.

მონეტები არგვეთიდან, ანუ ლაზიკის აღმოსავლეთი პროვინციიდან: ავგუსტეს დენარი – 56 ცალი; ტიბერიუსის დენარი – 1; კალიგულას დენარი – 1; ნერონის კესარიული ჰემიდრაქმა – 1; ნერვას კესარიული დრაქმა – 3; ტრაიანეს დენარი – 1; ადრიანე – კესარიული დიდრაქმა (2), კესარიული ჰემიდრაქმა (2); ანტონინე პიუსის კესარიული დიდრაქმა – 2; ფაუსტინა უმცროსის დენარი – 1; იულია დომნას დენარი – 1 (ლაოდიკეია); კონსტანტინე I-ის სოლიდი – 1 (სისცია); კონსტანციუს II-ის სოლიდი – 2 (ანტიოქია); კონსტანტინე I-ის სემისი – 1 (კონსტანტინოპოლი); კონსტანციუს II-ის სემისი – 1 (ანტიოქია); კონსტანციუსის ტრიენსი – 1 (ანტიოქია).

მასალის ინტერპრეტაციის ემპირიული დონე ასეთია – სანაპირო ზოლის კომპლექსების, განძების და ცალკეული აღმოჩენების კომპონენტებია კაპადოკიის კესარიაში მოჭრილი ვერცხლის მონეტები, ტრაპეზუნტის მუნიციპალური სპილენძი და უმეტესწილად, მცირე აზიის და ანტიოქიის ზარაფხანების საიმპერიო სპილენძის ემისიები. ჰინტერლანდში კესარიული ვერცხლი და ძირითადად აღ-

მოსავლური (მაგ. სირიის) ზარაფხანების პროდუქციაა საიმპერიო დენარების სახით. ლაზიკის აღმოსავლეთი, იბერიასთან მომიჯნავე, პროვინციების ნუმიზმატიკური ბაზარი გვიანრომაული ოქროს ფულების, ავგუსტეს დენარების და კესარიული დრაქმების საინტერესო სინთეზია. მასალის ინტერპრეტაცია სწორედ რომ კესარიული მონეტების მნიშვნელოვანი აკუმულაციის კომენტარით იწყება. ვის შეეძლო აღნიშნული ნუმიზმატიკური კატეგორიის შემოტანა? ვაჭრებს, სინოპელებს ან ამისოელებს, ამ ქალაქების იმპორტი ხომ დომინირებს დასავლეთ საქართველოში. მაგრამ რა ვუყოთ, რომ ნორმალური სავაჭრო ბალანსის ლოგიკა ამ ფულს მაინცდამაინც საგარეო ვაჭრობას მოახმარდა, და არა საშინაო ბაზარს. სხვა დამატებითი სახსრები იყო საჭირო. ასეთი რამ ხომ არ ხდებოდა: ლაზებს არასდროს მოუჭრიათ თავისი ფული, მაგრამ მათ შეეძლოთ ბარტერის გზით შემოეზიდათ საკუთარი ეკონომიკისთვის აუცილებელი რაოდენობა რომაული მონეტებისა, ხოლო ერარიუმის ყველაზე ახლომდებარე განყოფილებები სწორედ კაპადოკიისა და სირიის იყო. სპილენძის ფული კი ჰინტერლანდში არ არის – აქედან დასკვნა, ლაზიკაში წვრილი ვაჭრობა სუსტადაა განვითარებული. ე.ი. სპილენძის ნუმიზმატიკურ ძეგლებს ქვეყანაში „მილიტარისტული“ ფუნქცია ჰქონდა; ისინი რომაელ ჯარისკაცთა ხელფასის ნაწილს შეადგენდა. აქ შეიძლება ვიკამათოთ.

კონკრეტული თანხა სპილენძის მონეტებით, და იგივე თანხა ვერცხლით და ოქროთი მკვეთრ სხვაობას იძლეოდა წონითი ატრიბუტიკის კუთხით; ამ შემთხვევაში, განა უმჯობესი არ იქნებოდა სამხედრო ბანაკს აურეუსები და დენარები მიწოდებოდა?!²⁵ არადა ყველგან, ყოფილი რომაული ბანაკების ტერიტორიაზე (მაგ. რაინზე), ბრინჯაო სჭარბობს.²⁶ ლოგიკურია, რომ ვალუტით განხორციელებულიყო იმ ხელფასის გაცემა, რაც წელიწადში რამდენიმე ასეულ დენარს შეესაბამებოდა და რომლის გადახდაც სამ ნაწილად

²⁵ ob. R. Wolters. Bronze, Silver or Gold? Coin Finds and the Pay of the Roman Army. *Zephyrus. Revista de Prehistoria y Arqueología*. vol. LIII-LIV. 2000-2001. Salamanca, გვ. 579-588.

²⁶ D. G. Wigg. Coin Supply and the Roman Army. *Roman Frontier Studies*. 1995. Proceedings of the 16th International Congress of Roman Frontier Studies. Oxbow Monograph 91. 1997, გვ. 281-288; D. G. Wigg. The Development of the Monetary Economy in Northern Gaul in the Late La Tène and Early Roman Periods. *Roman Germany. Studies in Cultural Interaction*. Journal of Roman Archaeology. Supplementary series №32. Portsmouth, Rhode Island. 1999, გვ. 111, 121; D. G. Wigg. Die Rolle des Militärs bei der Münzversorgung und Münzwirtschaft am Rhein in der frühen Kaiserzeit. Rom, Germanien und die Ausgrabungen von Kalkriese. *Osnabrücker Forschungen zu Altertum und Antike-Rezeption*. B. 1. Osnabrück. 1999, გვ. 327-346; F. Berger. Untersuchungen zu römerzeitlichen Münzfunden in Nordwestdeutschland. Berlin. 1992. *Studien zu Fundmünzen der Antike*. B. 9.

ხდებოდა. მაგრამ რისთვის უნდა დასჭირვებოდა სახელმწიფო ხარჯზე ეკიპირებულ და გამოკვეთილ ჯარისკაცს მთელი ეს თანხა საზღვარზე?! განა უმჯობესი არ იქნებოდა, მისი დიდი ნაწილი ბანკში ყოფილიყო მოთავსებული, ხოლო სამსახურის ვადის გასვლის შემდგომ – სარფიანად ინვესტირებული ლეგიონერისთვის მიცემულ პატარა ფერმაში?! ალბათ, ასეც ხდებოდა; ყოველივე ამას კი რომაული I ციკლის კაპიტალიზმის ნორმალური საბანკო სისტემა ემსახურებოდა.²⁷ და თუ ეს ასეა, მაშინ ჯარისკაცებზე მხოლოდ სპილენძის მონეტები გაიცემოდა ჯიბის ფულის სახით. ნარატიულ წყაროებში საუბარია ლეგიონებისთვის ხანდახან ბოძებულ ვერცხლის ფულზე. მაგრამ ნარატიულ წყაროებში საუბარია იმაზეც, თუ რამდენად სახიფათო შესაძლოა ყოფილიყო დიდი თანხის კონცენტრაცია ბანკში – ვიტელიუსი პრინცეპსი გახდა საკუთარი ჯარისკაცების ფინანსური დახმარების წყალობით (არა ყოველთვის ნაღდი ფულით) (Tac. Hist. I. 57). ე.ი. პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის ლეგიონერთა ფული საბანკო ანგარიშზე ნიშნავდა ფულის სახიფათო კონცენტრაციის თავიდან აცილებას, ერთის მხრივ, მეორეს მხრივ კი ყოველთვის არსებობდა დამატებითი სახსრები მსხვილი მასშტაბის სახელმწიფო კომერციული ოპერაციებისთვის.

ის რომ ჯარისკაცებს სპილენძს უხდიდნენ, ძალზედ კარგად ჩანს ქართულ მაგალითზე. აგრარული პროფილის მატარებელმა ამ ეკონომიკურმა სისტემამ, რომლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია იოლად საღებოდა როგორც კოლხებით დასახლებულ ჰინტერლანდურ ქალაქებში და შერეული ეთნიკური ჰაბიტუსის მქონე ზღვისპირა ელინურ პოლისებში, ასევე საზღვარგარეთ, ჯერ მილეტში, შემდგომ ათენსა და სინოპეში, შექმნა ფულის მქონე საშუალო კლასი²⁸, მაგრამ XI საუკუნემდე ვერ შეძლო დაენერგა წვრილი სერვისის ქსელი.²⁹ მუშახელი უფრო სხვაგან იყო საჭირო. ელინური ტიპის ეკონომიკაზე ტრანსფორმაციაც არ გამოვიდა ქვეყნის ზესინოტივის გამო; ბერძნებმა არ იცოდნენ, რა უნდა მოეხერხებინათ ამ ჭაობებისთვის.³⁰ ყოველივე ამის გამო სპილენძის ფული კოლხეთში პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა. მხოლოდ ერთხელ ცადა ფაზის-

²⁷ T. Dundua. The Cyclic Dialectics. Tb. 1996; J. Andreau. La vie financière dans le monde Romain. Les métiers de manieurs d'argent (IVe siècle av. J.-C.-IIIe siècle ap. J.-C.). École Française de Rome. Palais Farnèse. 1987.

²⁸ T. Dundua. Georgia within the European Integration as Seen in Coinage. Catalogue of Georgian Coins. Tb. 1999, გვ. 4.

²⁹ თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997, გვ.113-114.

³⁰ T. Dundua. Making of Europe. Tb. 2000, გვ. 3.

მა წვრილი ფულის ემისია და ეს ცდა დაკავშირებული იყო ისევ და ისევ კარგად აპრობირებულ ვერცხლთან – სამი უკნიესი ჰემიტეტარტემორიონი ექსპერიმენტის წარუმატებლობის მკაფიო ილუსტრაციაა.³¹ ძვ. წ. VI-II საუკუნეებით დათარიღებული იმპორტული სპილენძის მონეტებიც სულ რამდენიმე ცალია აღმოჩენილი და ისიც ზღვისპირეთში.³²

შემდგომ საოცარი რამ მოხდა – ძვ. წ. I საუკუნე სპილენძის „რევოლუციით“ აღინიშნა. სპილენძი ყველგანაა – სოხუმსა (დიოსკურია) და მის შემოგარენში ევპატორის დროის პონტოს ოცამდე მუნიციპალური სპილენძის მონეტაა ნაპოვნი.³³ დიოსკურია საკუთარ ავტონომიურ დიოსკურიადებსაც ჭრიდა³⁴, მათი უმრავლესობა ყირიმის ბოსფორში ვრცელდებოდა. 200-მდე სინქრონული სპილენძის ნუმიზმატიკური ძეგლი ვანიდან/სურიონიდან მომდინარეობს – ნაწილი პონტოს ქალაქების პროდუქციაა, ნაწილს კი ადგილზე უშვებდა კოლხეთის მეფე ძვ. წ. 84 წელს მითრიდატე ფილოპატორ ფილადელფოსი, ევპატორის ძე.³⁵ კოლხეთმა ხომ მცირე ხნით სტატუსი იცვალა – პონტოს სატრაპიიდან ის მეტად თუ ნაკლებად დამოუკიდებელ სამეფოდ იქცა (App. Mithr. 64). ნუთუ სრულ ეკონომიკურ ტრანსფორმაციასთან გვაქვს საქმე?! არა, შემდგომი ნაკადი სპილენძის მონეტებისა ქვეყანაში მხოლოდ საუკუნე-ნახევრის მერე შემოდის. ამ დროისთვის, წერილობითი წყაროების მიხედვით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაელები დგანან, არქეოლოგიურმა ძიებამ კი აქ დიდი რაოდენობით სინქრონული სპილენძის მონეტები გამოავლინა. VI საუკუნემდე სპილენძის ფული შემოდის და გადის. VII-IX საუკუნეებში კი ამ მხრივ კიდევ ერთი ჩავარდნაა.³⁶ ბიზანტიელები ხომ წავიდნენ. ასე რომ, სპილენძი ჩნდება და ქრება ჯარისკაცებთან ერთად, რაც იმას

³¹ T. Dundua. Georgia within the European Integration as Seen in Coinage, გვ. 8.

³² თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1993, გვ. 46.

³³ თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 46.

³⁴ თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქოზავა, ე. ავდალიანი, ნ. ხარშილაძე. დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge>.

³⁵ თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 46-50; თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქოზავა, ე. ავდალიანი, ნ. ხარშილაძე. ვანში (?) მოჭრილი სპილენძის ანონიმური მონეტები. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge>;

³⁶ გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი. თბ. 2006, გვ. 183-186.

ნიშნავს, რომ საიმპერიო არმიებს ნაწილობრივ სპილენძის მონეტებით უხდიდნენ ხელფასს (ფიგ. 2).

დასავლეთ საქართველოს აღმოსავლური პროვინციები კი გვიანანტიკურ ხანაში, ალბათ, ლაზიკის და იბერიის სამეფოების ეკონომიკური და პოლიტიკური კონდომენიუმია. ლაზიკა ამ მხარეს კესარიული ემისიებით ამარაგებს, იბერია – ავგუსტეს დენარებით და გვიანრომაული ოქროს მონეტებით.


საიმპერიო დენარები აფხაზეთიდან

წებელდაში (გულრიფშის რაიონი) აღმოჩენილი მონეტები: მარკუს ავრელიუსის რომში მოჭრილი დენარი, სეპტიმიუს სევერის დენარი (2 ცალი), სეპტიმიუს სევერის ემესაში მოჭრილი დენარი, სეპტიმიუს სევერის აღმოსავლეთის ზარაფხანაში მოჭრილი დენარი.³⁷

³⁷ С. М. Шамба. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н. э.-XIII в. н. э.). Тб. 1987, გვ. 65.

ფიგ. 1


ნუმისმატიკური რუკა



- X სპილენძი
- + კესარიული ემისიები და სხვა საიმპერიო ვერცხლი
- ავგუსტეს დენარები
- რომაული ოქროს მონეტები

ფიგ. 2

სპილენძის ფული პიტიუნტიდან



სამონეტო მიმოქცევა ლაზიკაში V-VII საუკუნეებში

V-VII საუკუნეების უცხოური მონეტები დასავლეთ საქართველოდან

ბიჭვინთა-პიტიუნტში აღმოჩენილი მონეტები

V საუკუნის მონეტები: არკადიუსი (395-408 წწ.) – 8 ცალი; თეოდოსი II (409-450 წწ.) – 1 და ერთიც მისი მეუღლის – ევდოკიასი (ყველა მათგანი სპილენძისაა).

ბიჭვინთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია VI საუკუნის 100-ზე მეტი ბიზანტიური მონეტა, რომელთაგან უმრავლესობა საუკუნის პირველ ნახევარშია მოჭრილი. ყველა მათგანი სპილენძისაა. იმპერატორების მიხედვით ეს ნუმიზმატიკური მასალა ასე ნაწილდება: 1. ანასტასი I (491-518 წწ.) – 5; 2. იუსტინე I (518-527 წწ.) – 72; 3. იუსტინიანე I (527-565 წწ.) – 15; 4. იუსტინე II (565-578 წწ.) – 4; 5. მავრიკე ტიბერიუსი (582-602 წწ.) – 4.

ნუმიზმატიკური თვალსაზრისით, ბიჭვინთაში აღმოჩენილი მონეტების გარკვეული ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება 1961 წელს აღმოჩენილ იუსტინე I-ის ხუთნუმიანი მონეტების განძს, რომელიც 55 ცალისაგან შედგება. იდენტური მონეტების აღმოჩენის შემთხვევები საქართველოს სხვა პუნქტებში აღრიცხული არ არის. ბიჭვინთაში კი, ცალკეულად კიდეც 11 ასეთი მონეტაა ნაპოვნი. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მათი რიცხვი არც თუ ისე დიდია. ბიჭვინთის განძის მონეტები, როგორც ჩანს, მოჭრილია კონსტანტინოპოლის ზარაფხანის I და II სახელოსნოებში.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბიჭვინთაში აღმოჩენილ ბიზანტიურ მონეტებში სჭარბობს კონსტანტინოპოლის ზარაფხანის პროდუქცია (86 ცალი). გარდა იმპერიის დედაქალაქში მოჭრილი მონეტებისა, პიტიუნტის ტერიტორიაზე აღმოჩენილია აგრეთვე ანტიოქია-თეოპოლისში (2), ნიკომედიაში (1), კართაგენსა (1) და თესალონიკში (2) გამოშვებული ფულები. კართაგენსა და თესალონიკში მოჭრილი მონეტების აღმოჩენა ბიჭვინთაში იმ მხრივ იმსახურებს ყურადღებას, რომ საქართველოს საზღვრებში ეს მათი ფიქსირების ერთადერთი შემთხვევაა. იგივე უნდა ითქვას თეოპოლისის პროდუქციის შესახებაც. ანტიოქიას 538 წლის მიწისძვრის შემდეგ იუსტინიანემ თეოპოლისი შეარქვა. საქართველოში სწორედ ბიჭვინთაა ერთადერთი პუნქტი, სადაც თეოპოლისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტა აღმოჩნდა.

დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე აღმოჩენილი V საუკუნის ბიზანტიური მონეტები

1. 1959 წელს სახუმის ციხის ტერიტორიაზე იპოვეს არკადიუსის (395-408 წწ.) სპილენძის მონეტა.

2. 1903 წელს გაგრის სამაროვანზე აღმოჩნდა დასავლეთ რომის იმპერიის იმპერატორის, ჰონორიუსის (395-426 წწ.) ოქროს მონეტა.

3. 1937 წელს მესტიის რაიონის სოფელ ცხუმარში გეოლოგიური სამუშაოების დროს იპოვეს ლეონ I-ისა (457-474 წწ.) და ანასტასი I-ის (491-518 წწ.) თითო ოქროს მონეტა.

დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე აღმოჩენილი VI საუკუნის ბიზანტიური მონეტები

1. სოხუმში აღმოჩენილი სპილენძის მონეტები იმპერატორების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ანასტასი I (491-518 წწ.) – 2 ცალი; იუსტინე I (518-527 წწ.) – 1; იუსტინიანე I (527-565 წწ.) – 4.

2. VI საუკუნის ბიზანტიური მონეტები აღმოჩენილია წებელდას (სიბილე) მიდამოებში (გულრიფშის რაიონი), არქეოლოგიური გათხრების შედეგად: იუსტინიანე I (527-565 წწ.) – 6 მონეტა, აქედან, 2 – სპილენძის, 3 – ვერცხლის და 1 – ოქროს.

3. VI საუკუნის ბიზანტიური მონეტები ნაპოვნია ციხისძირში. აქ აღმოჩნდა ანასტასი I-ის, იუსტინე I-ის და იუსტინე II-ის (565-578 წწ.) 10-15 სპილენძის მონეტა.

4. 1903 წელს ოჩამჩირეში მიწის სამუშაოების დროს თითქოს უპოვიათ მონეტებით სავსე ქოთანი, რომელშიც შედიოდა VI-XI საუკუნეების ბიზანტიური სპილენძის მონეტები. ეს „განძი“ საეჭვოა თავისი დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონის გამო. შეუძლებელია ერთ კომპლექსში თავი მოეყარა ასეთი განსხვავებული დროის მონეტებს. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ვიდრე ეს კომპლექსი მუზეუმში მოხვდა, ამას კი ადგილი 1957 წელს ჰქონდა, მისი შემადგენლობა აირია. ასეა თუ ისე, „განძი“ ჩვენთვის საინტერესო VI საუკუნის მონეტებსაც შეიცავს. ესენია: იუსტინე I – 2 ცალი; იუსტინიანე I – 1; იუსტინე II – 2; ტიბერიუს II (578-582 წწ.) – 1; მავრიკე ტიბერიუსი (582-602 წწ.) – 2, სულ 8 ცალი.

VI საუკუნის ბიზანტიური მონეტები დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებშიც არის მიკვლეული. მოგვყავს მათი სია კეისრების მმართველობის თანმიმდევრობის მიხედვით, ოღონდ, ძირითადად, აღმოჩენის დროისა და პირობების მითითების გარეშე: 1. ანასტასი I-ის (491-518 წწ.) სპილენძის მონეტა აღმოჩნდა ქუთაისში; 2. იუსტინე I-ის (518-527 წწ.) ექვსი მონეტა (ოთხი სოლიდი, ერთი ვერცხლის და ერთიც სპილენძის) ნაპოვნია შემდეგ პუნქტებში:

ნოქალაქევი (სენაკის რაიონი), ზუგდიდი, ბათუმის მიდამოები; 3. იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) შვიდი მონეტის (სამი სოლიდი, სამი სპილენძის და ერთი ვერცხლის მონეტა) აღმოჩენათა ტოპოგრაფია ასეთია: ფსირცხა (გუდაუთის რ-ნი), ჩხალთა (სოხუმის რაიონი), ახალი ათონი, ჩხოროწყუ და ფოთი; 4. ტიბერიუს II-ის (578-582 წწ.) ოქროს მონეტა აღმოჩნდა ჩიბათში (ლანჩხუთის რაიონი) მიკვლეული განძის შემადგენლობაში (ამ განძის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ); 5. მავრიკე ტიბერიუსის (582-602 წწ.) სოლიდების განძი 23 მონეტის შემადგენლობით ნაპოვნია 1930 წელს ნოქალაქევის არქეოლოგიური გათხრების დროს; 6. აქვეა აღმოჩენილი VI საუკუნის სპილენძის გაცვეთილი ექვსი მონეტა.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი VII საუკუნის ბიზანტიური მონეტები

1. 1958 წელს სოფელ ჩიბათში (ლანჩხუთის რაიონი) აღმოჩნდა ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი, რომლის გადარჩენილი ნაწილი ასე გამოიყურება: ტიბერიუს II (578-582 წწ.) – 1 ცალი, მავრიკე ტიბერიუსი (582-602 წწ.) – 1, ფოკა (602-610 წწ.) – 107, ჰერაკლე (610-641 წწ.) – 14.

2. ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში აღმოჩნდა 13 ვერცხლის მონეტისგან შემდგარი განძი, აქედან ორი მიეკუთვნება მავრიკე ტიბერიუსს და 11 – ჰერაკლესა და ჰერაკლე-კონსტანტინეს.

3. იმპერატორ ფოკას (602-610 წწ.) ოქროს მონეტა აღმოჩნდა 1927 წელს სოფელ დრანდის (სოხუმის რაიონი) მიდამოებში.

4. 1952-1953 წლებში ბიჭვინთაში აღმოჩნდა იმპერატორ ჰერაკლეს სპილენძის სამი მონეტა.

5. ჰერაკლე კეისრის ოქროს მონეტა აღმოჩნდა სოფ. ჩიორაში (ონის რაიონი).

6. 1950 წელს სოფ. ქორეთში (საჩხერის რაიონი) იპოვეს ჰერაკლეს ჰექსაგრამა.

7. 1940 წელს სოფ. დიდიჭყონში (მარტვილის რაიონი) იპოვეს ოქროს მონეტა, მოჭრილი ჰერაკლესა და ჰერაკლე-კონსტანტინეს სახელით.

8. კონსტანს II-ის (641-668 წწ.) ოქროს მონეტა აღმოჩნდა სოხუმის მიდამოებში.


9. 1930 წელს სოფელ ღვანკითში (თერჯოლის რაიონი) იპოვეს კონსტანს II-ის სოლიდი.

10. იუსტინიანე II-ის (685-695 წწ.) ოქროს სამი მონეტა იპოვეს 1915 წელს ბიჭვინთის მიდამოებში.

ციხისძირში აღმოჩნდა სასანური მონეტების განძი, რომლისგანაც მხოლოდ სამი ეგზემპლარი შევიდა ბათუმის მუზეუმის საცავში. ესენია კავადის (488-531 წწ.) ორი და ხოსრო I-ის (531-579 წწ.) ერთი დრაქმა. გარდა ამისა, ორი სასანური დრაქმა აღმოჩენილია აფხაზეთის ტერიტორიაზე: კავადის დრაქმა წებელდაში და ხოსრო II-ის (591-628 წწ.) – სოხუმში.³⁸

³⁸ თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. II ნაწილი. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2014, გვ. 115-118.

V-VII სს. მონეტები დასავლეთ საქართველოდან



- ბიზანტიური ოქროს და ვერცხლის მონეტები

სამონეტო მიმოქცევა ეგრის-აფხაზეთში VIII-X საუკუნეებში

VIII-X საუკუნეების უცხოური მონეტები დასავლეთ საქართველოდან

1. ბიჭვინთაში ნაპოვნია ტიბერიუს III აფსიმარის (698-705 წწ.) ოქროს მონეტა – 1 ცალი.

2. მისივე ოქროს ფული ნაპოვნია სოხუმის ციხის ნანგრევებში – 1 ცალი.

3. გუდაუთის მიდამოებში აღმოჩნდა კონსტანტინე V-ისა (741-775 წწ.) და მისი ვაჟის, ლეონის ოქროს მონეტა – 1 ცალი.

4. ლეონ V-ის (813-820 წწ.) სპილენძის ერთი მონეტა ნაპოვნია ქობულეთში.

5. თეოფილეს (829-842 წწ.) სპილენძის ერთი მონეტა აღმოჩნდა სოფელ ბოზოყვათში (ქობულეთის რაიონი).

6. მისივე ერთი სპილენძის მონეტა ნაპოვნია საკუთრივ ქობულეთში.

7. ბოზოყვათში აღმოჩნდა ბასილ I-ის (867-886 წწ.) და ბასილ I-ის და კონსტანტინეს სახელით მოჭრილი სპილენძის ორი მონეტა.

8. ლეონ VI-ის (886-912 წწ.) რამდენიმე ვერცხლის მონეტა იპოვეს ოპიზაში (ბათუმის ოლქი).

9. ლეონ VI-ის სპილენძის ორი მონეტა ერია ოჩამჩირეში აღმოჩენილი „განძის“ შემადგენლობაში, რომელიც, როგორც ჩანს, სხვადასხვა სამონეტო კომპლექსის ურთიერთშერევის შედეგადაა წარმოქმნილი.

10. მისივე სპილენძის მონეტა აღმოჩნდა სოფელ ფსირცხაში (გუდაუთის რაიონი).

11. მისივე სპილენძის მონეტა იპოვეს ციხისძირში.

12. მისივე სპილენძის მონეტა აღმოჩნდა ქობულეთში.

13. მისივე სპილენძის მონეტა მოიპოვეს ბოზოყვათში

14. მისივე სპილენძის მონეტა აღმოჩნდა აგრეთვე სოხუმში.

15. 1903 წელს ოჩამჩირეში აღმოჩენილი „განძის“ შემადგენლობაში ერია კონსტანტინე VII-ის (913-959 წწ.) სპილენძის ერთი მონეტა.

16. ივერიის მთაზე (ახალი ათონი, გუდაუთის რაიონი) იპოვეს კონსტანტინე VII-ის სპილენძის მონეტა.

17. 1902 წელს ქობულეთის მიდამოებში აღმოჩნდა კონსტანტინე VII-ის ერთი სპილენძის მონეტა.

18. 1926 წელს ქობულეთში აღმოჩნდა რომანოზ I-ის (920-944 წწ.) სპილენძის მონეტა.

19. ბობოყვათში 1962-1963 წლებში იპოვეს რომანოზ I-ის სპილენძის ორი მონეტა.

20. 1903 წელს ოჩამჩირეში აღმოჩენილი „განძის“ შემადგენლობაში რომანოზ I-ის სპილენძის ორი მონეტაც იყო.

21. 1956 წელს სოფელ ბობოყვათში იპოვეს კონსტანტინე VII-ისა და რომანოზ I-ის სპილენძის მონეტა.

22. ციხისძირში 1930 წელს აღმოჩნდა იოანე ციმისხეს (969-976 წწ.) სპილენძის მონეტა.

23. ახალ ათონში 1958 წელს აღმოჩნდა იოანე ციმისხეს სპილენძის ფული.

24. მისივე სპილენძის მონეტა აღმოჩნდა სოფელ ბობოყვათში.

25. იმავე ბობოყვათში 1962-1963 წლებში იპოვეს იოანე ციმისხეს სპილენძის მონეტა.

26. 1903 წელს ოჩამჩირეში აღმოჩენილი „განძის“ შემადგენლობაში ერია იოანე ციმისხეს სამი სპილენძის მონეტა.

27. ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთში ნაპოვნია იოანე ციმისხეს სპილენძის მონეტა.

28. 1957-1958 წლებში ანაკოფიის ციხის ტერიტორიაზე (ახალი ათონი) იპოვეს X საუკუნის პირველი ნახევრის სპილენძის ცამეტი მონეტა.

29. სოხუმში აღმოჩნდა რომანოზ I-ის ორი ფოლისი, ხოლო „მუქურასთან“ – იოანე ციმისხეს სპილენძი.

30. 1935 წელს ახალ ათონში იპოვეს იოანე ციმისხეს სპილენძი.

31. მისივე მონეტა აღმოჩნდა სოფელ აჩანდარაში (გუდაუთის რაიონი).

32. 1955 წელს სოხუმში იპოვეს კონსტანტინე VII-ის ორი და იოანე ციმისხეს სპილენძის ხუთი მონეტა.

33. 1950 წელს სოფელ მერჯევში (საჩხერის რაიონი) აღმოჩნდა ომაიანური დირჰემი, დათარიღებული 718/19 წლებით.

34. 1965 წელს საჩხერის რაიონის სოფელ სავანეში, „ალავიძეების უბანში“, მიწის გადამბრუნებისას აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი ვერცხლის მონეტებით. განძის შემადგენლობიდან გადარჩა მხოლოდ 68 ეგზემპლარი, ერთი ომაიანური და 67 აბასიანური დირჰემი. გა-


ნძის გადარჩენილი ნაწილის ქრონოლოგიური დიაპაზონია 740/41-792/93 წლები.³⁹

არაბული დირჰემების ქართული მინაბადები აფხაზეთიდან 1977 წელს წებელდაში (გულრიფშის რაიონი) აღმოჩნდა არაბული დირჰემების ქართული მინაბადების (105 ცალი, X საუკუნის მეორე ნახევარი) განძი, რომელშიც ერთი აბასიანური დირჰემი ერია.⁴⁰

³⁹ თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. II ნაწილი. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქოზავა, ე. ავდალიანი. თბ. 2014, გვ. 167-169.

⁴⁰ გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი. თბ. 2006, გვ. 179-180.

VIII-X სს. მონეტები დასავლეთ საქართველოდან



- არაბული დირჰემები და არაბული დირჰემების ქართული მიზნაპები
- ბიზანტიური ოქროს და სპილენძის მონეტები

სამონეტო მიმოქცევა საქართველოში

X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში-XII საუკუნის I მეოთხედში

ქართულ-ბიზანტიური მონეტები სამონეტო ჯგუფის სახელია. მასში ერთიანდება დავით III კურაპალატის მონეტები ჭეშმარიტი ჯვრის გამოსახულებით, ვლადიმერის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – ბაგრატ IV-ის პირველი და მეორე ემისიები, გიორგი II-ის პირველი, მეორე და მესამე ემისიები, და დავით IV-ის პირველი და მეორე ემისიები. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება დავით IV-ის სპილენძის მონეტა, ტიპი – მეფე საიმპერატორო ტანსაცმელში.

ბიზანტიური სტილის ქართული ვერცხლის მონეტების მოჭრა იმიერტაოს მფლობელმა დავით III კურაპალატმა დაიწყო (შუბლი: ორსტრიქონიანი ქართული დაქარაგმებული ასომთავრული ზედწერილი – ჴႬႠႪႨ (ქრისტე, შეიწყალე დავით). ზურგი: ოთხსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული ჭეშმარიტი ჯვარი, რომლის ტოტებს შუა მოთავსებულია ოთხი ასომთავრული ნიშანი – ႠႪႨႩ (კურაპალატი). დავით III კურაპალატის მონეტები მხოლოდ ოთხი ცალის რაოდენობითაა ცნობილი. მათი ემისიის დასათარიღებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის დადგენას, თუ რომელ წელს ებოძა მას ბიზანტიური საპატიო ტიტული – კურაპალატი. ამასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დავითს ეს ტიტული, სავარაუდოდ, მიენიჭა იმ დახმარების სანაცვლოდ, რომელიც მან აღმოუჩინა იმპერატორ ბასილ II-ს ბარდა სკლიაროსის აჯანყების ლიკვიდაციაში. ეს მოხდა 979 წელს. ჩვენი აზრით, ზემოთ აღწერილი მონეტების ემისია ზუსტად ამ წელს უნდა განხორციელებულიყო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს იქნებოდა ამ ღირშესანიშნავი ისტორიული მომენტის საუკეთესო მემორიალი, ხოლო მეორეც, ამის შემდეგ სულ მალე დავითი იმპერატორის მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდა და „ღალატისთვის“ დიდი კომპენსაციის გაღებაც მოუხდა.

ოთხი შემორჩენილი ეგზემპლარიდან არც ერთი არ არის აღმოჩენილი საქართველოში. ყველა მათგანი ნაპოვნია მის საზღვრებს გარეთ, კერძოდ: ერთ-ერთი მათგანი იპოვეს 1859 წელს ქალაქ შვაანის მახლობლად (გერმანია), მეორე – 1878 წელს ოლონეცკის გუბერნიაში – ლოდინოეპოლში (ამჟამად სანკტ-პეტერბურგის ოლქი), მესამე – 1900-იან წლებში ვილაში, თანამედროვე ესტონეთის ფარგლებში, მეოთხე კი – შვედეთში.

რა გზით უნდა მოხვედრილიყო დავით კურაპალატის მონეტები ასე შორს საქართველოდან? ამასთან დაკავშირებით შეიძლება ორი მოსაზრების გამოთქმა:

დავითის მონეტები ტიპოლოგიურად ძალიან ახლოს დგას სინქრონულ ბიზანტიურ ნუმიზმატიკურ ძეგლებთან, კერძოდ, ემსგავსება ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის (976-1025 წწ.) მონეტას (უფრო ადრეული ბიზანტიური ემისიებიც გასათვალისწინებელია პროტოტიპის კუთხით) და მისივე ეკვივალენტურია წონით და სინჯითაც. ასე რომ, ქართულ მონეტებს თამამად შეეძლო ბრუნვა ნებისმიერ რეგიონში ბიზანტიური მონეტების პარალელურად. საქართველოს ამ დროს ბიზანტიასთან პოლიტიკური ურთიერთობის გარდა, მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობაც აკავშირებდა. სხვა ქვეყნის ვაჭრებთან ერთად კონსტანტინოპოლის ხშირი სტუმრები იყვნენ ქართველი ვაჭრებიც, რომლებიც იქ, ცხადია, თან ჩაჰქონდათ ქართული ფული. ასევე ხშირი სტუმრები იყვნენ ბიზანტიის იმპერიისა ვაჭრები კიევის რუსეთიდან, რომლებიც აქ დნეპრისა და შავი ზღვის საშუალებით ჩამოდიოდნენ და ჩამოჰქონდათ ბეწვეული, ცვილი და სხვ., ჩამოჰყავდათ მონები.

შესაძლებელია, სავაჭრო ოპერაციები აქვე ახვედრებდა ქართველ და რუს ვაჭრებს, ან ამ ოპერაციების დროს ბიზანტიურ მონეტებთან ერთად გამოიყენებოდა ქართული ფულიც, როგორც ტოლფასოვანი ერთეული, და შემდეგ რუსმა ვაჭრებმა გაიტანეს ის ჩრდილოეთით.

უფრო რეალური უნდა იყოს მეორე ჰიპოთეზა: როგორც ცნობილია, კიევის მთავრის სვიატოსლავის დროს (გარდაიცვალა 972 წ.) კიევის რუსეთის ფარგლებში მოექცა დღევანდელი ტამანის ნახევარკუნძულის ტერიტორია – ტმუტარაკანი. სწორედ ტმუტარაკანის საშუალებით ხორციელდებოდა ძველი რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობანი საქართველოსთან. ვარაუდობენ, რომ აქედან უნდა შესულიყო რუსეთში ბზა და სხვა საქონელი, რომელთა ნაშთები მიკვლეულია ძველი რუსეთის ქალაქების (მაგ., ნოვგოროდის) არქეოლოგიური გათხრების დროს. დასავლეთ საქართველოდან უნდა შესულიყო ტმუტარაკანში იქ აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტების გარკვეული ნაწილი, რომელიც შემდეგ დნეპრით მიემართებოდა ჩრდილოეთისკენ და ბალტიის ზღვის სანაპიროს აღწევდა. აქედან მოხვდა, ალბათ, დავით III კურაპალატის მონეტებიც ზემოთ აღნიშნულ ადგილებში. ამაზე თითქოს მიუთითებს აგრეთვე ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული X-XI საუკუნეების ტმუტარაკანის მონეტა, რომელიც ბიზანტიური მილიარისების სრული მიზამდითაა მოჭრილი. მართა-

ლია, ეს მონეტა უპასპორტოა, მაგრამ არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ის სადმე ახლომახლო მიდამოებში უნდა იყოს ნაპოვნი, რადგან მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, როგორც ამას სპეციალისტების ხანგძლივი დაკვირვება მოწმობს, ძირითადად თავს იყრის ლოკალური აღმოჩენები. სხვა არხებით ბორჯომში ტმუტარაკანის იშვიათი მონეტის მოხვედრა ძნელი წარმოსადგენია.

ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.), გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) და დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) მონეტების ნაწილი მოჭრილია იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) მონეტების მიხედვით, რომელთა შუბლზე ვლადქერნის ღვთისმშობელია გამოსახული.

XI საუკუნის ქართული მონეტებისთვის დამახასიათებელია წონის კლების აშკარა ტენდენცია. ბაგრატ IV-ის მმართველობის დროს შემოიღეს ახალი სტანდარტი, ბიზანტიური მილიარისის 2/3, ანუ თეთრი. მისი განაყოფია ნახევარი თეთრი.

ბაგრატ IV-ის 40 მონეტაა დღეისთვის ცნობილი და ბიზანტიური ტიტულების მიხედვით ისინი ორ ემისიად იყოფა.

პირველი ემისია. შუბლი: ორმაგი წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული ვლადქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, რომელსაც თავზე შარავანდედი ადგას. თავს ირგვლივ ბერძნული ზედწერილია – Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ – წმინდა ღვთისმშობელი. ზურგი: მონეტის კიდეებზე, წერტილოვანი რკალის შიგნით, ქართული ასომთავრული ზედწერილია – ჴԻԸԾԴԿԼԸԸԸԸԾԸԾԸ (ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე). ცენტრში, ასევე წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული, სამსტრიქონიანი წარწერა – ԾՇԽԸ/ԴԴԽԻՆԻ/ԺԸՆԻ (და ნოველისიმოსი). ამ მონეტების დათარიღება ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოებით დ. ლანგს ეკუთვნის. მისი ვარაუდის თანახმად, ბაგრატმა ნოველისიმოსობა მიიღო მას შემდეგ, რაც ლიპარიტ ბაღვაშისგან გამწარებულმა საშველად ბიზანტიის იმპერატორს მიმართა და კონსტანტინოპოლში ჩავიდა. ეს მოხდა 1054 წელს. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, 1057 წლამდე ბაგრატ IV იმპერიის დედაქალაქში იმყოფებოდა. მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში ჩასვლის და ყოფნის სხვა თარიღიც. მაქს. ბერძნიშვილი, დაეყრდნო რა ერთ-ერთ ბერძნულ წყაროს, თვლიდა, რომ ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა არა 1054-1057 წლებში, არამედ 1052-1055 წლებში. ეს თარიღი უთუოდ ანგარიშგასაწევია. 1060 წელს კი ბაგრატს თურქ-სელჩუკების თავდასხმის საშიშროებასთან დაკავშირებით ახალი ტიტული – სევასტოსობა უბოძეს. ამრიგად, დ. ლა-

ბის გვერდებზე ორმწკრივად ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი – Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ – წმინდა ღვთისმშობელი. ზოგიერთ ეგზემპლარზე მას ცვლის – ΜΡ ΘΥ Η ΒΛΑΧΕΡΝΙΤΙΚΑ – დედა ღვთისა ვლახერნის. ზურგი: შერწყმულ წერტილოვან რკალს შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი – ΦΙΛΩΤΙΛΙΝΦΕΨΕΩΝΕΩΝΕΩΝΕΩΝΕΩΝΕΩΝΕΩΝ (ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე). ცენტრში, სამსტრიქონად – ΩΝ/ΝΤΕΝ/ΕΩΝΕΩΝ (და სევასტოსი).

მესამე ემისია. შუბლი: წერტილოვან ან ორმაგ წერტილოვან რკალში ჩასმული ვლახერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების გვერდებზე ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი – Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ – წმინდა ღვთისმშობელი. ზოგიერთ ეგზემპლარზე მას ცვლის – ΜΡ ΘΥ Η ΒΛΑΧΕΡΝΙΤΙΚΑ – დედა ღვთისა ვლახერნის. ზურგი: შერწყმულ წერტილოვან რკალს შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი – ΦΙΛΩΤΙΛΙΝΦΕΨΕΩΝΕΩΝΕΩΝΕΩΝΕΩΝΕΩΝ (ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე). ცენტრში, სამსტრიქონად – ΩΝ/ΝΤΕΝ/ΕΩΝΕΩΝ (და კესაროსი).

დავით IV-ის „ნუმიზმატიკური მოღვაწეობა“ ემთხვევა ისეთ გლობალურ ეკონომიკურ მოვლენას აღმოსავლეთში, როგორიც არის „ვერცხლის კრიზისი“. შემთხვევითი როდია შემდეგი ფაქტი: თუ დავით კურაპალატის მონეტა მაგ. 3,5 გრ. იწონის, ბაგრატ IV-ის – მაგ. 1,75 გრ., დავით აღმაშენებლის მონეტის წონა 0,43-0,87 გრ. შორის მერყეობს.

მონეტების სინჯის და წონის დაცემა მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი. მსგავს პროცესს ადგილი ჰქონდა ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, რაც, სპეციალისტების აზრით, ე.წ. „ვერცხლის კრიზისის“ შედეგია. ნაწილი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ ეს კრიზისი აღმოსავლურ ქვეყნებში ვერცხლის საბადოების გამოფიტვის შედეგი უნდა ყოფილიყო, ზოგი მეცნიერი კი ამ ფაქტს უკავშირებს აღმოსავლური მონეტების მასობრივ გაზიდვას დასავლეთის ქვეყნებსა და ჩრდილოეთში. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი ვერსია „ვერცხლის კრიზისის“ გამოწვევისა დამაჯერებელი არ არის.

ჩვენამდე მოღწეული დავით აღმაშენებლის მცირერიცხოვანი მონეტები (რვა ცალი, აქედან სამი სოხუმთან არის აღმოჩენილი) სამ ემისიად იყოფა. პირველი ემისიის მონეტები თავიდან ბოლომდე

იმეორებს ბაგრატ IV-ის და გიორგი II-ის მონეტებს, შეცვლილია მხოლოდ რევერსის ქართული ზედწერილი.

პირველი ემისია. შუბლი: წერტილოვან რკალში ჩასმული ვლავერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდა – MP – ΘΥ – დედა ღვთისა. ზურგი: მონეტები დაზიანებულია, წრიული ქართული ასომთავრული წარწერიდან იკითხება მხოლოდ ნაწილი – ...ΤΩΤΕΡΕ... (ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე). ცენტრში – ΘΥ/ΝΤΤΕ/ΡΕ (და სევასტოსი).

დავით IV-ის მეორე ემისიის მონეტების ზურგზე ჯვარია გამოსახული, ხოლო ვლავერნის ღვთისმშობლის გამოსახულება შენარჩუნებულია (შუბლი: წერტილოვან რკალში ჩასმული ვლავერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდა – MP – ΘΥ – დედა ღვთისა. ზურგი: წრიული ქართული ასომთავრული ზედწერილი სრული სახით არ არის შემორჩენილი – ✠ΤΩΤΕΡΕ✠ΤΩΤΕ... (ქრისტე, ადიდე დავით, მეფე და სევასტოსი (?)). მონეტის ცენტრში – ჯვარი).

ვიდრე დავით IV-ის უნიკალური სპილენძის მონეტის აღწერაზე გადავიდოდეთ, რამდენიმე სიტყვით უნდა შევჩერდეთ ზემოთ აღწერილი ნუმიზმატიკური ძეგლების თარიღზე.

სევასტოსის ტიტულით დავითი უკვე 1085 წელს იხსენიება („მეფე და სევასტოსი“). ასევეა ის წოდებული 1089-1091 წლებში. ხოლო მოგვიანებით მისთვის ახალი პატივი „პანიპერსევასტოსობაც“ უბოძებიათ; მაგრამ რუის-ურბნისის კრების დროს (1103 წ.) ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს მეფე უკვე აღარ ატარებს.

ამრიგად, დავით IV-ის პირველი და მეორე ემისია უნდა დათარიღდეს 1085-1103 ან, უფრო ზუსტად, 1089-1103 წლებით. თუმცა შეიძლება აღნიშნული ქრონოლოგიური ჩარჩოების კიდევ უფრო დავიწროება. მართლაც, დავითი ამ მონეტებზე არ იხსენიება „ქართველთა მეფის“ ტიტულით. ეს ლოგიკურია, იმიტომ, რომ 1099 წლამდე ის მთელ ქვეყანას ვერ აკონტროლებდა და იყო მხოლოდ „მეფე აფხაზთა“. 1099 წელს სიტუაცია შეიცვალა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველი და მეორე ემისია დავითმა თავისი მეფობის დასაწყისში – 1089-1099 წლებში გამოუშვა.

1957 წელს ჟურნალ Numismatic Chronicle-ში დ. ლანგმა გამოაქვეყნა ბრიტანეთის მუზეუმის კუთვნილი დავით აღმაშენებლის სპილენძის უნიკალური მონეტა. ის 1857 წელს ბრიტანეთის მუზე-

უმს შეუძენია ენისკილენის ლორდისგან და ასი წლის განმავლობაში უწყურადღებოდ იყო მიტოვებული მუზეუმის საცავში (შუბლი: საიმპერატორო ტანსაცმელში გამოწყობილი წვეროსანი დავით აღმაშენებლის გამოსახულება წელზევით პირდაპირ. მარჯვენა ხელში მას გრძელი სკიპტრა უჭირავს. მარცხენაში – სფერო, რომელიც ჯვრითაა დაგვირგვინებული. თავსამკაულის ზემო ნაწილიც ჯვრითაა დამშვენებული (სტემა, საიმპერატორო გვირგვინი). მეფეს ყელზე მძივები უკეთია. გამოსახულების მარცხნივ – ასომთავრული ԾԸ – დავით, მარჯვნივ – ՄՓ – მეფე. ზურგი: მონეტის ცენტრში თანაბარტოტებიანი ჯვრის გამოსახულება. გარშემო ქართული ასომთავრული ლეგენდა – ԺԾԸՄՄԻԸՄԸԻԻԽԵԸԸԸԸ (ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა).

მონეტის შუბლის მხარის პროტოტიპია ალექსი I კომნენოსის რეფორმის შემდგომდროინდელი ბილონის ასპრის ზურგის ტიპოლოგია. თუმცა ქართველი მეფის საიმპერიო სამოსი ფიქცია არ არის.

როგორ უნდა დათარიღდეს ეს უნიკალური მონეტა?

მონეტის მოჭრა შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავითმა 1118 წელს ლორე აიღო და გააუქმა ტაშირ-მორაკეტის სამეფო. დავით აღმაშენებლის ტიტულში „სომეხთა მეფე“ ნიშნავს ტაშირ-მორაკეტის მეფობას.

ბოლო ხანებში გამოჩნდა კიდევ ერთი იდენტური ცალი, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის ყალბია.

ყველა ზემოაღწერილი ცალი, გარდა დავით III კურაპალატის მონეტებისა, ქუთაისში უნდა იყოს მოჭრილი.

XI-XII საუკუნეების ბიზანტიური მონეტები საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველო

1. 1936 წელს დმანისის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის (976-1025 წწ.) სპილენძის ოთხი მონეტა.

2. 1937 წელს სოფელ უდეში (ადიგენის რაიონი) იპოვეს მათივე სპილენძის მონეტა.

3. მათივე სპილენძის მონეტა აღმოჩნდა სოფ. ფარავნის მიდამოებში.

4. 1940-იან წლებში სოფელ ნოსტეში (კასპის რაიონი) ნაპოვნია ბასილ II-ის და კონსტანტინე VIII-ის სპილენძის მონეტა.

5. 1948 წელს განძის კარის (თბილისის ისტორიული ადგილი) მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა მათივე სპილენძის მონეტა.

6. ასეთივე მონეტას მიაკვლიეს ოკამში (ახალქალაქის რაიონი) საკარმიდამო მიწის დამუშავების დროს.

7. მათივე მონეტა აღმოჩნდა სოფელ აბავრეთში (ახალქალაქის რაიონი) მიწის დამუშავების დროს.

8. 1960 წელს ბაკურიანში (ბორჯომის რაიონი) აღმოჩნდა ბასილ II-ის და კონსტანტინე VIII-ის სპილენძის მონეტა.

9. 1906 წელს ახალციხის მიდამოებში ნაპოვნ განძში კონსტანტინე VIII-ის (1025-1028 წწ.) ოქროს ხუთი მონეტა იყო.

10. 1930-იან წლებში სოფელ დვირში (ბორჯომის რაიონი) მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ქილაში მოთავსებული ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი. მთელი განძი, ერთი მონეტის გამოკლებით, ეკუთვნის ბიზანტიის სამ იმპერატორს: კონსტანტინე VIII-ს, კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) და რომანოზ IV დიოგენეს (1067-1071 წწ.). განძში 22 მონეტა ბრტყელი ტიპისაა და მაკედონიის დინასტიის წარმომადგენელს, კონსტანტინე VIII-ს ეკუთვნის. 23 ჩაღრმავებული წესით არის მოჭრილი და დუკასა და რომანოზ IV დიოგენეს განეკუთვნება, 22 ცალი – კონსტანტინე X დუკას, 1 ცალი – რომანოზ IV დიოგენეს. განძის დამარხვა სავარაუდოა XI საუკუნის 70-80-იან წლებში.

11. 1936 წელს დმანისში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა რომანოზ III-ის (1028-1034 წწ.) სპილენძის მონეტა.

12. იმავე დმანისში მიაკვლიეს მიხაელ IV-ის (1034-1041 წწ.) სპილენძის 6 მონეტას.

13. იქვე აღმოჩნდა კონსტანტინე IX-ის (1042-1055 წწ.) სპილენძის მონეტა.

14. 1956 წელს ავჭალაში შემთხვევით იპოვეს კონსტანტინე IX-ის ოქროს მონეტა.

15. 1911/12 წლებში თბილისში (ავლაბარი) ნაპოვნია თეოდორას (1055-1056 წწ.) სპილენძის მონეტა.

16. 1920-იან წლებში სოფელ წყორმას (ახალციხის რაიონი) მიდამოებში იპოვეს თეოდორას სპილენძის 2 მონეტა.

17. 1936 წელს სოფელ წინწყაროში (თეთრიწყაროს რაიონი) ნაპოვნია თეოდორას სპილენძის მონეტა.

18. 1936 წელს დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა თეოდორას სპილენძის 3 მონეტა.

19. იქვე აღმოჩნდა მიხაელ VI-ის (1056-1057 წწ.) სპილენძის 2 მონეტა.

20. 1925 წელს თბილისში, ლესელიძის ქუჩის გაფართოების დროს, იპოვეს კონსტანტინე X-ის სპილენძის მონეტა.

21. თბილისის მიდამოებშივე 1926 წელს აღმოჩნდა კონსტანტინე X-ის სპილენძის ფული.

22. ასეთივე მონეტა იპოვეს 1926 წელს სოფელ ძველ დმანისში.

23. დმანისშივე 1936 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა კონსტანტინე X-ის სპილენძის 5 მონეტა.

24. 1948 წელს თბილისში სამას არაგველთა სახელობის ბაღთან იპოვეს კონსტანტინე X-ის სპილენძის მონეტა.

25. მისივე ოქროს მონეტა ნაპოვნია სოფელ უგუდეთში (თეთრიწყაროს რაიონი) 1950-იან წლებში.

26. 1952 წელს თელავის რაიონის სოფელ იყალთოსთან აღმოჩნდა კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტა.

27. მისივე ნომისმა 1953 წელს იპოვეს თელავში.

28. მისივე ნომისმა ნაპოვნია 1956 წელს ხრამჭესის (წალკის რაიონი) მშენებლობის დროს.

29. 1957 წელს თბილისის ზღვის მახლობლად შემთხვევით აღმოჩნდა კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტა.

30. 1962 წელს სოფელ იდუმალაში (ასპინძის რაიონი) სასოფლო კლუბის მშენებლობის დროს იპოვეს ბიზანტიური ფულების განძი. ჩვენამდე მოაღწია ოქროს ერთმა და ელექტრუმის თორმეტმა მონეტამ. ოქროს მონეტა კონსტანტინე X-ს ეკუთვნის და, როგორც თ. აბრამიშვილი ვარაუდობს, შეიძლება „კონსტანტინატი“ იყოს, დანარჩენი ელექტრუმის მონეტები ნიკიფორე III-ის (1078-1081 წწ.) სახელითაა მოჭრილი და ალბათ „ბოტინატი“. თ. აბრამიშვილის აზრით, განძი შესაძლოა დაიმარხა თურქების გამანადგურებელი შემოსევების დროს 1080-1090 წლებში.

31. 1962 წელს სოფელ პატარა დმანისში აღმოჩნდა კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტა.

32. იმავე 1962 წელს ზურტაკეტ-გომარეთის პლატოზე (დმანისის მიდამოები) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტა აღმოაჩინა.

33. რუსთავის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1965 წელს კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტას მიაკვლია.

34. 1936 წელს დმანისში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რომანოზ IV-ის სპილენძის მონეტა აღმოაჩინა.

35. იმავე 1936 წელს დმანისში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია მიხაელ VII-ის (1071-1078 წწ.) სპილენძის მონეტას.

36. 1873-1875 წლებში საფარის (ახალციხის რაიონი) მონასტრის მახლობლად ნაპოვნია ნიკიფორე III-ის (1078-1081 წწ.) ოქროს მონეტა.

37. 1890 წელს საფარის მონასტრის მიდამოებში აღმოჩნდა ნიკიფორე III-ის ვერცხლის მონეტების განძი. მონეტები მოჭრილი იყო ჩაღრმავების წესით. ზუსტი რიცხვი ცნობილი არ არის.

38. 1930-იან წლებში თეთრიწყაროს მიდამოებში იპოვეს ნიკიფორე III-ის ელექტრუმის მონეტა.

39. 1936 წელს სოფელ ვარდისუბანსა (თელავის რაიონი) და გულგულას შუა, ნატკორაში უპოვიათ თერთმეტი ვერცხლნარევი ოქროს ფული (ელექტრუმის). ერთი ცალი, დაცული თელავის მუზეუმში, ნიკიფორე III-ისა აღმოჩნდა.

40. 1962 წელს შიომღვიმის მონასტერთან, მცხეთის მახლობლად, იპოვეს ალექსი I-ის (1081-1118 წწ.) სპილენძის მონეტა.

41. 1935 წელს კრწანისში აღმოჩნდა ალექსი I-ის სპილენძის მონეტა.

42. ასეთივე მონეტა იპოვეს 1936 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს დმანისში.

43. 1948 წელს თბილისში (განჯის კართან) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ალექსი I-ის სპილენძის ორი მონეტა.

44. 1949 წელს გურჯაანის მიდამოებში, ალაზნის არხის რეკონსტრუქციის დროს, აღმოჩნდა ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ შვიდმა ეგზემპლარმა. ექვსი ეკუთვნის ალექსი I-ს და ერთიც – იოანე II (1118-1143 წწ.).

45. 1929 წელს სოფელ შიბლიანთან (საგარეჯოს რაიონი) ნაპოვნია იოანე II-ის ოქროს მონეტა.

46. 1953 წელს სოფელ ხოდაშენში (თელავის რაიონში) იპოვეს იოანე II-ის ოქროს მონეტა.

47. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაძეში.

48. 1938 წელს თბილისში აღმოჩნდა XI საუკუნის სპილენძის ანონიმური ბიზანტიური მონეტა.

49. ასეთივე ორი მონეტა იპოვეს დმანისის მიდამოებში 1941-1943 წლებში.

50. ასეთივე ორი მონეტა ნაპოვნია 1952 წელს სოფელ ოკამში (ახალქალაქის რაიონი).

51. 1953 წელს წელს თმოგვის ციხის (ასპინძის რაიონი) მიდამოებში იპოვეს XI საუკუნის ბიზანტიური სპილენძის ანონიმური მონეტა.

52. თბილისში, ორთაჭალჰესის მშენებლობაზე, მტკვრის კალაპოტის ამოწმენდის დროს იპოვეს X-XI საუკუნეების სპილენძის ბიზანტიური მონეტა.

53. 1954 წელს აქვე ნაპოვნია ბიზანტიური ოქროს მონეტა XI საუკუნისაა.

54. 1953 წელს ახალქალაქის ძველი ციხის ნანგრევებთან ნაპოვნია XI საუკუნის ბიზანტიური სპილენძის მონეტა.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში ნაპოვნია XI-XII საუკუნეების 150 ცალზე მეტი ბიზანტიური მონეტა. აქედან ოქროსია 72 ცალი, ელექტრუმის – 24 და სპილენძის – 52. საერთო რიცხვიდან ხუთი ოქროს, ვერცხლის და ელექტრუმის მონეტების განძია.

ძალიან საინტერესო სურათს გვაძლევს XI-XII საუკუნეების ბიზანტიური მონეტების საერთო რიცხვის განაწილება საუკუნეების მიხედვით. დაახლ. 150 ცალიდან 11 ეკუთვნის ალექსი I-ს (1081-1118 წწ.), ე.ი. გარდამავალ პერიოდს, ხოლო საკუთრივ XII საუკუნეზე მოდის მხოლოდ 4 ეგზემპლარი და ყველა მათგანი მიეკუთვნება იოანე II-ს (1118-1143 წწ.). აქედან დასკვნა: აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმოიქცეოდა XI საუკუნის ბიზანტიური მონეტები. XII საუკუნეში მათი შემოსვლა კლებულობს, ხოლო ამ საუკუნის 40-იანი წლებიდან, დღესდღეისობით არსებული ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თითქმის წყდება.

დასავლეთ საქართველო

1. 1903 წელს ოჩამჩირეში აღმოჩენილი სამონეტო კომპლექსის შემადგენლობაში ერია ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის (976-1025 წწ.) სპილენძის შვიდი მონეტა.

2. სოფელ ბობოყვათში (ქობულეთის რაიონი) 1956 წელს აღმოჩნდა მათივე სახელით მოჭრილი სპილენძის ორი მონეტა.

3. ასეთივე მონეტა ნაპოვნია 1957 წელს ახალ ათონში (გუდაუთის რაიონი).

4. 1957 წელს სოხუმში (შუქურას მახლობლად) იპოვეს ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის ორი ფოლისი.

5. მათივე სპილენძის მონეტა ნაპოვნია 1958 წელს წებელდაში (გულრიფშის რაიონი).

6. ასეთივე მონეტა ნაპოვნია ქობულეთში 1962 წელს.

7. ორი ასეთი მონეტა ნაპოვნია ბობოყვათში 1962-1963 წლებში.

8. ციხისძირში (ქობულეთის რაიონი) 1949 წელს იპოვეს სპილენძის ექვსი ბიზანტიური მონეტა, რომელთაგან ორი კონსტანტინე VIII-ს ეკუთვნოდა.

9. ოჩამჩირის სამონეტო კომპლექსში იყო რომანოზ III-ის (1028-1034 წწ.) სპილენძის 4 მონეტა.

10. გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში 1948 წელს იპოვეს რომანოზ III-ის სპილენძის მონეტა.

11. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა 1962 წელს ქობულეთში.

12. ოჩამჩირის სამონეტო კომპლექსში მიხაელ IV-ის (1034-1041 წწ.) სპილენძის ოთხი მონეტაც ერია.

13. ასეთივე ორი მონეტა უპოვიათ 1910-1911 წლებში გელათში.

14. 1929 წელს ასეთივე მონეტა აღმოჩნდა სოფელ საქარაში (ზესტაფონის რაიონი).

15. 1957 წელს სოფელ ქვედა ვანში (ვანის რაიონი) უპოვიათ ასეთივე მონეტა.

16. მიხაელ IV-ის სპილენძის მონეტა ნაპოვნია სოფელ აჩანდარაში (გუდაუთის რაიონი).

17. მიხაელ IV-ის სპილენძის მონეტა ნაპოვნია სოფელ ოდიშში (სოხუმის რაიონი).

18. ოჩამჩირის სამონეტო კომპლექსში კონსტანტინე IX-ის (1042-1055 წწ.) სპილენძის ორი მონეტაც იყო.

19. ახალ ათონში 1957 წელს კონსტანტინე IX-ის ვერცხლის მონეტა აღმოჩნდა.

20. ოჩამჩირის სამონეტო კომპლექსში იყო იმპერატორ თეოდორას (1055-1056 წწ.) სპილენძის 11 მონეტა.

21. ასეთივე მონეტები (ზუსტი რიცხვი ცნობილი არაა) აღმოჩენილა 1910-1911 წლებში გელათში.

22. ორი ასეთი მონეტა უპოვიათ ბოზოყვათში 1956 და 1962-1963 წლებში.

23. ოჩამჩირის სამონეტო კომპლექსში იყო კონსტანტინე X-ის (1059-1067 წწ.) სპილენძის ხუთი მონეტა.

24. მისივე სპილენძის ორი მონეტა აღმოჩნდა 1950 წელს ციხისძირში.

25. ასეთივე მონეტა ნაპოვნია ქობულეთის მიდამოებში 1962 წელს.

26. სოფელ აბანოეთში (ამბროლაურის რაიონი) 1968 წელს აღმოჩნდა სპილენძის მონეტების განძი, რომელიც შედგებოდა: ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის – 2, მიხეილ IV-ის – 1, თეოდორას – 2, კონსტანტინე X-ის – 2 ფოლისისაგან. გარდა ამისა, განძის შემადგენლობაში შედის ლათინთა დროის სამი და ერთი განუსაზღვრელი მონეტა.

27. ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში აღმოჩნდა კონსტანტინე X დუკას და მისი მეუღლე, ევდოკიას სპილენძის მონეტა.

28. კონსტანტინე X-ის სპილენძის (1) და რომანოზ IV-ის სპილენძის (1) მონეტები ნაპოვნია სოფელ ოდიშში (სოხუმის რაიონი).

29. ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში უპოვიათ რომანოზ IV-ის (1067-1071 წწ.) ფოლისი.

30. 1983 წელს სოფელ ლიხნში, შუა საუკუნეების სასახლის კომპლექსის გათხრების დროს, თიხის კოჭობში აღმოჩნდა ქართული ვერცხლისა და ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი. ბიზანტიური მონეტები ჩაღრმავებული ტიპისაა და მოჭრილია შემდეგი იმპერატორების სახელით: კონსტანტინე IX მონომახის – 1 ცალი; კონსტანტინე X-ის – 9 ცალი; მისი მეუღლის, ევდოკიასის – 1 ცალი; რომანოზ IV-ის – 17 ცალი; სულ – 28 ცალი. 43 მონეტა ქართულია და მოჭრილია ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) – 31 ცალი და გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) სახელით – 12 ცალი. გიორგი II-ის მონეტა ტიტულით სევასტოსი (?) აღმოჩენილია აგრეთვე ბეშკარდაშში (სოხუმის რაიონი), ხოლო გიორგი II-ს მონეტა ტიტულით კესაროსი – ანაკოფიასთან.

31. სოხუმის მთაზე 1951 წელს იპოვეს მიხაელ VII-ის (1071-1078 წწ.) ოქროს მონეტა.

32. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა ციხისძირში 1959 წელს.

33. ოჩამჩირის სამონეტო კომპლექსში იყო ნიკიფორე III-ის (1078-1081 წწ.) სპილენძის მონეტა.

34. თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში 1925 წელს აღმოჩნდა ნიკიფორე III-ის ელექტრუმის მონეტა.

35. ასეთივე მონეტა უპოვიათ 1925 წელს სოფელ მესხეთში (ქუთაისის რაიონი).

36. 1926 წელს რაჭაში აღმოჩენილა ნიკიფორე III-ის ასეთივე მონეტა.

37. ასეთივე მონეტა იპოვეს 1926 წელს ქუთაისის მიდამოებში.

38. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა სოფელ გუბში (ხონის რაიონი) 1933 წელს.

39. ასეთივე მონეტა იპოვეს სოხუმის მთაზე 1951 წელს.

40. ხუთი ასეთი მონეტა აღმოჩნდა ბიჭვინთის არქეოლოგიური გათხრების დროს 1956 წელს.

41. 1955 წელს სოხუმში აღმოჩნდა სპილენძის მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: მიხაელ IV-ის – 2, კონსტანტინე IX-ის – 5, კონსტანტინე X-ის – 3 და 10 ანონიმური ფოლისი (1075-1080 წწ.).

42. 1901 წელს რაჭაში იპოვეს ჩაღრმავების წესით მოჭრილი XI საუკუნის ოქროს ბიზანტიური მონეტა.

43. სოფელ ქედაში (ქედის რაიონი) 1904 წელს აღმოჩენილა XI-XII საუკუნეების რამდენიმე ცალი სპილენძის ბიზანტიური მონეტა.

44. ოზურგეთის მიდამოებში 1905 წელს იპოვეს ჩაღრმავების წესით მოჭრილი XI საუკუნის ბიზანტიური ოქროს მონეტა.

45. სინოპის მიდამოებში (სოხუმი) 1969 წელს აღმოჩნდა ნიკიფორე III-ის ელექტრუმის მონეტა.

46. 1910-1911 წლებში გელათში უპოვიათ ბიზანტიური სპილენძის მონეტები (ზუსტი რიცხვი ცნობილი არ არის) „ოთხსტრიქონიანი წარწერით“.

47. ასეთივე მონეტა აღმოჩენილა 1934 წელს ციხისძირში.

48. ქუთაისში, ბაგრატიის ტაძრის ნანგრევების სიახლოვეს, 1935 წელს იპოვეს XI-XII საუკუნეების სპილენძის ბიზანტიური მონეტა „ოთხსტრიქონიანი წარწერით“.

49. ასეთივე მონეტა აღმოჩენილია ქუთაისში, რკინიგზის ხიდის მახლობლად, 1939 წელს.

50. XI საუკუნის ბიზანტიური სპილენძის მონეტა იპოვეს ციხისძირის მახლობლად 1948 წელს.


51. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა ციხისძირში 1949 წელსაც.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია XI-XII საუკუნეების დაახლ. 149 ცალი ბიზანტიური მონეტა. აქედან დაახლ. 104 სპილენძისაა, 32 – ოქროსი, 12 – ელექტრუმის და 1 – ვერცხლის. საერთო რიცხვიდან სამი განძია: ორი სპილენძის მონეტებისა და ერთი შერეული – ოქროსა და ვერცხლის.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ზემოთ დასახელებული მონეტები XI საუკუნით თარიღდება. XII საუკუნის მასალა ჯერჯერობით აქ დაფიქსირებული არ არის.⁴¹

⁴¹ თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი, ნ. ხარშილაძე. ქართულ-ბიზანტიური მონეტები. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge>; თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2015, გვ. 9-38; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Second edition. Compiled by A. Boshishvili, A. Tabuashvili, L. Tavadze, Natia Phiphia, A. Chikobava, E. Avdaliani, M. Kardava. Athens. 2021, გვ. 227-244.

XI-XII სს. მონეტები საქართველოდან



● ქართულ-ბიზანტიური მონეტები

○ ბიზანტიური ოქროს, ელექტრუმის და სპილენძის მონეტები

სამონეტო მიმოქცევა საქართველოში XII საუკუნეში-XIII საუკუნის I ნახევარში

ქართული საკრედიტო ფულის (XII საუკუნე-XIII საუკუნის ოცი-ანი წლები) განხილვას ვიწყებთ დემეტრე I-ის (1125-1156 წწ.) სპილენძის მონეტებით და ვამთავრებთ რუსუდანის (1222-1245 წწ.) სპილენძის ნუმიზმატიკური ძეგლებით. დროის ეს მონაკვეთი ქართულ ნუმიზმატიკაში მკვეთრად გამოხატული „სპილენძის ხანაა“. ე.წ. ვერცხლის კრიზისი მახლობელ აღმოსავლეთში თავის ზენიტშია და ყოველივე საქართველოს სამონეტო საქმეზეც ახდენს ზეგავლენას. დემეტრე I-ის დროიდან მოკიდებული რუსუდანის მეფობამდე ქართული მონეტები იჭრება მხოლოდ და მხოლოდ სპილენძისგან. ეს სამონეტო საქმის ერთი თავისებურებაა. მეორე თავისებურება ის გახლავთ, რომ XII საუკუნეში მონეტის გარეგნული სახე მკვეთრად შეიცვალა – აქამდე მიღებულ კანონზომიერ მოყვანილობას, სიმრგვალებს, მონეტა კარგავს. ამიერიდან ფულის უმეტესი ნაწილი შემთხვევითი ფორმის სპილენძის ფირფიტების სახით იჭრება. ხშირად, ფირფიტის სიმცირის გამო, სიქის ანაბეჭდი მასზე მთლიანად ვერ თავსდება. მონეტის მოჭრის ეს წესი თავდაპირველად აღმოსავლეთის ქვეყნებში იქნა დანერგილი და ჩვენშიც მტკიცედ მოიკიდა ფეხი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ე.წ. „უწესოდ“ მოჭრილ მონეტებს ვაჭრობის დროს ღებულობდნენ უკვე წონის და არა თვლის ანგარიშით. „უწესოდ“ მოჭრილი ფულის პარალელურად, რა თქმა უნდა, იჭრებოდა მრგვალი ფორმის მონეტებიც.

დემეტრე I-ის ემისიები.

1. შუბლი: ცენტრში მოთავსებული ასომთავრული **Շ**, რომელიც დემეტრეს სახელის ინიციალს წარმოადგენს. ზემოთ და ქვემოთ არაბული ზედწერილი **ملك الملوك** მეფეთა მეფე. ირგვლივ რკალი და გაურკვეველი არაბული წარწერა. ზურგი: ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი **محمود بن محمد** მაჰმუდ იბნ მუჰამმადი (1118-1131 წწ.). გარშემო ასევე არაბული ლეგენდა, რომელიც ძნელად იკითხება.

2. შუბლი: რვაკუთხედ ფიგურიან ჩარჩოს ცენტრში ასომთავრული **Շ**. ჩარჩოს გარეთ არაბული წარწერა

ملك الملوك
حسام المسيح

მეფეთა მეფე, მესიის მახვილი – სტილიზებულია და ჩარჩოს ნაწილს წარმოადგენს. ზურგი: ხუთღერძიანი ვარდულის შინაგან ბუ-

დეებში მოთავსებული არაბული წარწერა გვამცნობს არაბთა ხალიფას ალ-მუჰთაფი ლი-ამრ ალლაჰის (1136-1160 წწ.) სახელს, ხოლო გარეგან ბუდეებში არაბულივე ზედწერილი – სელჩუკთა სულთნის ღიას ედ-დინ მასუდის (1133-1152 წწ.) სახელს.

დემეტრე I-ის კონკრეტული ემისიების თარიღი მონეტაზე მოცემული მუსლიმი მმართველების წლების მიხედვით უნდა დავადგინოთ. გამოდის, რომ დემეტრე I ემისიებს 1125-1131, 1136-1152 წლებში ახორციელებდა.

გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) „უწესოდ“ მოჭრილი სპილენძის მონეტები (გიორგი III-ის ემისიები მთავრული ნიშნით) დემეტრე I-ის ზემოთ აღწერილ მონეტის ვარიანტს წარმოადგენს და განსხვავდება მეფის სახელის ინიციალით. ასომთავრული დონის ნაცვლად აქ გიორგის ინიციალია ამოკვეთილი ასომთავრულითვე. არ შეიძლება გაკვირვება არ გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ გაერთიანებული საქართველოს ძლიერი მეფე გიორგი III თავის მონეტაზე არაბულ ზედწერილებსა და ხალიფას სახელს ათავსებს. ზოგიერთი მკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ საქართველოს მეფე რაღაც ფორმით დამოკიდებული იყო მუსლიმ მფლობელზე. მაგრამ ასეთი მოსაზრება ყოვლად უსაფუძვლოა. დემეტრესა და გიორგი III-ის ასეთი კონკრეტული ჟესტი ნაკარნახევი იყო წმინდა ეკონომიკური მოტივებით, რადგან ქართულ მონეტებს გზა უნდა გაეკვლია მახლობელი აღმოსავლეთის ბაზრისკენ, ამას კი არაბული ლეგენდა და ხალიფას სახელის მოხსენიება უთუოდ უწყობდა ხელს. ამავე დროს წარწერის შინაარსი იმასაც ატყობინებდა მუსლიმურ სამყაროს, რომ, ვთქვათ, გიორგი III „მეფეთა მეფე“ და „მესიის მახვილი“ იყო. კონკრეტული ემისიები 1156-1160 წლებში ხორციელდებოდა.

გიორგი III „უწესოდ“ მოჭრილი მონეტების პარალელურად იწყებს აგრეთვე მრგვალი მოყვანილობის (გიორგი III-ის მონეტები – მეფე შევარდენით ხელში) მონეტების ემისიასაც (შუბლი: აზიურ-ბიზანტიურ სამოსელში გამოწყობილი გიორგი III მარცხენა (ზოგჯერ მარჯვენა) ხელით დოინჯშემოყრილი ფეხმორთხმით ზის პირდაპირ. მას მეორე გაწვდილ ხელზე შევარდენი უზის. თავს საიმპერატორო სტემა უმშვენებს. მონეტის არეზე გაფანტულია ქართული მხედრული წარწერა, რომელიც იუწყება მეფის სახელს (შემოკლებულად – გი, ზოგან ამას ემატება „LTI“-ს მონოგრამა) და ასომთავრული წარწერა ԳԻՂԻՄ ԺՈՐՈՆԻԿՈՆՏԱ 394 (=1174 წ.). ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

ملك الملوك

کیورکی بن دیمطری

მეფეთა მეფე გიორგი, ძე დემეტრესი, მესიის მახვილი).

1184 წლიდან თამარი ერთპიროვნული მმართველია (თამარ მეფის მონეტები მისი ხელრთვით) (შუბლი: წნული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში თამარის ხელრთვა. ორნამენტის გარშემო დაქარაგმებულია ასომთავრული ზედწერილი – **ⴗⵏ ⵜⴰⵎⴰⵔⵉ ⵜⴰⵎⴻⵔⴼⴰⵏⵜ**, ანუ „თამარის სამეფო“). ზურგი: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

اعز الله انصاره

ضاعف الله جلالها ومدّ ظلالها وايد اقبالها

აღნიშნული მონეტები რამდენიმე თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას. ჯერ ერთი, ასეთი მედიდური წარწერა არაბულად არცერთ ქართულ მონეტებზე არ მოთავსებულა. საქართველოს არ-

ნახული ძლიერების სურათის აღდგენა მარტო ამ მონეტების ლეგენდის საშუალებითაც კი შეიძლება. მეორეც, სპილენძის მონეტას აწერია „... იქნა ჭედაი ვერცხლისი...“, აქ ე.წ. „ვერცხლის კრიზისის“ პერიპეტები უნდა იყოს ასახული. სხვა ვარიანტზე მოთავსებულია თარიღი ქორონიკონი 430 (=1210 წ.). უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილი ნუმიზმატიკური ძეგლები ჩვენამდე ათასობითაა მოსული, და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ნაპოვნი.

როგორც ცნობილია, 1188 წელს თამარმა ხელმეორედ იქორწინა დავით სოსლანზე. მათი სახელითაა მოჭრილი ქვემოთ აღწერილი „წესიერი“ ფორმის სპილენძის მონეტები (თამარისა და დავითის მონეტები „ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნით“), რომლებმაც ჩვენამდე დიდი რაოდენობით მოაღწია (შუბლი: მონეტის ცენტრში მოთავსებულია რთული აგებულების ნახაზი – ნიშანი, რომელსაც დ. კაპანაძე ნაკვეთს ეძახის და ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნად მიიჩნევს. მარცხნივ და მარჯვნივ ასომთავრულით დაქარაგმებულია თამარისა და დავითის სახელები – ԹԻ და ԶԲ. ზემოთ და ქვემოთ ასომთავრულითვე ԺԶԿԶ ქორონიკონსა 420 (=1200 წ.). ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

ملكة الملكات

جلال الدنيا والدين

تامار ابنة كيوري

ظهير المسيح

დედოფალი დედოფალთა, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის მიმდევარი).

რაც შეეხება თამარისა და დავითის მონეტის შუბლზე მოთავსებულ რთულ ფიგურულ ნიშანს, რომელსაც დ. კაპანაძე ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნად მიიჩნევს, მისი მნიშვნელობა გახსნა ქართული პალეოგრაფიის შესანიშნავმა მცოდნემ, თ. ბარნაველმა. მისი აზრით, მონეტაზე მოთავსებულ ფიგურულ ნიშანში მოცემულია მონოგრამულად შერწყმული ქართული ასოები, რომლებიც გადმოცემს თამარისა და დავითის სახელებს. დაბოლოს, გაკვირვით შევეხებით თამარის გარდაცვალების თარიღს, რამდენადაც ამ თარიღის დადგენისას მნიშვნელოვან როლს სწორედ ნუმიზმატიკური ძეგლები ასრულებს. თამარის გარდაცვალების თარიღად მკვლევარები განსხვავებულ წლებს ასახელებენ. ყველაზე მისაღები 1210 წელია, რასაც ნუმიზმატიკური მასალა ავლენს. საქმე ის გახლავთ, რომ თამარი მონეტებს 1210 წელს ჰრიდა, და ამავე დროს ცნობილია 1210 წლით დათარიღებული გიორგი IV ლაშას მონეტები წარწერით „გიორგი, ძე თამარისა“ და გიორგი IV ლა-

სუდან. ორნამენტის ბუდეებში შემოკლებით თარიღია – 𐌲𐌹𐌸𐌸𐌹𐌲𐌰
ქორონიკონსა 447 (=1227 წ.). ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული
ზედწერილი

الملكة لملوك و الملكات

جلال الدنيا والدين

روسدان بنت تمار ظهير المسيح

اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, დიდება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის მიმდევარი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი. გარშემო რკალი.

ზემოთ აღწერილ მონეტებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად მათი მრავალრიცხოვნებისა, ყველა მათგანს თარიღად 1227 წელი უზის. ეს იმას ნიშნავს, რომ 1227 წელი გახლავთ კონკრეტული ნიმუშის შემოღების და არა ემისიის წელი.

რუსუდანის ვერცხლის მონეტები (რუსუდანის ვერცხლის მონეტები იესო ქრისტეს გამოსახულებით) კომპოზიციით ახლოს დგას ბიზანტიურ ნუმიზმატიკურ ძეგლებთან, ხოლო წონით ისეთივეა, როგორც სინქრონული აღმოსავლური დირჰემები (შუბლი: ქრისტეს წელზევითი გამოსახულება პირდაპირ, მოსასხამით, თავზე შარავანდედით. მარჯვენა ხელით ლოცავს, მარცხენა ხელში ბიბლია უჭირავს, რომლის ყდაზე სამი ბურთულაა. IC XC მონეტის არეში. ირგვლივ ხაზოვანი რკალი და ასომთავრული გარშემოწერილი – 𐌸𐌹𐌸𐌸𐌹𐌲𐌰 𐌹𐌲𐌸𐌹𐌲𐌰 𐌹𐌲𐌸𐌹𐌲𐌰 𐌹𐌲𐌸𐌹𐌲𐌰, ე.ი. სახელითა ღვთისაითა იჰყედა ქორონიკონსა 450 (=1230 წ.). ზურგი: რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში, რომელიც მოგვაგონებს თამარ მეფის 1200 წლით დათარიღებულ მონეტაზე ამოკვეთილ ნიშანს (თ. ბარნაველი მას „შუბისპირის მსგავს კონტურად“ მიიჩნევს), ჩაწერილია ასომთავრული 𐌶𐌸𐌹, ე.ი. რუსუდან. ირგვლივ გარშემოვლებულია არაბული ზედწერილი

ملكة الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تمار ظهير المسيح

დედოფალი დედოფალთა, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის მიმდევარი).

ქრისტეს ბიუსტის ტიპი აღებულია ბიზანტიის იმპერატორის, ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081 წწ.) ნომისმიდან. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართულ სიგელებში რუსუდანის დრამებს „ბოტინატი“ ან „ბოტინაური“ ეწოდება. ზოგჯერ მას „ცხუმური თეთრი“ ცვლის (თეთრი აქ საანგარიშო ერთეულია). გამოთქმულია მოსაზრება, რომ რუსუდანის ვერცხლი ცხუმში მოიჭრა. მართლაც, თბილისი ამ დროს ოკუპირებულია ჯალალ ედ-დინის

მიერ. მრავალნაირ ვარიანტად წარმოდგენილი ეს მონეტები სხვადასხვანაირი მახასიათებელი ნიშნებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. აღწერილ ვერცხლის მონეტებს ლიტერატურაში დრამას უწოდებენ.

ჯალალ ედ-დინის შემოსევებიდან მოკლე ხანში ქვეყანაში მონღოლთა ჰეგემონია დამყარდა. რუსუდანის შემდგომ მოჭრილი მონეტები ორ ჯგუფად იყოფა: 1. ქართველ მეფეთა მონეტები XIII-XIV საუკუნეებში და 2. მონღოლური საოკუპაციო მონეტები.

1247 წელს თბილისის ზარაფხანაში დავით ნარინის (1245-1293 წწ.) სახელით ვერცხლის მონეტა (დავით ნარინის ვერცხლის მონეტები მხედრის გამოსახულებით) იჭრება (შუბლი: მარჯვნივ მიმართული გვირგვინოსანი მეფე-მხედრის გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელში მათრახი უჭირავს. გამოსახულების წინ მონოგრამა, რომელიც დავითის სახელს აღნიშნავს. აქვეა თარიღი ԺԷԿԶ, ე.ი. ქორონიკონი 467 (=1247 წ.). მხედრის უკან ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ზურგი: ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი

بقوة خدا
دولة كوك
قال بنده
داود ملك

ძალითა ღვთისათა, მონა გუიუკ-ყაენის მთავრობისა. მეფე დავითი.

ზედწერილის გვერდით მარჯვენა მხარეს სპარსულადვეა მოჭრის ადგილი:

ضرب تفليس

იჭედა თბილისს).

თბილისშივე ჰიჯრ. 650, 651 და 652 წლებში იჭრება დავით ნარინის თანამოსაყდრის, დავით ულუს (1247-1270 წწ.) ვერცხლის იშვიათი მონეტები (დავით ულუ „ბაგრატიონის“ 1252-1255 წლების ვერცხლის ემისიები) (შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

داود ملك
ابن كيوركى
البعراطى
ضرب تفليس

დავით მეფე, ძე გიორგისა, ბაგრატიონი. იჭედა თბილისს. ზურგი: ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი

بقوة خدای
یاقبال پادشاهی
جهان منکو قان

و ستمائة سنة خمسين

ძალითა ღვთისათა, მსოფლიოს მანგუ ყაენის ნებითა, წელსა 650 (=1252/53 წწ.).

დავით ულუსვე უნდა ეკუთვნოდეს სპილენძის იშვიათი მონეტები (დავით ულუს სპილენძის მონეტები მხედრის გამოსახულებით) (შუბლი: გვირგვინოსანი მხედრის მარჯვნივ მიმართული ფიგურა. გამოსახულების ორივე მხარეს – ასომთავრული Շ და Թ, რაც დავითის სახელის დაქარაგმებაა. ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملك الملوك

داود بن كوركى

حسام المسيح

მეფეთა მეფე დავით, მე გიორგისა, მესიის მახვილი).

მონეტის ზუსტი ატრიბუცია პოლემიკის საგანია. მეცნიერთა ნაწილის აზრით, მონეტა დავით აღმაშენებელს უნდა მოეჭრა, უმრავლესობა კი მას დავით ულუს აკუთვნებს იმ ძლიერი არგუმენტის საფუძველზე, რომ სადისკუსიო მონეტა ზუსტი ასლია რუმის სელჩუკიდის, ქაიხოსრო I-ის (1192-1200 წწ.) სპილენძის ფულების იკონოგრაფიისა. ამიტომ, მისი ემისია დავით აღმაშენებლის მიერ წარმოდგენილია.⁴²

ქართული საკრედიტო ფული აფხაზეთიდან

სოხუმში, შუქურის რაიონში, ნაპოვნია გიორგი III-ის 1174 წელს მოჭრილი მონეტა. არსებობს ცნობები სოხუმში ორი ასეთი მონეტის აღმოჩენის შესახებ 1880 და 1902 წლებში. აქვეა აღმოჩენილი თამარის და დავით სოსლანის სახელით მოჭრილი ორი მონეტა. რუსუდანის 1227 წლით დათარიღებული მონეტა ნაპოვნია სოხუმის მიდამოებში.⁴³

⁴² თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი, ნ. ხარშილაძე. ქართული საკრედიტო ფული (XII საუკუნე-XIII საუკუნის 20-იანი წლები); ქართველ მეფეთა მონეტები XIII-XIV საუკუნეებში. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge>; თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2015, გვ. 39-62, 66-72, 82-86; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Second edition. Compiled by A. Boshishvili, A. Tabuashvili, L. Tavadze, Natia Phiphia, A. Chikobava, E. Avdaliani, M. Kardava. Athens. 2021, გვ. 245-271.

⁴³ С. М. Шамба. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н. э.-XIII в. н. э.). Тб. 1987, გვ. 102.

XII-XIII სს. მოწებები საქართველოდან



- ქართული საკრედიტო ფული, რუსუდანის ვერცხლის მონეტები

სამონეტო მიმოქცევა დასავლეთ საქართველოში XIII-XV საუკუნეებში

XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული სამონეტო ჯგუფის სახელია. ის შედგება დავით ულუს და დავით ნარინის სახელით მოჭრილი ფულის (მონეტები ორი დავითის გამოსახულებით) და კირმანეული თეთრისგან.

ორი დავითის მონეტის პროტოტიპი ბიზანტიის იმპერატორების იოანე II კომნენოსის (1118-1143 წწ.) და მიხაელ VIII პალეოლოგის (1258-1282 წწ.) ნუმისმატიკური ძეგლები უნდა იყოს. მათი რიცხვი სულ ათი ცალით განისაზღვრება (შუბლი: ორი მეფის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ. ორივეს თავზე გვირგვინები (სტემა) ადგას და თვლებით შემკული საიმპერატორო სამოსი აცვია. მარცხნივ მდგომ წვერულვაშებიან მეფეს მარცხენა ხელში ლაბარუმი უჭირავს, ხოლო მარჯვენა ხელი დოინჯშემოყრილი აქვს. იგივე ლაბარუმი მარჯვნივ მდგომ უწვერო მეფესაც უჭირავს მარჯვენა ხელში, ხოლო მარცხენა ხელი მასაც დოინჯშემოყრილი აქვს. მონეტის მარცხენა და მარჯვენა კიდეებზე ვერტიკალურად განლაგებულია ქართული მთავრული ასოებით შესრულებული ზედწერილი – ԾՄԲ და ՄԺԾ, რომელიც ასე იშიფრება – დავით მეფე, მეფეთა მეფე დავით. ზურგი: ტახტზე მჯდომი ღვთისმშობლის გამოსახულება პირდაპირ, რომელსაც თავს წერტილოვანი შარავანდედი ადგას და ნაკეცებიანი სამოსი აცვია. ტახტის სახელურზე დაყრდნობილი მარჯვენა ხელი მკერდზე აქვს მიდებული, მარცხენა ხელით ასევე ტახტის სახელურს უნდა ეყრდნობოდეს. გამოსახულების მარცხნივ, ერთ სტრიქონად, ქარაგმით შესრულებული ასომთავრული ზედწერილია – ԾԾ ე.ი. დედა(ე). მარჯვნივ, მთავრულივე ასოებით, აგრეთვე ქარაგმით, ორ სტრიქონად – ՈՒԲ ՆԸ ღუთისა(ე).

მიღებული ქრონოლოგიის თანახმად, 1259 წელს მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდა დავით ნარინი. ის დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ამით საქართველოს სამეფო de facto ორად გაიყო. სხვა ვერსიით, საქართველოს სამეფოს ორად გაყოფას ადგილი ჰქონდა ბევრად უფრო ადრე. ზოგი დასავლური წყარო ამ კუთხით თითქოს უფრო ნიშანდობლივია. საფრანგეთის მეფის ლუი IX-ის ელჩი ბერი გიომ დე რუბრუკი დიდი ყაენის კარზე გაემგზავრა. 1257 წელს ის საფრანგეთში დაბრუნდა და მოხსენებითი ბარათიც წარადგინა. აქედან, ერთი პასაჟი ძალზედ საინტე-

რესოა: „ამ უბის იქით ზიქიაა (თანამედროვე ტუაპსეს მხარე, რუსეთის ფედერაცია – თ. დ.), რომელიც თათრებს არ ემორჩილება, და უფრო აღმოსავლეთით არიან სუენები და იბერები, რომლებიც ასევე არ ემორჩილებიან მათ“. ეს, უბრალოდ, ნიშნავს იმას, რომ 1257 წლისთვის დასავლეთ საქართველო მონღოლებისთვის უკვე დაკარგულია. 1257 წელი საქართველოს გაყოფის ზედა ქრონოლოგიური ზღვარია, თუკი რუბრუკმა უახლესი ინფორმაცია დაამატა საკუთარ შთაბეჭდილებებს. ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს კი განსაზღვრავს მისი ამ მხარეებში ყოფნის თარიღი. ეს კი 1255 წლის დასაწყისია. ყოველივე აღნიშნული ორი დავითის მონეტების ემისიის თარიღს არ ცვლის. 1260 წელს მონღოლებს დავით ულუც აუჯანყდა, მაგრამ დამარცხდა. ის ჯერ სამცხეში გადავიდა, მერე კი – დასავლეთ საქართველოში. ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ტახტზე ხანმოკლე დროით, ალბათ, 1261 წლის დასაწყისიდან 1262 წლის დამდეგამდე, ერთდროულად ორი მეფე აღმოჩნდა. სწორედ ამ ხანებში მათ ორი მეფის სახელით მოჭრეს ვერცხლის საკმაოდ იშვიათი მონეტები.

რაც შეეხება ტრაპიზონის ასპრების ქართულ მინაბაძებს, კირმანეულებს, ისინი ძირითადად ორი იმპერატორის მონეტების მიხედვით იჭრება: მანუილ I-ის (1238-1263 წწ.) და იოანე II-ის (1280-1297 წწ.). ქვემოთ ვიძლევი მათ აღწერილობას.

კირმანეული თეთრი, მანუილის სახელიანი ემისიები. შუბლი: ფეხზე მდგომი წმ. ევგენიოსის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, შარავანდედით და გრძელნაკეცებიანი წამოსასხამით. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიათი ჯვარი უპყრია, მარცხენაში – სამოსის ნაკეცი. წმ. ევგენიოსის მარცხნივ და მარჯვნივ ვერტიკალურად განლაგებულია ბერძნული ზედწერილი – O-A-ΠI/EY-TE-NI-O, ე.ი. წმინდა ევგენიოსი. ზურგი: ფეხზე მდგომი იმპერატორის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, რომელსაც თავზე სტემა (საკიდრებიანი საიმპერატორო გვირგვინი) ახურავს და თვლებით მოოჭვილი საიმპერატორო სამოსელი აცვია. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიათი ლაზარუმი უჭირავს, მარცხენაში – ანექსიკაკია. მარჯვნივ ზემოთ – ღვთაების მაკურთხებელი ხელი. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ვერტიკალურად განლაგებულია ბერძნული ზედწერილი – M-N-A/O-K-MN – მანუილ კომნენოსი.

კირმანეული თეთრი, იოანეს სახელიანი ემისიები. შუბლი: წმინდა ევგენიოსის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე შარავანდედით და გულმკერდის არეში თვლებით შემკული წა-

მოსასხამით. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიათი ჯვარი უპყრია, მარცხენაში – წამოსასხამის ნაკეცები, რომლებიც წელის არეში აქვს მოკრეფილი. ბერძნული ზედწერილი ვერტიკალურად არის განლაგებული – A-E-Y/TE-NI . გარშემო გაცვეთილი წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები. ზურგი: ფეხზე მდგომი კეისრის გამოსახულება პირდაპირ, თვლებით მოოჭვილი საიმპერატორო სამოსით და სტემით. მარჯვენა ხელში მას მოკლებუნიათი ლაბარუმი უჭირავს. მარჯვენა ზედა კუთხეში – ღვთაების მაკურთხეველი ხელი, ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი, ბერძნული ზედწერილი ვერტიკალურად არის განლაგებული – A-O K/N-O . შემორჩენილია წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები.

კირმანეული თეთრი, ემისიები „კეისარი სამრკალიან სტემაში“.

1. შუბლი: ფეხზე მდგომი წმინდა ევგენიოსის გამოსახულება პირდაპირ, მას თავზე შარავანდედი ადგას და წმინდანის სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში ჯვარი უპყრია, მარცხენა – დოინჯშემოყრილი აქვს. ბერძნული ზედწერილი – O-Y/T-E-N-O . შემორჩენილია წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი. ზურგი: კეისრის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის აქეთ და იქით საკიდრებია დაშვებული. კეისარი შემოსილია გრძელი და განიერი სამოსით. ჰორიზონტალურად გაწვდილ მარცხენა ხელში ჯვრიანი სფერო უპყრია, ნახევარკალისებურად მოხრილ მარჯვენა ხელში – მოკლებუნიათი ლაბარუმი. მარჯვენა ზედა კუთხეში ღვთაების მაკურთხეველი ხელია, ამავე მხარეს ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი. ბერძნული ზედწერილი – I A-O-KO/H-O .

2. შუბლი: წმინდა ევგენიოსის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ. თავზე მას შარავანდედი ადგას და შემოსილია საიმპერატორო სამოსის მსგავსი ტანსაცმლით. მარჯვენა ხელში უპყრია გრძელბუნიათი ჯვარი, მარცხენა ხელი დოინჯშემოყრილი აქვს. ზედწერილი ასეთი ხასიათისაა – E-I/T-E-NY-O-O . ზურგი: კეისრის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის აქეთ-იქით თვლიანი თითო საკიდია დაშვებული (სტემა), ყელის გარშემო – თვლებით შემკული მანიაკი, წინ – ჩამოშვებული ლოროსი. მარჯვენა ხელში ლაბარუმი უპყრია, მარცხენა ხელი დოინჯშემოყრილი აქვს. მარცხენა მხარეს ჯვრიანმა სფერომ სამფოთლოვანი ყვავილისებური ფორმა მიიღო, ლოროსის ბოლომ კი – ოთხკუთხედის, ორივე ერთად ჯვრიანი სფეროს და ლოროსის ბოლო ნაწილის გაერთიანებული და გადაგ-

ვარებული ნახაზია. მარჯვნივ ზემოთ – ღვთაების მაკურთხეველი ხელი, ამავე მხარეს ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი, ზედწერილი – $\Omega-O-K-H/N-O$.

შემდეგი ე.წ. კირმანეულის ახალი სახეა (კირმანეული თეთრი, ემისიები კეისრის წელზევითი გამოსახულებით) (შუბლი: წმინდა ევგენიოსის გამოსახულება წელზევით პირდაპირ. თავზე მას შარავანდედი ადგას და ნაკეცებიანი სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში ლაბარუმი უპყრია, მარცხენაში – ჯვარი, შეიმჩნევა ლეგენდების კვალი. ზურგი: კეისრის წელზევითი გამოსახულება პირდაპირ სტემაში, შემოსილია სწორი და ირიბნაკეცებიანი კეისრის სამოსით. მარჯვენა ხელში მას უპყრია მოკლებუნიანი ლაბარუმი, მარცხენაში – გრძელბუნიანი ჯვარი. მარჯვენა იდლიის ქვეშ ორი წერტილია, ამავე მხარეს – ფარი, ლეგენდა გადასულია, თუ საერთო არ არის ამოკვეთილი?! შეიმჩნევა წერტილოვანი რკალი).

შემდეგია კირმანეული თეთრი, ემისია ასომთავრული ნიშნებით (შუბლი: წმინდა ევგენიოსი ჩვეულებრივ პოზაში, შარავანდედით და გრძელნაკეცებიანი სამოსით. მარცხნივ გაურკვეველი ნიშნებია. მარჯვნივ – ზემოთ ორი ქართული მთავრული ასოა – $\overline{\text{LI}}$, ხოლო ქვემოთ ორ სტრიქონად სამი ბერძნული ასოა – $\Gamma E-O$. ზურგი: კეისრის (მეფის) გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის ორივე მხრიდან სამთვლიანი საკიდია დაშვებული (სტემა). კეისარი საიმპერატორო ტანსაცმლითაა შემოსილი. წინ თვლებით შემოსილი ლოროსი აქვს ჩამოშვებული. დოინჯშემოყრილ მარცხენა ხელში მოკლებუნიანი ლაბარუმი უჭირავს, მარჯვენა ხელი თავისუფალი აქვს. მარცხნივ ვერტიკალურად და ორ სტრიქონად ორი ქართული მთავრული ასოთი შესრულებული ზედწერილი – $\Phi-\Psi$).

მონეტის შუბლის და ზურგის ზედწერილი ბუნებრივად იმიგრება როგორც „გიორგი მეფე“ (ქართული) და როგორც „წმ. ევგენიოსი“ (ბერძნული). სპეციალისტების უმრავლესობა ამ მონეტებს იმერეთის მეფე გიორგი I-ს (1389-1392 წწ.) მიაკუთვნებს.

კირმანეული თეთრი, ვამეყის ფული წმინდა ევგენიოსის გამოსახულებით. შუბლი: ორნამენტულ ჩარჩოში შებრუნებით მოთავსებული მხედრული წარწერა – ვამეყ. ზურგი: ადამიანის სქემატური გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, როგორც ჩანს, ტრაპიზონის მფარველი წმინდანის, ევგენიოსის, რადგან მის მარცხნივ და მარჯვნივ შემორჩენილია ბერძნული ზედწერილი – $O-E/\Gamma E-IN$. გამოსახულებას თავზე გვირგვინი უნდა ედგას, რომლის ორივე

მხრიდან თითო თვლიანი თითო საკიდია დაშვებული. მარცხნივ გაწვდილ და რკალისებურად მოხრილ მარჯვენა ხელში ბუნი უჭირავს. ის, შესაძლოა, ლაბარუმი ან ჯვარი იყოს.

პირველად ვამეყის ფული ს. მაკალათიამ გამოაქვეყნა. 1940 წლის მაისში მან პირადად გასინჯა და ფოტოგრაფიულად გადაიღო აღნიშნული ფული, რომელიც ინახებოდა ალექსანდრე სიმონოვის ოჯახში, ქალაქ სოხუმში. მასზე აღბეჭდილი წარწერის მიხედვით, ს. მაკალათიამ ეს მონეტა ვამეყ I დადიანს (1384-1396 წწ.) მიაკუთვნა. 1927 წელს სოხუმში „ბაგრატის ციხის“ ნანგრევების მახლობლად აღმოჩნდა განძი, რომელიც შეიცავდა რამდენიმე ასეულ ტრაპიზონის ასპრის ქართულ მინაბაძს და ზემოაღწერილ მონეტას. XV საუკუნის სასისხლო სიგელებში დადასტურებულია ცხუმური თეთრი. ზოგი სპეციალისტი ვამეყ დადიანის მონეტას სწორედ რომ ცხუმურ თეთრად მიიჩნევს.

ჯერ კიდევ 1844 წელს მ. ბარათაევმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოში იჭრებოდა ტრაპიზონის ასპრების იმიტაციები და ისინი გააიგივა ქართულ წერილობით ძეგლებში მოხსენიებულ კირმანეულთან. დღეს ტრაპიზონის ასპრების ქართული მინაბაძების დამახასიათებელ ნიშნებად მიჩნეულია გამოსახულებათა დეტალების დამახინჯება, ლეგენდების არასწორი გადმოცემა, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათი წაკითხვის შეუძლებლობა, ორიგინალებთან შედარებით დაბალი წონა. ტერმინი „კირმანეული“ XV საუკუნის ქართულ საბუთებშიც ფიქსირდება. ეს ფული მხოლოდ საქართველოში იყო გავრცელებული და მისი ემიტენტი, შესაძლოა, სახელმწიფო ხელისუფლება ყოფილიყო.

ტერმინ „კირმანეულის“ შესახებ ვაჩნაძეების სასისხლო სიგელში ვკითხულობთ: „... ამა თეთრისა საქმე ასე უწყოდეთ, ბერძენთა მეფეს კირმანოელ ერქვა და მისეულად კირმანოელისეული ჰქუიან“.

XIII-XV საუკუნეების უცხოური მონეტები დასავლეთ საქართველოდან

1. კოპიტნარის განძი. მასში 15 ცალი ტრაპიზონის ასპრი შედის, რომლებიც მოჭრილია შემდეგი იმპერატორების სახელით: მანუილ I (1238-1263 წწ.) – 6 ცალი, იოანე II (1280-1297 წწ.) – 7 ცალი, მანუილ III (1390-1417 წწ.) – 1 ცალი, ალექსი IV (1417-1446 წწ.) – 1 ცალი.

2. ტოზანიერის განძი. მის შემადგენლობაში 186 ასპრი შედის და ისინი განეკუთვნება შემდეგ იმპერატორებს: იოანე I (1235-1238 წწ.) – 4 ცალი, მანუილ I – 56 ცალი, იოანე II – 125 ცალი, იოანე II და ალექსი II (1297 წ-მდე) – 1 ცალი.

შემდეგი აღმოჩენები დალაგებულია აღმოჩენის წლების მიხედვით.

3. 1885 წელს სოხუმში, მდ. ბესლეთის მარცხენა ნაპირის მახლობლად, აღმოჩნდა ვერცხლის მონეტა. ა. ორემნიკოვის განსაზღვრით, ეს იყო ტრაპიზონის კომნენოსების დროინდელი ცუდად შენახული ასპრი.

4. 1886 წელს სოხუმში, ე.წ. სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, აღმოჩნდა ტრაპიზონის ერთ-ერთი კომნენოსის ასპრი.

5. 1894 წელს ხონის მახლობლად მდებარე სოფ. პატარა ჯიხა-იშში შემთხვევით მიაკვლიეს განძს, რომლის შემადგენლობაში 500-მდე ვერცხლის მონეტა შედიოდა, მათ შორის იყო იოანე III-ის (1340-1344 წწ.) ასპრი. განძის ძირითადი ნაწილი თურქული (1520-1617 წწ.) და ირანული (1524-1574 წწ.) მონეტებია.

6. 1908 წელს ქუთაისის მაზრაში აღმოჩნდა იოანე I-ისა (1235-1238 წწ.) და მანუილ I-ის (1238-1263 წწ.) ასპრების განძი. ევგ. პახომოვს აქედან 50 ცალი პირადად უნახავს და 30 ცალი შეუძენია კიდეც.

7. 1928 თუ 1929 წელს სოხუმის მიდამოებში იპოვეს იოანე II-ის ასპრი.

8. 1931 წელს სოხუმში იპოვეს იოანე II-ის 5 ასპრი, აქედან 1 ცალი შედის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდში.

9. 1932 წელს ჭიათურის შემოგარენში ბავშვებმა შემთხვევით იპოვეს იოანე II-ის ასპრი, რომელიც დ. კაპანაძემ შეიძინა.

10. იმავე წელს ისევ ჭიათურაში ნაპოვნია იყო იოანე II-ის მონეტა.

11. 1935 წელს ქუთაისში ნაპოვნია იყო XIII საუკუნის ტრაპიზონის მონეტა.

12. 1940 წელს ვანის რაიონის სოფ. შუამთის მახლობლად აღმოჩენილი იოანე II-ის ასპრი შეიძინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა.

13. 1948 წელს თერჯოლის რაიონის სოფ. ზედა საზანოში შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ქილა ვერცხლის მონეტებით. სელჩუკურ მონეტებთან ერთად აქ მანუილ I-ის ასპრებიც იყო, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, სულ – 9 ცალი.

14. 1951 წელს სოხუმის რაიონის სოფ. ბესლეთში შემთხვევით იპოვეს მანუილ I-ის მონეტა.


15. 1960 წელს ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავების დროს აღმოჩნდა ტრაპიზონის ასპრები: იოანე I – 1 ცალი, მანუილ I – 1 ცალი, იოანე II – 19 ცალი. განძი დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში.

16. 1969 წელს ხონში, ერთ-ერთი მაცხოვრებლის ეზოში, მიწის ზედაპირზე იპოვეს იოანე II-ის მონეტა. დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

17. 1999 წელს მარტვილის რაიონის სოფ. ნოჯიხევში ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ნოჯიხევის რაზმმა აღმოაჩინა მანუილ I-ის ასპრები და კირმანეული.⁴⁴

⁴⁴ თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი, ნ. ხარშილაძე. XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge>; თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III ნაწილი. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2015, გვ. 123-145; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Second edition. Compiled by A. Boshishvili, A. Tabuashvili, L. Tavadze, Natia Phiphia, A. Chikobava, E. Avdaliani, M. Kardava. Athens. 2021, გვ. 312-327; გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი. თბ. 2011, გვ. 23-27.

XIII-XV სს. მონეტები დასავლეთ საქართველოდან



სამონეტო მიმოქცევა დასავლეთ საქართველოში XVI საუკუნეში

1946 წელს ხონის რაიონის სოფელ პატარა ჯიხაიში აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების საკმაოდ მოზრდილი განძი, რომლის შემადგენლობაში შემავალი ფულები, სამწუხაროდ, თითქმის მთლიანად მიმოიფანტა. გადარჩა მხოლოდ 18 მონეტა. განძის გადარჩენილმა ამ მცირე ნაწილმაც კი საშუალება მისცა თ. ლომოურს ნაწილობრივ შეეცსო XVI საუკუნის ქართული ნუმისმატიკის ხარვეზი. 18 მონეტიდან 5 ქართულია, 4 თურქული და 9 ირანული. ყველა მათგანი ვერცხლისაა. 5 ქართული მონეტა სამ სხვადასხვა ტიპს იძლევა.

I ტიპი (გიორგი იმერთა მეფის მონეტები. პირველი ტიპი). შუბლი: წვერულვაშიანი მამაკაცის თავის სქემატური გამოსახულება პირდაპირ, ძვირფასი თვლებით შემკული სამეფო თავსაბურთით. მარცხნივ – მცენარეული ორნამენტი, ირგვლივ – ხაზოვანი და წერტილოვანი რკალები. ზურგი: დაქარაგმებული ქართული ასომთავრული წარწერა – ԺՊԴԼԻ „მეფე გიორგი“, მარჯვნივ მცენარეული ორნამენტი.

II ტიპი (გიორგი იმერთა მეფის მონეტები. მეორე „ტიპი“). მოგრძო, კუთხოვანი მოყვანილობის ლითონის ფირფიტაზე ორივე მხრიდან აღბეჭდილია ასომთავრული წარწერები. შუბლის მხარის წარწერა ორ სტრიქონად არის განლაგებული. სტრიქონებს შუა ხაზია. პირველ სტრიქონზე წერია – ԺԴԴ, მეორეზე – ԺՊ, ე.ი. „მეფე მეფეთა“. ირგვლივ ორმაგ ხაზოვან რკალს შუა წერტილოვანი რკალი. ზურგის მხარის წარწერაა – ԺԴԴԼԻ „მეფე გიორგი“.

III ტიპი (გიორგი იმერთა მეფის მონეტები. მესამე ტიპი). ის მოგრძო, არასწორი ოთხკუთხედის მოყვანილობისაა. შუბლის მხარეზე ჩანს წვერულვაშიანი ადამიანის თავი თავსაბურთში მარცხნივ. თავის წინ მოთავსებულია სამი მთავრული ასო – ԺՊԴ, უკან – ԴԼ, ე.ი. „მეფე გიორგი“. ზურგის მხარეს რაღაც ცხოველია გამოსახული. ის მარცხნივ არის მიმართული.

პატარა ჯიხაიშის განძში აღმოჩნდა სულთან მურად III-ის (1574-1595 წწ.) ჰიჯრ. 982 წლით (=1574-1575 წწ.) დათარიღებული ოსმალური ახჩა, რომელიც საზღვრავს განძის ქართულ მონეტებს. ფული მოჭრა იმერეთის მეფე გიორგი II-მ (1565-1585 წწ.).

მ. ბარათაევს და ვ. ლანგლუას გამოქვეყნებული აქვთ ქართული მონეტების ისეთი ნიმუში, რომელზედაც იკითხება სახელი ბაგრატ (ბაგრატ იმერთა მეფის მონეტები). თავის დროზე ვერცხლის

ეს მონეტა ვ. ლანგლუამ ბაგრატ III იმერთა მეფეს (1510-1565 წწ.) მიაკუთვნა (შუბლი: პირდაპირ მიმართული სქემატურად შესრულებული მეფის გამოსახულება სამრკალიანი გვირგვინით. ზურგი: ჰორიზონტალური ხაზით გაყოფილი ორსტრიქონიანი ქართული ასომთავრული ზედწერილი, რომელიც ასე უნდა იკითხებოდეს – „მეფე ბაგრატ“). დ. კაპანაძე შენიშნავს: „პატარა ჯიხაიშის განძიდან შემორჩენილ ნაწილში ბაგრატის სახელით აღბეჭდილი მონეტა არ აღმოჩნდა, მაგრამ არსებული ნიმუშების დაპირისპირება და ტიპების შედარება შესაძლებლობას იძლევა ამავე პერიოდს დაუკავშიროთ და 1510-1565 წლებით დავათარილოთ . . .“.

დაბოლოს, როგორც ფაქტობრივი მასალა ადასტურებს, საქართველოში იჭრებოდა თავმასპ I-ის მონეტების იმიტაციები (შაჰ თავმასპის ბისტების მინაბადები).

უკვე გვეჩვენა აღნიშნული, რომ ჩვენთვის ცნობილი პატარა ჯიხაიშის განძის შემადგენლობიდან სულ 18 მონეტა გადარჩა. აქედან 5 ქართულია, 4 – თურქული, ხოლო 9 – ირანული, ან ირანულის მიმბადველობა. თ. ლომოურის აღწერით, „ . . . გარეგნულად ესენი წარმოადგენენ მოგრძო არასწორ ოთხკუთხედ ფირფიტებს დიამეტრით 6/11 მილიმეტრიდან 13/16 მილიმეტრამდე და წონით 0,42 გრამიდან 0,75 გრამამდე. ფირფიტების ორივე მხარეს აღბეჭდილია არაბული წარწერები. ერთი მხარის წარწერა ჩვეულებრივი მუსლიმანური სიმბოლო უნდა იყოს, ხოლო მეორე მხარისა სრულიად გაურკვეველია. არც ერთ მათგანზე თარიღი არ ჩანს, მაგრამ სხვადასხვა ნიშნების შემწეობით მათი ზოგადი დათარიღება მაინც შესაძლებელია . . . საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში დაცულია მოზრდილი კოლექცია – რიცხვით 692 ცალი, რომელიც, მცირედის გამოკლებით, შედგება ამავე ტიპის ფულებისგან. წარწერები მეტწილად გაურკვეველია. ორ ცალზე №№5059, 5200 შესაძლებელი გახდა თარიღის ჰიჯრით 963 წლის (=1555 წ.) ამოკითხვა“. ეს წელი კი შედის თავმასპ I-ის მმართველობის ხანაში.

ასეთივე მონეტები შედიოდა აგრეთვე 1909 წელს ამბროლაურის მახლობლად აღმოჩენილი დიდი განძის შემადგენლობაშიც. ამ კომპლექსის ერთი ნახევარი შაჰ-აბას I-ის (1589-1629 წწ.) მონეტები იყო, ხოლო მეორე – მოგრძო ოთხკუთხედი ფორმის წვრილი ფული დამახინჯებული არაბული წარწერებით. ევგ. პახომოვი თვლიდა, რომ ეს ამოუცნობი მონეტები ფორმით და ზომით მსგავსია თავმასპ I-ის მონეტების და მათი ემისია დასავლეთ საქართველოშია სავარაუდო. იმერეთის ზარაფხანის პროდუქციად მიიჩნევდა მათ დ. კაპანაძეც.

საქართველოს სამონეტო ცირკულაციაში ოსმალური ახჩების და სპარსული მონეტების მინაბადების აქტიური როლი განძების (გორის, მნას, ამბროლაურის სამონეტო კომპლექსები) შემადგენლობით კარგად დასტურდება.

XVI საუკუნის უცხოური მონეტები დასავლეთ საქართველოდან ოსმალური მონეტები

1. პატარა ჯიხაიშის განძში იყო 4 ოსმალური ახჩა, მოჭრილი სელიმ II-ის (1566-1574 წწ.) და მურად III-ის (1574-1595 წწ.) სახელით.

2. 1945 წელს ოზურგეთის რ-ნის სოფ. ლიხაურში აღმოაჩინეს ვერცხლის ფულის განძი, რომელიც შეიცავდა XVI-XVII საუკუნეების ასიოდე ოსმალურ ახჩას, ახჩას ათასზე მეტ მინაბადს და ოცამდე სხვადასხვა ზომის ფირფიტას. სამწუხაროდ, უცნობია XVI საუკუნის მონეტების რაოდენობა.

3. 1895 წელს ქუთაისში აღმოუჩენიათ განძი, რომლის შემადგენლობაში XVI-XVII საუკუნეების ოსმალური და ირანული მონეტები ყოფილა თავმოყრილი, აგრეთვე – ტრაპიზონის ფულებიც, სულ 500 ცალი.

4. 1903 წელს სოხუმის ოლქში, ოტობაიების სასაფლაოზე, სხვა ნივთებთან ერთად, იპოვეს XV საუკუნის ჯუჭიდური, XVI საუკუნის ოსმალური და XVI საუკუნის დავერცხლილი ესპანური მონეტები.

5. 1977 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჯიხანჯირში „ნასტეფანარის გორაზე“, ქვის ქვეშ, შემთხვევით აღმოჩნდა პატარა ზომის ვერცხლის მონეტები, საერთო ჯამში, 334 ცალი. განძი დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში. განძის შემადგენლობაში შემავალი ყველა მონეტა ოსმალური ახჩაა. კომპლექსის ქრონოლოგიური დიაპაზონი დიდია. ადრეული მონეტა თარიღდება ჰიჯრ. 926 წლით (1519/1520 წწ.), გვიანდელი კი – ჰიჯრ. 1003 წლით (1594/1595 წწ.). მათი უმრავლესობა მოჭრილია ტრაპიზონის ვილაიეთის ქ. ხანჯის ზარაფხანაში. ხანჯის გარდა, ჯიხანჯირის განძის შემადგენლობაში შედის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში მოჭრილი ფულიც. ეს ზარაფხანებია: კონსტანტინოპოლი, ედირნე, ნოვარი, კარატოვო, ნოვობერდა, სიდრე-კაისი, საკიზი, კეისარიე და ერზერუმი. ევროპული მონეტები

1. 1953 წლის ივნისში მახარაძეში (ოზურგეთი), საბავშვო სახლის ტერიტორიაზე საცდელი ნაკვეთის დამუშავების დროს, იპოვეს სპილენძის ჭურჭელში ჩაყრილი 414 ვერცხლის ევროპული მონეტა, საერთო წონით – 8,5 კგ. აქედან საქართველოს სახელმწიფო მუზე-

უმს გადაეცა 270 ცალი, ხოლო ოზურგეთის მხარეთმცოდნეობით მუზეუმს – 144. განძი შეისწავლა და გამოაქვეყნა რ. ქეზულაძემ. ხსენებული კომპლექსი შემადგენლობის მხრივ სამ ნაწილად იყოფა. ის შედგება ავსტრიული, იტალიური და ესპანური მონეტებისგან. განძის ყველაზე ადრეული მონეტა, ერცჰერცოგ ფერდინანდის ტალერი, 1564-1595 წლებშია მოჭრილი, ხოლო ყველაზე გვიანდელი, ფილიპე IV-ის პესო – 1628 წელს. გვიანდელი მონეტის მიხედვით, განძი XVII საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ უნდა ჩაემარხათ. ამ განძის შესახებ დაწვრილებით XVII საუკუნის მასალის განხილვის დროს ვისაუბრებთ. ამჟამად, ჩვენთვის ის არის საინტერესო, თუ XVI საუკუნის რამდენი მონეტა შედის მის შემადგენლობაში. ქვემოთ წარმოდგენილია მათი სია:

ა) ტიროლის საგრაფო, ჰალეს ზარაფხანა – 6, ენსისჰაიმის – 1. ტალერი. ერცჰერცოგი ფერდინანდი (1564-1595 წწ.) – 7 ცალი.

ბ) ვენეციის რესპუბლიკა, დოჟი პასკუალე ჩიკონია (1585-1595 წწ.). ვერცხლი. უთარილო დუკატო.


გ) ესპანეთი და მისი კოლონიები ამერიკაში. ფილიპე II (1556-1598 წწ.) – 2 ცალი.

2. 1903 წელს გალის რ-ნის სოფ. ოტობაიას სასაფლაოზე იპოვეს ვერცხლის მონეტების განძი, სადაც XV საუკუნის ჯუჭიდურ და XVI საუკუნის ოსმალურ ახჩებთან ერთად XVI საუკუნის ესპანური მონეტებიც შედიოდა.

3. 1955 წელს ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ურთაში აღმოჩნდა XVI-XVII საუკუნეების ესპანური პესოები.⁴⁵

⁴⁵ თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ა. ბომიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი, ნ. ხარშილაძე. XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები. ქართული ნუმისმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge>; თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმისმატიკის კატალოგი. III ნაწილი. შემდგენლები: ა. ბომიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2015, გვ. 153-157, 164-179; T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Second edition. Compiled by A. Boshishvili, A. Tabuashvili, L. Tavadze, Natia Phiphia, A. Chikobava, E. Avdaliani, M. Kardava. Athens. 2021, გვ. 335-339, 345-350.

XVI ს. მოწეებები დასავლეთ საქართველოდან



- ოსმალური ახეზები და მათი მიწაბაძები
- დასავლეთეკლესიის ვერცხლის მოწეები

სამონეტო მიმოქცევა დასავლეთ საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი XVII-XVIII საუკუნეების უცხოური მონეტების განმეტი

დასავლეთ საქართველოში ნაპოვნი XVII საუკუნის ოსმალური მონეტების განმეტი

1. 1945 წელს მახარადის (ოზურგეთის) რაიონის სოფ. ლიხაურში აღმოჩნდა მოზრდილი განძი. ეს კომპლექსი შეიცავს ასიოდე ოსმალურ ახჩას, დაახლოებით 1000-ზე მეტ მათ მინაბაძს და 20-მდე სხვადასხვა ზომის ვერცხლის ფირფიტას. ეს ფირფიტები სისქით და ლითონის ხარისხით ამ მინაბაძებს ესადაგება და დ. კაპანაძის აზრით, აშკარა ხდება, რომ ისინი მინაბაძების მოსაჭრელი ნამზადია. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ „... ამ ნამზადთა შორის ორი თუ სამი ფირფიტა ჯვრის მოყვანილობისაა და ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რადგან ეს იმას მოწმობს, რომ მინაბაძების მომჭრელი თვითონ ქრისტიანი თუ არ იყო, ქრისტიან მოსახლეთა შორის (ე.ი. ჩვენში, საქართველოში) ცხოვრობდა“. მ. ანთაძემ ლიხაურის განძის მონეტები სამ ნაწილად დაყო:

I. მურად III-ის (1574-1595 წწ.) ახჩები, რომლებიც ძირითადად ხანჯის ზარაფხანაშია მოჭრილი.

II. მეჰმედ IV-ის (1648-1687 წწ.) და აჰმედ II-ის (1691-1695 წწ.) სახელით მოჭრილი მონეტები, დამზადებული ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ზარაფხანაში.

III. ამ ნაწილში ავტორმა გააერთიანა ის მონეტები, რომლებიც ადგილობრივ იმიტაციებად მიიჩნია.

როგორც ჩანს, ლიხაურის განძი XVII საუკუნის მიწურულს არის ჩამარხული.

2. 1913 წელს ბათუმის მახლობლად, სამების მთის მწვერვალზე, მდ. ყოროლისწყალს და ბარცხანას ხეობაში, ძველი ეკლესიის ნანგრევების მოშორებით, თიხის ქოთანში აღმოჩნდა XVII საუკუნის მცირე ზომის ოსმალური და ირანული ვერცხლის მონეტების განძი 537 ცალის რაოდენობით. ევგ. პახომოვმა თავის დროზე განძის გადათვალიერებისას ნახა მურად IV-ის (1623-1640 წწ.) ჰიჯრ. 1033 წლით (1623/1624 წწ.) დათარიღებული 2 მონეტა და სულეიმან შაჰის (1667-1694 წწ.) 4 მაჰმუდი, ერთზე იკითხება ზარაფხანა – თბილისი, და თარიღის ფრაგმენტი, 109?, მისივე შაური და ოსმალური ფულის 3 მინაბაძი. გარდა ამისა, განძის შემადგენლობაში ყოფილა

ერთი თევზისგამოსახულებიანი გაურკვეველი ქართული მონეტა (ალბათ, ათაბაგ ყვარყვარეს – ავტ.) და 519 ცალი ცუდად დაცული თურქული ახჩა. ამ განძის 29 მონეტა ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში. ყველა მათგანი ცუდად არის დაცული. განძის დამარხვის თარიღად მ. ანთაძე XVII საუკუნის მიწურულს, ან XVIII საუკუნის პირველ ათწლეულს მიიჩნევს.

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი XVIII საუკუნის ოსმალური მონეტების განძები

1. 1941 წლის ნოემბერში ქუთაისში კათოლიკური ეკლესიის ეზოში თავშესაფრის თხრის დროს იპოვეს სამონეტო კომპლექსი, რომელიც შედგებოდა 13 ალთუნის და 8 ვენეციური დუკატისაგან. 13 ალთუნიდან 10 მოჭრილი ყოფილა აჰმედ III-ის (1703-1730 წწ.) მიერ. აქედან 8 კონსტანტინოპოლის ზარაფხანაშია მოჭრილი, ერთი – მისრში და ერთიც – თბილისში. სამი ალთუნი მოჭრილი ყოფილა სულთან მაჰმუდ I-ის (1730-1754 წწ.) სახელით კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში. ეს მონეტები გადაეცა მოსკოვს, თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად. თბილური ალთუნი კი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს დაუბრუნდა.

2. 1958 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჭანჭათში საკარმიდამო ნაკვეთში მიწის დამუშავების დროს აღმოჩნდა თიხის კოჭობი, რომელშიც მოთავსებული იყო XVIII საუკუნის ოსმალური და ევროპული ვერცხლის მონეტები. განძის შემადგენლობა ასეთია: 1. პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ III-ის (1587-1632 წწ.) 2 ორტა, მოჭრილი 1622-1623 წლებში, აჰმედ III-ის (1703-1730 წწ.) 24 ახჩა და მაჰმუდ I-ის (1730-1754 წწ.) 58 ახჩა. მ. ანთაძის დასკვნით, ჭანჭათის განძის მონეტები მეტად ერთფეროვანია. მოჭარბებულად გვხვდება მცირე ნომინალი – ახჩა. განძი XVIII საუკუნის მეორე ნახევარშია ჩაფლული.

3. 1935 წელს საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის მიდამოებში მიკვლეული მონეტებიდან მასწავლებელმა გოგიტაშვილმა სკოლის მუზეუმს გადასცა აჰმედ III-ის (1703-1730 წწ.) 3 ახჩა და მუსტაფა III-ის (1757-1774 წწ.) 2 ყურუში.

4. 1892 წელს ქუთაისის მაზრის სოფ. ზარათში (ამჟამინდელი წყალტუბოს რაიონი) იპოვეს სპილენძის ქვაბი, რომელშიც იყო 8 კილოგრამამდე ოსმალური ვერცხლის მონეტები, დათარიღებული 1703-1786 წლებით.

5. 1900-იან წლებში ბათუმში ამიერკავკასიის რკინიგზის მეოთხე კილომეტრზე აღმოჩნდა თიხის ქილა 106 ოსმალური ვერცხლის მონეტით. განძის მონეტები გადაეცა ოდესის ისტორიისა და სიძვე-

ლევების საზოგადოებას. კომპლექსი შეიცავდა აბდულ ჰამიდ I-ის (1774-1789 წწ.) და სელიმ III-ის (1789-1807 წწ.) მონეტებს.

6. XVIII საუკუნით არის დათარიღებული 1949 წელს თერჯოლის მიდამოებში ნაპოვნი ოსმალური მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაშია: 1. მაჰმუდ I-ის ჰიჯრ. 1143 წლით (=1730/1731 წწ.) დათარიღებული 2 ახჩა, 2. მუსტაფა III-ის ჰიჯრ. 1171 წლით (=1757/1758 წწ.) დათარიღებული 2 ახჩა, 3. აბდულ ჰამიდ I-ის ჰიჯრ. 1187 წლით (=1774 წ.) დათარიღებული ახჩა. განძის ჩამარხვის სავარაუდო თარიღად XVIII საუკუნის მიწურული უნდა მივიჩნიოთ.

7. 1950-იან წლებში მახარაძის (ოზურგეთის) რაიონის სოფ. ლიხაურში აღმოჩნდა მოზრდილი განძი, რომელიც შედგება აჰმედ III-ის (1703-1730 წწ.), მაჰმუდ I-ის (1730-1754 წწ.), ოსმან III-ის (1754-1757 წწ.), მუსტაფა III-ის (1757-1774 წწ.) და აბდულ ჰამიდ I-ის (1774-1789 წწ.) 362 მონეტისაგან. განძის მონეტები სულთნების მიხედვით

ასე ნაწილდება:

I. აჰმედ III-ის მონეტა განძში 10 ცალია, აქედან 7 მოჭრილია კონსტანტინოპოლში, 3 – მისრში, ნომინალი – ფარა.

II. მაჰმუდ I-ის სახელით მოჭრილი მონეტები განძში 47 ცალია. აქედან 19 მოჭრილია მისრში, 27 – კონსტანტინოპოლში, 1 – გაცვეთილია. ნომინალი – ფარა.

III. ოსმან III-ის მონეტა განძში 5 ცალია, 4 მოჭრილია კონსტანტინოპოლში, 1 – მისრში. ნომინალი – ფარა.

IV. მუსტაფა III-ის მონეტები განძში საკმაოდ ბევრია. აქედან 54 მოჭრილია ისლამბულში. 15 მონეტაზე არაფერი შეიმჩნევა მათი გაცვეთის გამო. რაც შეეხება მისრში მოჭრილ მონეტათა რაოდენობას, ისინი 59 ცალით არის წარმოდგენილი. ნომინალი – ფარა.

V. სულთან აბდულ ჰამიდის სახელით მოჭრილი მონეტები ლიხაურის განძში 143 ცალია. აქედან კონსტანტინოპოლის ზარაფხანას 74 მონეტა მიეკუთვნება, 62 მისრშია გამოშვებული, ხოლო 7 ცალზე ზარაფხანა არ იკითხება. ნომინალი – ფარა.

განძი, როგორც ჩანს, XVIII საუკუნის 80-იან წლებშია ჩამარხული.

8. 1975 წელს სოფ. მანდაეთში (ჭიათურის რაიონი), ე.წ. „ცხევარის დელის“ ნაპირზე, მიწის დამუშავების დროს ნაპოვნია ვერცხლის მონეტები. მპოვნელებმა განძი გაინაწილეს. დიდი მეცადინეობით შეგროვდა 270 ცალი; 205 ცალი გადაეცა ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, 35 – სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, 30 – ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. განძის ყველა მონეტა, ერთის გამოკლებით,

ოსმალურია და მოჭრილია ოსმალთა შემდეგი სულთნების სახელით: 1. აჰმედ III (1703-1730 წწ.), 2. მაჰმუდ I (1730-1754 წწ.), 3. ოსმან III (1754-1757 წწ.), 4. მუსტაფა III (1757-1774 წწ.), 5. აბდულ ჰამიდ I (1774-1789 წწ.), 6. სელიმ III (1789-1807 წწ.). განძში ერთი „სირმა-ვერცხლიც“ ურევია, რომელიც ჰიჯრ. 1203 წლით (=1788/1789 წწ.) არის დათარიღებული. განძის მონეტები გამოშვებულია შემდეგ ზარაფხანებში: კონსტანტინოპოლი, ისლამბული, მისრი და თბილისი. კომპლექსის შემადგენლობაში ორი ნომინალია: ფარა და ყურუში. განძის ქრონოლოგიური დიაპაზონი 88 წელია, ჰიჯრ. 1115-1203 წლებს (=1703/1704-1788/1789 წწ.) შორის. განძის ჩამარხვის სავარაუდო თარიღი XVIII საუკუნის მიწურულია.

9. 1831 წელს ილორის ეკლესიასთან (ოჩამჩირის რაიონი) აღმოჩნდა XVII-XIX საუკუნეების ოსმალური ახჩების განძი. მისი ნაწილი აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა. რა მონეტები იყო ისინი, ლიტერატურაში მითითებული არ არის.

10. 1967 წელს მოსკოვის პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმში მიუტანიათ 336 ცალი დაბალი ხარისხის ოსმალური მონეტა, ნაპოვნი აფხაზეთში, კონკრეტულად რა მონეტებისაგან შედგებოდა ეს კომპლექსი, უცნობია.

11. 1876 წელს ზუგდიდის რაიონის სოფ. ცხემის ეკლესიის მიდამოებში იპოვეს განძი, რომელიც 400 ოსმალურ მონეტასთან ერთად (რა მონეტები იყო კონკრეტულად, მითითებული არ არის) 115 კირმანეულს შეიცავდა.

12. 1940-იან წლებში წულუკიძის (ხონის) რაიონის სოფ. ქუტირის მიდამოებში იპოვეს დაბალი ხარისხის ვერცხლის წვრილი ფულის განძი, რომელიც, მ. ანთაძის განცხადებით, 1949 წელს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა.

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი XVII-XVIII საუკუნეების ირანული მონეტების განძები.

1. 1909 წელს ამბროლაურის მახლობლად აღმოჩნდა ვერცხლის ნივთების და მონეტების დიდი განძი. მონეტების რაოდენობა შეადგენდა 2287 ცალს, რომელთა შორის 948 იყო დიდი ზომის, 124 – საშუალო და 1215 – მცირე, საერთო წონით 10,9 კგ. მონეტების ნაწილი ქუთაისის სამხედრო კანცელარიიდან გადაეცა ერმიტაჟს (სანკტ-პეტერბურგი), ნაწილი დაუბრუნდა მპოვნელს. 1910 წელს ევგ. პახომოვმა ხსენებულ კანცელარიაში გადაათვალიერა ეს კომპლექსი და დაადგინა, რომ ის შედგებოდა ამიერკავკასიის და

ირანის ზარაფხანებში მოჭრილი შაჰ-აბას I-ის მძიმე აბაზიანები-საგან, მათ შორის დიდი რაოდენობით ყოფილა თბილისში გამოშვებული ცალები. საშუალო ზომის მონეტები წარმოადგენდა ტრაპიზონის მონეტების ქართულ მინაბადებს – კირმანეულებს. მცირე ზომის მონეტები იყო წაგრძელებული ფორმის, დამახინჯებული არაბული ზედწერილით, ერთზე იკითხებოდა მუსლიმური რწმენის სიმბოლო. ერმიტაჟის ნუმიზმატიკური საცავის შემადგენლობაში შესული ამ განძიდან მომდინარე 15 მონეტა გამოაქვეყნა ი. დობროვოლსკიმ 1977 წელს. ევგ. პახომოვის ინფორმაციით, 1930 წელს, იმავე ამბროლაურის მახლობლად, სპილენძის ქოთანში მოთავსებული კიდევ ერთი განძი იპოვეს, რომელიც, მისი აზრით, ადრე აღმოჩენილი განძის ნაწილია. გარდა ამისა, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში დაცული 21 ვერცხლის მონეტისაგან შემდგარი კომპლექსი, ასევე ევგ. პახომოვის ვარაუდით, ისევ და ისევ ამბროლაურის განძის ნაწილი უნდა იყოს. ყველა კირმანეული გვიანდელია და გახვრეტილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ განძის დაფლობის დროს ისინი არ იყო მიმოქცევაში. აბაზიანები მოჭრილია შაჰ აბას I-ის სახელით, ზარაფხანა იკითხება ექვს მათგანზე (ზაგემი, თბილისი, თავრიზი). თარიღი არც ერთ მათგანზე არ ფიქსირდება, მაგრამ თ. ქუთელიას მიაჩნია, რომ ისინი 1617 წლამდე იჭრებოდა. მოგრძო ფორმის მონეტები ჰგავს თაჰმასპ I-ის ვერცხლის ბისტს და, როგორც ჩანს, XVI საუკუნით თარიღდება. განძი XVII საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს ჩამარხული.

2. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში დაცულია 36 ვერცხლის აბაზიანი ნაპოვნი რაჭაში, აღმოჩენის თარიღის მითითების გარეშე. დ. კაპანაძეს საინვენტარო დავთარში მიუწერია, რომ ეს მონეტები ამბროლაურის განძის ნაწილია, რასაც თ. ქუთელია ეთანხმება. ამ განძის 36 მძიმე წონის მონეტა შაჰ აბას I-ის სახელითაა მოჭრილი. მხოლოდ ერთ მათგანზე იკითხება თარიღი, ჰიჯრ. 1020 წელი (=1611/1612 წწ.). ზარაფხანებია: მაგ., არდებილი, ერევანი, ზაგემი, რეშტი, თბილისი, თავრიზი. თ. ქუთელიას აზრით, კომპლექსი მიეკუთვნება XVII საუკუნის მეორე ათწლეულს.

3. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში ინახება 165 ვერცხლის წვრილი, მოგრძო ფორმის მონეტა. მიუხედავად იმისა, რომ ეს „კომპლექსი“ უპასპორტოა, თ. ლომოურს ის ამბროლაურის განძის ნაწილად მიაჩნდა. თ. ქუთელია ამ ვარაუდს იზიარებს. ევგ. პახომოვი მათ მიიჩნევდა თაჰმასპ I-ის მონეტების იმიტაცი-

ებად. თ. ლომოურმა და თ. ქუთელიამ ზოგიერთ მათგანზე ამოიკითხეს თარიღი, რაც თავმასპ I-ის მმართველობის ხანაზე მიუთითებს.

4. 1895 წელს ქუთაისში აღმოჩნდა განძი, რომელიც შედგებოდა XVI-XVII საუკუნეების ოსმალური და ირანული ვერცხლის მონეტების და კირმანეულებისაგან, სულ 500 ცალი. ევგ. პახომოვის ცნობით, განძი შესანახად კავკასიის მუზეუმს გადაეცა.

5. ბათუმის მიდამოებში, სამეხის მთის მწვერვალზე მდებარე ძველი ეკლესიის მახლობლად, 1913 წელს იპოვეს XVII საუკუნის ოსმალური და ირანული ვერცხლის წვრილი მონეტები, საერთო რიცხვით, 537 ცალი (იხ. XVII საუკუნის ოსმალური მონეტები, №2). მათ შორის იყო შაჰ სულეიმან I-ის (1667-1694 წწ.) სახელით მოჭრილი 4 მაჰმუდი და 1 შაჰი. ერთ-ერთ მაჰმუდზე იკითხებოდა ზარაფხანის სახელი თბილისი და თარიღი ჰიჯრ. 1098 წელი (=1686/1687 წწ.).

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი XVII-XVIII საუკუნეების ევროპული მონეტები

1. 1953 წელს მახარაძეში (ოზურგეთი) საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე იპოვეს 414 ვერცხლის ევროპული მონეტა, საერთო წონით 8,5 კგ. მონეტები ჩაყრილი იყო სპილენძის ჭურჭელში. განძის 270 მონეტა გადაეცა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ხოლო 144 ცალი – ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. მოხსენიებული განძი შემადგენლობის მხრივ სამ ნაწილად იყოფა. შედგება ავსტრიული, იტალიური და ესპანური მონეტებისაგან. ტალერების ძირითად ნაწილს შეადგენს ავსტრიის ერცჰერცოგების, ფერდინანდის (1564-1595 წწ.), მაქსიმილიანის (1612-1618 წწ.), ლეოპოლდის (1619-1632 წწ.) და იმპერატორების, რუდოლფ II-ის (1576-1612 წწ.) და ფერდინანდ II-ის (1619-1637 წწ.) სახელით ჰალეს, ენსისჰაიმის, გრაცის და კლაგენფურტის ზარაფხანებში მოჭრილი მონეტები. იტალიური ტალერები, ანუ დუკატო და ტალეროები დოჟ პასკუალე ჩიკონიას (1585-1595 წწ.), ფერდინანდო I (1587-1608 წწ.), კოზიმო II (1608-1621 წწ.) და ფერდინანდო II (1621-1670 წწ.) მედიჩების სახელით არის გამოშვებული. ესპანური მონეტები ფილიპე II-ს (1556-1598 წწ.), ფილიპე III-ს (1598-1621 წწ.) და ფილიპე IV-ს (1621-1665 წწ.) ეკუთვნის და როგორც საკუთრივ ესპანეთის, ისე ამერიკაში მისი კოლონიების ზარაფხანებშია მოჭრილი. განძის ადრეული მონეტა ერცჰერცოგ ფერდინანდის ტალერი 1564-1595 წლებში არის მოჭრილი, ხოლო ყველაზე გვიანდელი, ფილიპე IV-ის პესო – 1628 წელს. განძის ქრონოლოგიური ჩარჩოები 64 წლით

განისაზღვრება. განძი XVII საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ უნდა ჩაემარხათ.

2. XIX საუკუნის 40-იან წლებში აფხაზეთში, სოფ. ბომბორის მახლობლად, აღმოჩნდა 1652 წლის ჰოლანდიური დააღდერი.

3. XX საუკუნის 10-იან წლებში ოზურგეთის მაზრის სოფ. მეღე-ქედურში აღმოჩნდა XVII საუკუნის ევროპული მონეტების განძი. მათ შორის ერთი მონეტა, ევგ. პახომოვის განსაზღვრით, ესპანური პესო იყო.

4. 1942-1943 წლებში ქუთაისში იპოვეს ესპანური პესო (თარიღი უცნობია).

5. 1955 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ურთაში აღმოაჩინეს XVI-XVII საუკუნეების ესპანური პესოები.

6. 1959 წელს გეგეჭკორის (მარტვილის) რაიონის სოფ. ლეხაინ-დრასთან იპოვეს XVII საუკუნის ესპანური პესო.

7. 1941 წლის ნოემბერში ქუთაისში, კათოლიკური ეკლესიის ეზოში, თხრილის გაყვანის დროს იპოვეს 21 ოქროს მონეტა (იხ. XVIII საუკუნის ოსმალური მონეტები, №1). განძი შერეული ხასია-თის არის და შეიცავს ვენეციურ დუკატებსა (8 ცალი) და ოსმალურ ალთუნებს (13 ცალი). დუკატები მოჭრილია შემდეგი დოჟების სა-ხელით: ჯოვანი კორნერი (1709-1722 წწ.) – 4 ცალი, სებასტიანო მო-ჩენიგო (1722-1731 წწ.) – 2 ცალი და კარლო რუცინი (1731-1735 წწ.) – 2 ცალი. ოსმალური ალთუნები ეკუთვნის აჰმედ III-ს (1703-1730 წწ.) და მაჰმუდ I-ს (1730-1754 წწ.). განძი, ალბათ, XVIII საუკუნის 30-იანი წლების დასასრულს არის ჩამარხული.

8. 1927 წელს სოხუმის რაიონის სოფ. ნეიდორფში იპოვეს ალო-იზი მოჩენიგოს (1763-1779 წწ.) დუკატები.

9. 1954 წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტერი-ტორიაზე, მიწის სამუშაოების დროს, იპოვეს ვერცხლის ევრო-პული მონეტები – 33 ცალი. განძი შედგება პოლონური (30 ცალი) და ბრანდენბურგ-პრუსიული ორტებისგან. პოლონური მონეტები სიგიზმუნდ III-ის (1587-1632 წწ.) სახელით 1621-1626 წლებშია მოჭ-რილი ბიდგომის და გდანსკის ზარაფხანებში, ხოლო ბრანდენბუ-რგ-პრუსიული – კურფიურსტის, გეორგ ვილჰელმის (1619-1640 წწ.) სახელით 1622-1624 წლებში კროსენის ზარაფხანაში. განძის ქრონო-ლოგიური დიაპაზონი 5 წელია და მისი ჩამარხვა 1626 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო.

10. 1958 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჭანჭათში მიწის დამუ-შავების დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი, რომელშიც იყო პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ III-ის (1587-1632 წწ.) 2 ორტა,

მოჭრილი 1622-1623 წლებში ბიდგოშის ზარაფხანაში, ოსმალეთის სულთან აჰმედ III-ის (1703-1730 წწ.) 24 ახჩა და მაჰმუდ I-ის (1730-1757 წწ.) – 58 ახჩა (იხ. XVIII საუკუნის ოსმალური მონეტები, №2). მ. ანთადის დაკვირვებით, განძი გურიაში XVIII საუკუნის მეორე ნახევარშია ჩაფლული.

11. 1900-იან წლებში მახარადის (ოზურგეთის) რაიონის სოფ. ზედაუბნის მიდამოებში, მიწის ნაკვეთის დამუშავების დროს, მიაკვლიეს პოლონური მონეტების განძს. კონკრეტული ინფორმაცია ლიტერატურაში დაცული არ არის.


12. 1944 წელს წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯაღირას მახლობლად, ჩამორეცხილი გზის პირას, იპოვეს პოლონური ვერცხლის მონეტა.

13. დაახლოებით 1945-1950 წლებში დასავლეთ საქართველოში აღმოუჩენიათ ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც მპოვნელებმა დაინაწილეს. ორი ცალი ამ კომპლექსიდან მიიტანეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ისინი ეკუთვნოდა სიგიზმუნდ III-ს და გეორგ-ვილჰელმ ბრანდენბურგელს.

14. 1950 წელს გეგეჭკორის (მარტვილის) რაიონის სოფ. ნოჯიხევში იპოვეს სიგიზმუნდ III-ის 1624 წლის ორტა.⁴⁶


⁴⁶ თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV ნაწილი. შემდგენლები: ა. ბომიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2015, გვ. 55-71.

XVII-XVIII სს. მონეტები დასავლეთ საქართველოდან



● ოსმალური ალთუნები და ვერცხლის მონეტები

○ დასავლეთეკრეობული დუკატები და ვერცხლის მონეტები, პოლონური ვერცხლის ფული



*Map of Georgia showing Abkhazia and Tskhinvali Region
(occupied territories)*

Abkhazians in Georgia: Short History

In the remote past, to the south of the Great Caucasian Range and east of the Black Sea, rural clans fought each other for land and mines, making alliances and early states. Two cultures equipped first with bronze and then with iron were established in the valleys of the rivers Rioni (Phasis), Chorokhi (Aphsaros), and Mtkvari (Cyros/Kura). Roughly, the borders of Colchis included the city of Pitius (Bichvinta, Pitsunda) in the North-west, Sarapanis (Shorapani) in the East, near the Likhi mountains, which divides Georgia into West and East, and the mouth of the river Chorokhi in the South, near Batumi, Georgia's main port. Another name for Colchis is Egrisi, derived from the tribal name Margali/Megreli/Mingrelian. The Mingrelian language, very close to the Georgian, is still spoken in West Georgia as a family one, like that of West Georgian highlanders, the Svani. The next country had two rivers, Chorokhi, now mostly in Turkey, and Mtkvari within its borders. Local folk called it Kartli, and the Greeks – Iberia. The latter term contributes to Ivirk, Vrastan – Armenian terms; also, to Varkan, Gurgan, Gurgistan – Persian terms, which in turn contributes to Georgia and Gruziya.

Thus, Kartli, while comprising the Mtkvari and Chorokhi valleys, was labeled as Iberia, or Vrastan, or Varkan, or Gurgan by foreigners. Grad-

ually, Colchis/Egrisi and Kartli/Iberia became more and more integrated, and Georgian, the language spoken in Kartli, spread to the eastern Black Sea coast, putting the Mingrelian and Svani languages in the position of a family language. From that point on, this new country was called Sakartvelo, a term derived from Kartli, and also Iberia, Gurgistan, Gruziya and Georgia.¹

Still, there was another language in West Georgia which was also converted into a family language – Abkhazian. The Autonomous Republic of Abkhazia (Georgia) has Sokhumi as its capital. Sokhumi is the Turkish version of the Georgian name Tskhumi, while the Greeks and Italians called the city Dioscurias and Sebastopolis. People living in its neighbourhood in the Classical and Hellenistic periods were the Colas and the Coraxae, obviously Colchian clans. Their names are substituted by that of the Colchians themselves. The first mention of the Apsils, obvious ancestors of the Abkhazians, near Sebastopolis/Tskhumi, dates back to the 70s of the 1st c. A.D. Soon, their relatives, the Abasks, appear. These two names sometimes disappear in favor of “Lazi,” the name of Mingrelian-speaking people descended from the southern mountains to mingle with the Colchians, thus changing the name of the country into Lazica. In the Northwest part of Lazica under the local feudal lords, they again call themselves Apsils and Abasks, when unified with the rest of the country – Lazi. That means that from the 2nd c. A.D., the Mingrelian language was a social one throughout Lazica, while the Abkhazian language was put in the position of a family language spoken near Sebastopolis/Tskhumi. Indeed, the special Mingrelian term for that part of Lazica was “apkha,” i.e. periphery. The periphery of what? That of Mingrelian, i.e. West Georgian, culture. Gradually, Apsils and Abasks under the local princes also started to call themselves Abkhazians. When in the 8th c., apparently through marriage, their prince found himself residing in the central city of Kutaisi, Lazica/Egrisi received one more name – Apkhazeti. With the Georgian language becoming dominant on the East Black Sea coast, the Mingrelian, Svani and Abkhazian languages found themselves in the position of a family language.²

West and East unified was called Sakartvelo/Georgia. And the title of the kings from the Bagrationi ruling dynasty was as follows: “King of the

¹ T. Dundua. History of Georgia. Tb. 2017, pp. 5-22.

² T. Dundua. Christianity and Mithraism. The Georgian Story. Tb. 1999, p. 6; T. Dundua, A. Chikobava. Pacorus, the Lazi King, Who Was Overlord of Colchis/Western Georgia. Tb. 2013, pp. 9-16; T. Dundua. Georgia within the European Integration. Tb. 2016, pp. 81-88.

Abkhazians (i.e. West Georgia), Kartvelians (East and South Georgia), Ransians and Kakhetians (extreme east of the East Georgia)".³

The decline of Georgia towards the end of the 16th c. enabled the Ottomans to increase their territory, seeing them taking control of the cities on the East Black Sea coast. Georgian frontier defenses were down. Finding so little opposition, many tribes settled in the districts they had penetrated, a new wave of the Abkhazian speaking clans among them. They made their way from the mountains first to the region of nowadays Sochi (Russian Federation), and then down the coast towards Bichvinta (Pitius, Pitsunda). Those rough highlanders forced part of the local agricultural folk to flee to the central regions. Thus, rural and urban sites suffered much and the links with the rest of the country were badly damaged. The Ottoman overlords also encouraged the slave trade, completely changing the economic visage of the Northwest of West Georgia for centuries before the Russians' advance against the Ottomans in the 19th c.⁴

The Russian Empire annexed East Georgia, the kingdom of Kartli-Kakheti, in 1801. This paved the way for Russian expansion into West Georgia. In 1810 Abkhazian prince Giorgi (Safar Beg) Shervashidze swore allegiance to the Russian Emperor and in 1864 Russian governance was established in the territory. Sokhumi military district was founded.⁵ Although the process of separating Abkhazia from Georgia was actively supported by the Russian authorities, still Abkhazia was a natural and integral part of Georgia. Perhaps it was for this reason that the Sokhumi district was soon included in the Kutaisi governorate. Despite the negative effects of the Russian imperial policy, in 1918, the year when the Democratic Republic of Georgia was founded, Abkhazia was a part of Georgia.⁶

On June 11, 1918 an agreement was signed between the people's council of Abkhazia and the leadership of the Democratic Republic of Georgia, where Abkhazia as a part of Georgia gained autonomy. After the end of

³ T. Dundua. Review of Georgian Coins with Byzantine Iconography. Quaderni Ticinesi di Numismatica e Antichità Classiche. Lugano. 2000. Vol. XXIX, pp. 389-393; T. Dundua, G. Dundua, A. Boshishvili, A. Tabuashvili, L. Tavadze, N. Phiphia, A. Chikobava, E. Avdaliani, N. Kharshiladze. Georgian-Byzantine coins. Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. 2013-2014. <http://geonumismatics.tsu.ge/public/home/en>.

⁴ T. Dundua. North and South (towards the Question of the NATO enlargement). Tb. 2001, pp. 41-42; T. Dundua and Others. The Black Sea – Zone of the Contacts. Tb. 2001, pp. 9-10, 15-16; T. Dundua and Others. The Black Sea. A History of Interaction. Teaching Pack. The Council of Europe. Oslo. 2004, pp. 46, 105.

⁵ M. Lordkipanidze. The Abkhazians and Abkhazia (Georg., Russ. and Engl. texts). Tb. 1990 http://www.amsi.ge/istoria/div/m.lordkiPaniZe_afx.html#90.

⁶ M. Lordkipanidze. The Abkhazians and Abkhazia (Georg., Russ. and Engl. texts). Tb. 1990 http://www.amsi.ge/istoria/div/m.lordkiPaniZe_afx.html#90.

Georgia's short independence in 1921, Abkhazia remained within Soviet Socialist Republic of Georgia under a special union agreement, as a treaty republic having a certain type of autonomy within Georgia. In 1931 Abkhazia officially became the Autonomous Soviet Socialist Republic (ASSR) of Georgia. This remained unchanged until the end of the Soviet Union. According to the 1989 Soviet census, the total population on the territory of the ASSR of Abkhazia was 525 061, of which 239 872 were ethnic Georgians (45,7% of the population), while 93 267 were Abkhazians (17,8%).⁷ Abkhazia enjoyed cultural and scientific benefits as part of Georgia during the Soviet era. The Abkhazian language was taught at the schools, and university. Since 1993 the Autonomous Republic of Abkhazia has been occupied by the Russian Federation.⁸

Narrative above is a summary of complex research. Still, one more method, numismatic one, can be used in this case. If the coin findings in Abkhazia are, according to content, identical to the coin findings in the rest of West Georgia, the following conclusion can be drawn: historically, at different times, coins of one group were in circulation in both parts; physical environment of West Georgia always had corresponding unique economic system labelled as Colchis, Lazica, Egrisi-Aphkhazeti, stretching from Bichvinta/Pitius eastwards towards Shorapani/Sarapanis and southwards towards Gonio/Aphsaros. On the verge of the 10th-11th cc. new economic system, Georgia, appeared, which temporarily disintegrated in the second half of the 13th c. If 13th-18th cc. numismatic data found in Abkhazia, according to content, are identical to 13th-18th cc. numismatic data found in the rest of West Georgia, the following conclusion can be drawn: in the 13th-18th cc. West Georgia was unique economic system stretching from Bichvinta eastwards towards Shorapani and southwards towards Gonio.

Coin Circulation in Colchis/West Georgia in the 6th-4th Centuries B.C.

“Colchian tetri” is a name of a coin group. Initially, the name “Colchian tetri” was attributed to the II type hemidrachms (the same triobol. Obv. Archaic female head to the right/left within the linear circle or in

⁷ S. Markedonov. Abkhazia: Historical Context. in Abkhazia Between Past and Future. Prague. 2013, p. 18.

⁸ For the full-length narrative about Abkhazians v. 3. Папаскири. Абхазия: история без фальсификации. 2е изд. Тб. 2010.

border of the dots; Rev. Bull's head to the right within the linear circle). They are abundantly represented in West Georgia and are without doubt of the Colchian origin.

Three samples of the so-called tetradrachm (Obv. Exceptionally depicted lion's head to the left/right; Rev. Winged Pegasus to the right in *quadratum incusum*) are known but we know nothing about the place they were found in. One coin was published in 1907 and mistakenly associated with the island Lesbos. Nowadays this piece is held at the Hague Museum.

The identical coin held in the Museum of Georgia was published by the Georgian professor D. Kapanadze, whereas the third one in the British Museum – by the British kartvelologist D. M. Lang.

Lion's head depicted on the obverse of the so-called tetradrachm is stylistically identical to the one depicted on the obverse of the I type didrachm (Obv. Lying hermaphrodite lion to the right/left with a head turned back; Rev. Kneeling female figure with a bull's head to the right/left in *quadratum incusum*). 5 out of 9 pieces of the I type didrachm were found in West Georgia, 3 of which – in Colchian coin hoards of Poti and Akhalsopeli (Zugdidi District). The majority of the coins found in these hoards represent the II type hemidrachm. The genesis of the latter is undoubtedly Colchian. The topography of findings (West Georgia) of the I type didrachm indicates exactly to its Colchian provenance.

The lion's head depicted on the obverse of the so-called tetradrachm is stylistically identical to the iconography of the I type hemidrachm (Obv. Lion's head to the right/left, showing teeth; Rev. Lioness' protome to the right in *quadratum incusum*) and the so-called drachm (Obv. Lion's head facing; Rev. Bull's head to the right in *quadratum incusum*). Four pieces of the I type hemidrachm are found in West Georgia along with other Colchian coins, which again attests to their Colchian origin. The so-called unidentified drachm held in the Kutaisi Museum was most probably found somewhere in West Georgia. Otherwise this unique piece could not get into a local museum.

The iconography of the reverse of the I type didrachm is typologically identical with the heads of bull depicted on the reverses of the so-called drachm, the III type didrachm (Obv. Archaic female head to the right within the linear circle; Rev. Two bull's heads, facing each other each in *quadratum incusum*). The latter typologically and stylistically is identical with the II type didrachm with the depiction of three female heads. Obv. Archaic female head to the right within the linear circle (exactly the same

as on the II type hemidrachm); Rev. identical heads, facing one another, each in *quadratum incusum*), and the II type hemidrachm. The II type hemidrachms are found in their thousands in West Georgia (ancient Colchis), both in the seaboard as well as inner regions. The part of the II type didrachms as well as the III type didrachm are found in West Georgia.

Initially, the name “Colchian tetri” was given to the II type hemidrachm. The topography of findings and both, typological and stylistic analysis of the so-called tetradrachm and other above-mentioned types give us every reason to place them into the Colchian tetri group.

The protome of a winged pegasus depicted on the reverse of the so-called tetradrachm might seem to be without analogy, however, semantically it is still associated with this very group.

Within the Colchian tetri coin group eight types can be distinguished. The question of the local genesis of all the types should be answered in the following manner:

1) II type hemidrachm (Obv. Archaic female head; Rev. bull’s head) was issued in Colchis. The topography of findings attests to this fact – they were found in their thousands in West Georgia, whereas beyond the territory only several dozens.

2) III type didrachm (Obv. Archaic female head; Rev. bull heads each in *quadratum incusum*) is a typological prototype of those coins with female and bull heads, whereas hemidrachm is a much simpler variant with only a bull head. Archaic style of both types links them to each other and makes it the product of the Hellenic political organization of the Colchian economic-geographical region.

3) II type didrachm (Obv. Archaic female head; Rev. identical heads in two *quadratum incusum*) resembles the previous type. Reverses might seem different, however below we will stress a typological synthesis of a female figure with a bull on the reverse of the I type didrachm. This means these two figures are synonymous categories. The typology of archaic female head and the topography of findings again draw our attention to the Hellenic poleis of Colchis.

4) Hemitetartemion from Pichvnari (Obv. Archaic female head; Rev. crane) is in thematic harmony with other nominals, and here is that is why:

- a) II type didrachm shows triomorphic Hecate (see below).
 - b) III type didrachm shows triomorphic and zoomorphic Hecate.
 - c) II type hemidrachm’s typology is also identical.
- Thereby everywhere is the moon attribute.

As to the typology of hemitetartemorion, very symptomatic is a long-foot bird's and lotus' Cypriot (depicted on ceramics) synthesis; the latter is the attribute of the goddess of fertility, whereas the crane was its synonym. The goddess of fertility in Colchis was at the same time the goddess Hecate.

5) The iconography of this functional synthesis is represented on the reverse of the I type didrachm:

a) naked female figure is associated with the cult of fertility;

b) bull's head is an attribute of the moon;

c) ὁ Μείζ cult was popular in the hinterland, whereas in the seaboard territories – ἡ Ἐκάτη cult. The variant of the bilingualized Phasis is a hermaphrodite synthesis – here the Moon has two genders, one, as the Greeks think about the Moon, next, the Colchian perception. The typological peculiarities, topography of findings, astral thematics (Obv. lion as a symbol of Apollo/Helios; the latter's hermaphroditization is another aspect of Apollo's merge with the local female Sun. The lion is indeed a hermaphrodite – with the mane and the tits. These two gender categories are iconographically realistically depicted on, for example, the I type Colchian hemidrachm or the Milesian numismatics) link this type to the above-mentioned material.

6) The so-called Colchian drachm (without the indication of the place of discovery) (Obv. Lion's head facing; Rev. bull's head) held in the Kutaisi Museum is typologically and thematically linked to the very didrachm.

7) The same can be said about the I type hemidrachm (Obv. Lion's head; Rev. lioness' protome), where the sun's hermaphrodite perception is depicted. The topography of findings attributes this piece to the Colchian genesis.

8) We do not know about the places where the tetradrachms were found. However, the typological parallels with the I type hemidrachm are quite evident; the theme is traditional: Apollo-lion-Sun/Pegasus-Moon.

